პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
12 თებერვალი **სამშაბათი** 2013
№034 (13 950) ფასი 80 თეთრი

## 3.5 ლევან კობიაშვილს

ჰერტას ქართველმა 9-თვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ პირველად ითამაშა ოფიციალურ მატჩში. გუშინ, ბერლინურ დერბიში სრულად ჩაატარა მეორე ტაიმი

2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ფეხბურთი დაბრუნდა



## მესტალია ბექჰემს ვერ ნახავს

5

### იუვე გლაზგოში ჯოკოჩხეთს ელოდება

# inmessionante

## ლეონელ მესი ესპანურ ლექსიკონში ზედსართავი სახელი გახდა

ესპანურ ლექსიკონ Santillana-ში გაჩნდა ზედსართავი სახელი - inmessionante, რომელიც „ბარსელონას" ლიდერის ლეონელ მესის გვარისგან არის შემდგარი.

ახალ სიტყვას ორი მნიშვნელობა აქვს: 1) მესის თამაშის სტილი, უსაზღვრო შესაძლებლობები სრულყოფისკენ; 2) ყველა დროის საუკეთესო მოთამაშის აღწერა.

იმის შესახებ, რომ მესის თამაშის აღწერისთვის საჭიროა ცალკე სიტყვა, 2012 წლის ოქტომბერში თქვა არგენტინის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ალეხანდრო საბელიამ. მან ეს განცხადება ურუგვაისთან მატჩის შემდეგ გააკეთა, როცა მესიმ 3:0 მოგებულ შეხვედრაში დუბლი შეასრულა.

კომპანია Pepsi, რომელიც მრავალი წელია თანამშრომლობს მესისთან, სოციალურ ქსელში წამოიწყო კამპანია ზედსართავი სახელის მოსაფიქრებლად, რომელიც ყველაზე კარგად აღწერდა მესის თამაშს. შემოთავაზებული ვარიანტებიდან არჩევანი საბელიას უნდა გაეკეთებინა. არგენტინელ მწვრთნელს მოეწონა სიტყვა inmessionante.

ლექსიკონი Santillana, რომელშიც ახალი სიტყვა შევიდა, Pepsi-ის მხარდაჭერით არის გამოდის.






6

## რა ხდება სიტიში?

### მანჩინის ლიდსთან წაგებას არ აპატიებენ

უშვებენ ჯეკოსა და ტევესს...
...უნდათ კავანი და ფალკაო

## კრიზისი მანუს გუნდში

### გალათასარაის მოთამაშეების 3 მილიონი მართებს

საკალათბურთო „გალათასარაის", რომელშიც ცოტა ხნის წინ მანუჩარ მარკოიშვილი გადავიდა, სერიოზული ფინანსური პრობლემები აღმოაჩნდა. როგორც თურქული NTV Spor წერს, ამ კლუბის კალათბურთელებს ორთვენახევარია ხელფასი არ მიუღიათ და დავალიანება მოთამაშეებისთვის 3 მილიონ ევროს აღწევს. ეს თანხა „გალათასარაის" შეფობამ 22 თებერვლამდე უნდა დაარიგოს...



ეროვნული

● დინამო



# ფრე ტირასპოლთან



მარცხნიდან: სანდრო შახოვი, რომან ფიფია და ბუბა ტყავაძე „ტირასპოლთან" მატჩს დაესწრნენ

ფოტოები: www.fcdinamo.ge

თურქულ შეკრებაზე თბილისის "დინამო" ამჯერად მოლდოვის ჩემპიონატის მესამეადგილოსან „ტირასპოლს" შეხვდა. პირველი სახიფათო შეტევა მე-2 წუთზე მეტოქემ განახორციელა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა და "დინამო" გადარჩა.

ამის შემდეგ დინამოელებმა აქტიურად შეუტიეს და **ჯაბა დვალმა** ანგარიში ეფექტური დარტყმით გახსნა: დინამოელი საჯარიმოში სამ მოთამაშეს შორის შეიჭრა, მეკარესაც აჯობა და ზუსტად დაარტყა – 1:0.

თბილისელებმა კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს. მაგრამ იმავე დვალის, **ლაშა შინდაგორიძისა** და **ირაკლი ძარიას** დარტყმებმა მიზანს ვერ უწია. განსაკუთრებით სახიფათო გამოდგა **გია კვარაცხელიას** თავური დარტყმა, როდესაც "შერიფი" მეკარემ გადაარჩინა.

35-ე წუთზე მოედანი ტრავმის გამო შინდაგორიძემ დატოვა, თუმცა ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა.

სამწუხაროდ, მეორე ნახევარში თბილისელებმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ მოახერხეს. 71-ე წუთზე გუნდის დაწინაურების შანსი ხელიდან გაუშვა **ნიკა დიასამიძემ**, რომელიც **კარლეს კოტომ**, ფაქტობრივად მეკარესთან ერთი–ერთზე დატოვა.

მერე კი მოლდოველებმა უკეთ ითამაშეს. კუთხური ჩანოდებული ბურთი ხარიხას მოხვდა და დარტყმაზე მეტოქემ ანგარიში გაათანაბრა – 1:1. 70-ე წუთზე მეკარე **თორნიკე ზარქუამ** გადაგვარჩინა, მაგრამ 78-ე წუთზე მასთან პირისპირ **გროსო** დარჩა და მას ველარ აჯობა - 1:2.

თბილისელები წაგებას მაინც გადაურჩნენ: ბოლო წუთზე ტირასპოლელთა მეკარე უხეშად შეცდა - 2:2.

| დინამო–ტირასპოლი | 2:2 |
| --- | --- |

დინამო: ლორია (46. ზარქუა) – მენდი (64. რეხვიაშვილი), კვარაცხელია (64. შაშიაშვილი), გველესიანი, გლიშიჩი (64. სეთურიძე) – ძარია (84. პაპავა), ჯილაური (59. მილხრაუმი), პაპავა (46. ხმალაძე), მერებაშვილი (59. კოტო) – დვალი (67. დიასამიძე), შინდაგორიძე

**მერაბ მამულაშვილი**

● ტორპედო

# შეფასება უკრაინულად

## მარბელაზე ქართველის გუნდმა გაიმარჯვა

10 თებერვალს, ქუთაისის "ტორპედო" "მარბელას თასზე" მე-3 ადგილისთვის ტიტულოვან კიევის „დინამოსთან" დაპირისპირებაში 2:4 დამარცხდა.

მატჩი ქართველ გულშემატკივრებში დიდ ინტერესს იწვევდა, რადგან ქუთაისის "ტორპედოს" საბჭოთა პირველობაზე კიეველებთან შეხვედრების საკმაოდ მდიდარი გამოცდილება ჰქონდა და 25 მატჩიდან სამი მოუგია. თუმცა, 16-ჯერ დამარცხდა და საბჭოთა უმაღლეს ლიგაში ყველაზე დიდი დარტყმა კიეველებისგან მიიღო – 1983 წლის 6 ნოემბერს "ტორპედო" 0:8 განადგურდა, გოლების ნახევარი კი "დინამოს" გუნდის ამჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა **ოლეგ ბლოხინმა** და სპორტულმა დირექტორმა და შეთავსებით, ბლოხინის ასისტენტმა, **ალექსეი მიხაილიჩენკომ** გაიტანეს.

ესპანური ტურნირის ორგანიზატორთა დაპირების მიუხედავად, მატჩის პირდაპირი ინტერნეტრეპორტაჟის ხილვა ვერ შევძელით, რადგან იგი "მარბელას თასის" ფინალის პარალელურად მიმდინარეობდა. გამარჯვებული ბრაზილიური "ატლეტიკო პარანაენსე" გახდა, რომელმაც ფინალში მეოთხედფინალში ქუთაისელთა მძლეველს, ბუქარესტის "დინამოს" 1:0 მოუგო. ეს ის კლუბია, რომელსაც აღმოსავლეთ ევროპაში ქართველი სპეციალისტი **გოჩა ალადაშვილი** წარმოადგენს. ის ამბავიც გემახსოვრებათ, რომ ეს ბრაზილიური კლუბი სამი წლის წინ რუსთავის "ოლიმპთან" თანამშრომლობდა.

მატჩი იმითაც იყო საინტერესო, რომ თვალნათლივ გვენახა, რა განსხვავებაა ქართულ და უკრაინულ ფეხბურთს შორის, რომელმაც ბევრად გაგვისწრო. საგოლე ეპიზოდებში გამოჩნდა, რომ უკრაინელები საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბის მოთამაშეებს სისწრაფესა და მოძრაობაში ერთი წამითა და ერთი ნაბიჯით აღემატებოდნენ.

კომენტარი გააკეთა **ალექსეი მიხაილიჩენკომ**: *"ამ თამაშში ის ვნახეთ, რასაც ველოდით. ქუთაისის "ტორპედოს" უყვარს ბურთის ტარება, კომბინაციური თამაში და იცის დაცვის გამაგრება. ზოგადად, ქართულ ფეხბურთს ტექნიკურობა გამოარჩევს. დღევანდელ მატჩში მეტოქეს 4 გოლი გავუტანეთ, რაც "დინამოს" კარგ თამაშზე მეტყველებს. "ტორპედო" მთლიანად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. დღეისთვის არის თუ არა ეს გამართლებული, თავად განსაჯეთ. ვფიქრობ, მოთამაშეთა პერსპექტივები ყველასთვის შესამჩნევია. ჩემი აზრით, ერთიანობაში დაძაბული თამაში იყო და კარგი სპარინგი გამოგვივიდა, "ტორპედოს" წარმატებებს ვუსურვებ".*

კიევის „დინამოს" ვებგვერდთან კი მიხაილიჩენკომ აღნიშნა, რომ 14 თებერვალს ევროპის ლიგის 1/16-ფინალის პირველ მატჩში ფრანგულ "ბორდოსთან" მატჩამდე კიევის "დინამომ" სასარგებლო შეხვედრა ჩაატარა.

უკრაინული კლუბის ინფორმაციით, შეხვედრის ბოლოს ოლეგ ბლოხინმა ორივე ცენტრალური მცველი, **დომაგოი ვიდა** და **ტარას მიხალიკი** ისე შეცვალა, მათ პოზიციაზე შემცვლელები არ ჰყავდა და დაასკვნეს, რომ მეტოქემ ანგარიშის შემცირება ამის ხარჯზე მოახერხა.

**მერაბ მამულაშვილი**



ელგუჯა გრიგალაშვილი კიევის „დინამოსთან" მატჩში

● ლეგიონერები

# კობის ნანატრი დაბრუნება

ნახევარწლიანი დისკვალიფიკაცია და უთამაშებლობა წარსულს ჩაჰბარდა – მეორე ბუნდესლიგის წინა ტურში **ლევან კობიაშვილი** "ჰერტას" 18-კაციან განაცხადში არ შეიყვანეს, სამაგიეროდ, გუშინ ბერლინურ დერბიში თამაშის საშუალება მიეცა და დაახლოებით ცხრათვიანი პაუზის შემდეგ, პირველი ოფიციალური მატჩი ჩაატარა!

"ჰერტამ" მეორე დედაქალაქურ კლუბს, "უნიონს" უმასპინძლა და ფრედ, 2:2 ითამაშა. "ჰერტა" 73-ე წუთამდე ორბურთიანი სხვაობით მარცხდებოდა, მაგრამ მატჩის გადარჩენა მაინც შეძლო. კობიაშვილი თამაშში შესვენების შემდეგ ჩაერთო. ვეტერანმა ქართველმა დაცვის მარცხენა ფლანგზე **ფელიქს ბასტიანსი** შეცვალა. ზამთრის შეკრებისას გამართულ საკონტროლო შეხვედრებში ლევანი უმეტესად, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა, მაგრამ გუშინ ბერლინელთა თავკაცმა **იოს ლუჰუკაიმ** სხვა გადაწყვეტილება მიიღო. კობისთვის არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ სად გაამწესებენ, მთავარია, მან "ჰერტას" სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნება მალე შეძლოს, მომავალი სეზონიდან კი, ვიმედოვნებთ, პირველი ბუნდესლიგის რეკორდსაც შეუტევს ლეგიონერთა მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობით.



ბაჩანა ცხადაძემ (№28) „ინტერი" 2:0 დააწინაურა

"ჰერტა" მეორე ბუნდესლიგაში 46 ქულით მეორე ადგილზეა და პირველ ბუნდესლიგაში დაბრუნების შესანიშნავი შანსი აქვს.

აზერბაიჯანის ჩემპიონატის ლიდერი "ინტერი" ლენქორანის "ხაზარს" ესტუმრა და დაძაბულ ბრძოლაში მეტოქეს 3:2 სძლია. "ინტერის" გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა **ბაჩანა ცხადაძემ**, რომელმაც მატჩის 30-ე წუთზე თავისი გუნდი 2:0 დააწინაურა. 52-ეზე "ხაზარმა" ერთი ბურთი გაქვითა, 82-ეზე ბაქოელებმა ორბურთიანი სტატუს-ქვო აღადგინეს, ხოლო 83-ეზე ლენქორანელებმა შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირეს.

**გიორგი ლომაიამ, ილია კანდელაკმა** და ბაჩანა ცხადაძემ მატჩი შეუცვლელად ჩაატარეს, **ვალერი აბრამიძე** თამაშში 58-ე წუთზე ჩაერთო, **რევაზ თევდორაძე** სათადარიგო იყო, **გიორგი ადამია** კი ტრავმის გამო "ინტერს" კვლავ ვერ ეხმარება.

ამ გამარჯვებით **კახა ცხადაძის** გუნდმა პრემიერლიგის ლიდერობა გაიმყარა და უახლოეს მდევარს, **გიორგი ჩიხრაძის** მიერ გაწვრთნილ ზაქათალის "სიმურგს" სამი ქულით უსწრებს.

თურქეთის სუპერლიგაში **შოთა არველაძის** "კასიმფაშა" სტუმრად 1:2 დამარცხდა "გაზიანთეფსფორთან". არველაძის გუნდმა მე-80 წუთზე ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ერთ წუთში გოლი საკუთარ კარში მიიღო და თამაშის გადარჩენა ველარ შეძლო. 30 ქულით "ქასიმფაშა" სატურნირო ცხრილში მეშვიდე პოზიციაზეა.

იტალიის სერია B-ში „ემპოლიმ" „ლივორნოს" უმასპინძლა და 2:1 მოიგო. **ლევან მჭედლიძეს** ტრავმის გამო არ უთამაშია, **ირაკლი შეყილაძე** კი სათადარიგო იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● ზესტაფონი

# კაჭარავამ ორი უცხოელი გაუშვა

"ზესტაფონის" თურქული შეკრება დასასრულს უახლოვდება – დღეს ანთალიის სიახლოვეს მდებარე ბელექში საქართველოს მოქმედი ჩემპიონი ბოლო საკონტროლო შეხვედრას გამართავს და მისი მეტოქე ბელარუსული ჟოდინოს "ტორპედო-ბელაზი" იქნება. მატჩი თბილისის დროით 17 საათზე დაიწყება.

ამასობაში, ცნობილი გახდა, რომ "ზესტაფონის" ბანაკი დატოვეს სენეგალელმა ნახევარმცველმა **პაპე დიაკიტემ** და სერბმა მცველმა **ივიცა მილუტინოვიჩმა**. მათ ფეროელთა სამწვრთნელო შტაბი პოლონურ "ლეხიასთან" სპარინგში დააკვირდა და როგორც ჩანს, ორივემ არასახარბიელო შთაბეჭდილება დატოვა.

ესპანელ მცველ **ორიოლ ლოსანო ფარანთან** კონტრაქტის გაფორმება კი, როგორც უკვე იცით, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ფოტო: www.fczestafoni.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს

## ზესტაფონის თასიდან გამოთიშვა შესაძლებელია

იყო დრო, ლანჩხუთში ათეულ ათასობით გულშემატკივარი რომ დადიოდა „გურიას“ საშინაო მატჩებზე. ამ გუნდმა ორჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება, „გურია“ საკმაოდ ტრადიციული გუნდია, დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში საქართველოს თასიც აქვს მოგებული.

ჟამთასვლამ ისე მოიტანა, რომ „გურია“ ახლა პირველ ლიგაში თამაშობს, დასავლეთ ზონაში ლიდერია და უმაღლესში დაბრუნებისთვის იბრძვის.

ახლანდელი „გურიას“ ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე გოგობერიშვილია, ვისაც თავის დროზე ალენ ჟირესი საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც კი იწვევდა. ნახევარმცველ გოგობერიშვილს არაერთ მოწინავე ქართულ გუნდში უთამაშია, მერე იყო რუსეთსა და აზერბაიჯანში, „ბაკიში“ აზერბაიჯანის ჩემპიონიც გახდა...



ალექსანდრე გოგობერიშვილი

**- ისეთი საფეხბურთო ბიოგრაფია გაქვს, რომ ამის მერე საქართველოს პირველ ლიგაში თამაში შენგან ცოტა მოულოდნელიც კი იყო - როგორ ეგუები პირველი ლიგის გუნდში ყოფნას?**

- არ გამჭირვებია, ლანჩხუთის „გურიაში“ პირველად მაშინ ვითამაშე, როცა 16 წლის ვიყავი. შარშან აზერბაიჯანიდან ისეთ დროს მომოწია ჩამოსვლამ, რომ უმაღლესი ლიგის თითქმის ყველა გუნდი დაკომპლექტებული იყო. გამოჩნდა „გურიაში“ გადასვლის ვარიანტი და გადაწყვეტილებაც უცბად მივიღე.

**- პირობებით კმაყოფილი ხარ? ამაში მხოლოდ ანაზღაურებას არ ვგულისხმობ, აღდგენა, სავარჯიშო და სათამაშო პირობები, გარემო...**

- პირველი ლიგის კვალობაზე „გურიაში“ ნორმალური პირობებია - კარგი კვება და ვარჯიში, ხელფასი და პრემია დროულად, კიდევ ის ამბიცია, რასაც უმაღლეს ლიგაში გადასვლა ჰქვია. „გურიას“ ფეხბურთელები ლანჩხუთში ვცხოვრობთ ნაქირავებ ბინებში.

**- რა მოედანზე ვარჯიშობს „გურია“?**

- ლანჩხუთის ცენტრალური სტადიონის გვერდით არის სათადარიგო მოედანი, ან იქ ვვარჯიშობთ, ან სოფელ ნიგოითში, სადაც ასევე ნორმალური მოედანია. გრიგოლეთის ბაზაზეც არის მოედანი და საჭიროების შემთხვევაში იქაც შეგვიძლია ვარჯიში. რაც შეეხება ცენტრალური სტადიონის მოედანს, ალბათ იცით, რომ იქ საბერძნეთიდან ჩამოტანილი მინდორი დააგეს, რომელიც უკვე ჩინებულ კონდიციაშია და სეზონის მეორე ეტაპიდან ამ მოედანზე ვითამაშებთ.

**- გულშემატკივარი თუ დადის „გურიას“ საშინაო მატჩებზე?**

- ხუთასამდე გულშემატკივარი სულ ესწრება ჩვენს თამაშებს, რაც მთავარია, მთელი ლანჩხუთი გვერდში გვიდგას, ამ პატარა ქალაქში საფეხბურთო ტრადიცია მართლაც იგრძნობა, ლანჩხუთში ესმით და უყვართ ფეხბურთი. ცენტრალურ სტადიონს სრული რეკონსტრუქცია როცა გაუკეთდება, გულშემატკივარიც უფრო მეტი მოვა. ამ დროისთვის სტადიონის მხოლოდ ერთი ტრიბუნა ფუნქციონირებს.

**- საქართველოს პირველი ლიგა როგორი სათამაშოა, რა თავისებურებები ახასიათებს?**

- რა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგას კლასით ჩამოუვარდება, თუმცა პირველ ლიგაში თამაში ადვილი ნამდვილად არ არის, უმეტესწილად ისეთი მოედნებია, რომ ხარისხიანი ფეხბურთის თამაში ძალიან ძნელია, ბევრია ორთაბრძოლა და უხეში თამაში, უმაღლესთან შედარებით პირველი ლიგა უფრო ხისტია.

**- მიმდინარე სეზონის პირველ ეტაპზე „გურიაში“ თავდამსხმელების შემდეგ ყველაზე მეტი, 9 ბურთი შეაგდე - გოლები მეტწილად სტანდარტულებიდან გაგაქვს?**

- სამი გოლი 11-მეტრიანით შევაგდე, ერთხელ კი ჯარიმა შევასრულე შედეგიანად, დანარჩენი სათამაშო სიტუაციიდან.

**- „გურიაში“ ერთი აფრიკელი ლეგიონერიც კი გყავთ, არნო ჩუენსუ. უინტერესო არ იქნება, თუ ორიოდე სიტყვით დაგვიხასიათებ მას.**

- ამ კამერუნელს ჩასემს ვეძახით, ერიკ ჩასემის ძმა გახლავთ, ალბათ გახსოვთ ეს თავდამსხმელი — იყო „სიონში“, მერე კი „ზესტაფონში“ თამაშობდა. მისი ძმა მარჯვენა მცველია, საკმაოდ ტექნიკური და სწრაფიც, კარგად ერთვება შეტევაში.

**- ეს კამერუნელი 21 წლისაა, ისე კი „გურია“ უფრო გამოცდილ ფეხბურთელებზე აკეთებს აქცენტს...**

- „გურიას“ გეზი გამართლებულად მიმაჩნია, რადგან ამ ეტაპზეა ასეა საჭირო - უკან დასახევი გზა მოჭრილი გვაქვს, უმაღლეს ლიგაში უნდა გადავიდეთ, ასეთი მიზნის მიღწევას კი გამოცდილი ფეხბურთელები სჭირდება.

**- „გურიას“ მთავარ მწვრთნელ თემურ ლორიას საფეხბურთო სამყარო ჯერ კარგად არ იცნობს...**

- ადრე ერთადაც კი გვითამაშია „გურიაში“, ის ძალიან კარგი პიროვნებაა, ბრძოლისუნარიანი გუნდი შექმნა.

**- „გურია“ საბიუჯეტო კლუბია და ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა რამდენად იმოქმედა გუნდის ავან—ჩავანზე?**

- არჩევნების მერე ერთი პერიოდი გაურკვევლობა იყო, თვენახევარი ხელფასი არ აგვიღია, თუმცა ამის მიუხედავად ერთი წუთითაც არ მოვდუნებულვართ. ლანჩხუთიდან პარლამენტის დეპუტატი თემურ ჩხაიძე გახდა და ყურადღებით მოეკიდა „გურიას“, დაეხმარა კლუბს, რომ დავალიანება გასტუმრებულიყო და კვლავ ჰქონოდა დაფინანსების წყარო.

**- პირველი ლიგის გუნდებიდან ყველაზე უფრო რომელი მოგეწონა?**

- „სასკო“ და „გაგრა“, ორივე დალაგებულ ფეხბურთს თამაშობს, რაც შეეხება „დინამო 2“-ს, ახალშექმნილი გუნდია და ჯერ სტაბილურობა აკლია, „დინამო 2“ ამოუცნობ გუნდს ჰგავს, პირველ ლიგაში ნებისმიერის დამარცხება შეუძლია, თუმცა ხანდახან გაუთვალისწინებელ ქულებს კარგავს.

**- „გურიას“ უმაღლეს ლიგაში დაბრუნების კარგი შანსი აქვს და თუ ამ მიზანს მიაღწევს, ისევ „გურიაში“ დარჩები? ისევ აპირებ ფეხბურთის თამაშს?**

- თამაში კიდევ შემიძლია, როგორც ფეხბურთელს, საკუთარი თავი ამოწურული ჯერ არ მაქვს, ღმერთმა ნუ ჰქნას და თუ ტრავმამ არ შემიშალა ხელი, ფეხბურთს კიდევ ვითამაშებ. 26 თებერვალს 36 წელი მისრულდება და თასზე ლანჩხუთში „ზესტაფონს“ ვეთამაშებით. რეალურად ვაფასებ სიტუაციას და მიმაჩნია, რომ „ზესტაფონთან“ უშანსოდ არ ვართ, ბრძოლისა და სწორი თამაშის ხარჯზე თასიდან „ზესტაფონის“ გამოთიშვა შეგვიძლია...

**დავით თავართქილაძე**

დინამო





## ბუბა ტყავაძე:

# ევროპული ტურნირები ძველებურად ჩატარდება

ევროპის კლუბთა ასოციაციის (ECA) დაარსებიდან 5 წელი შესრულდა. G-14-ის დაფუძნების შემდეგ, აქტუალური გახდა, თუ რა მიმართულებით წარიმართებოდა ევროპული საკლუბო ფეხბურთი. კლუბების ხელმძღვანელები განიხილავენ მიმდინარე მოვლენებს, ახალ ტენდენციებს, არსებულ პრობლემებსა და მათი გადაწყვეტის გზებზე მსჯელობენ...

ევროპელთა ეს პატარა იუბილე 2022 წლის ყატარის მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა ორიგინალურად აღნიშნა და საიუბილეო ასამბლეის სხდომის ჩატარება ამ ქვეყნის დედაქალაქ დოჰაში 5-6 თებერვალს შესთავაზა. შეკრებას ესწრებოდნენ უეფას წარმომადგენლებიც.

სამიტს ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და კავშირების დასამყარებლადაც იყენებენ, რადგან ორიოდე დღით ევროპის ყველაზე ცნობილი თუ უცნობი კლუბების თავკაცები გვერდიგვერდ ჩნდებიან.

ECA კლუბების ინტერესების დასაცავად ჩამოყალიბდა და საფეხბურთო სამყაროში სიტყვა რომ ეთქმის, ესეც მეტყველებს - ორგანიზაციის თავმჯდომარე მიუნხენის "ბაიერნის" აღმასრულებელი დირექტორი **კარლ—ჰაინც რუმენიგე** გახლავთ, ხოლო ერთ—ერთი აღმასრულებელი წევრი "ბარსელონას" პრეზიდენტი **სანდრო როსელი**.

თბილისის "დინამოს" პრესსამსახურის ცნობით, ასამბლეაზე იმყოფებოდნენ თბილისის "დინამოს" დირექტორი **ალექსანდრე შახოვი** და სპორტული დირექტორი **ბუბა ტყავაძე**. დოხაში განიხილეს შეჯიბრებითობის პრინციპები, ფინანსური ასპექტები, ინსტიტუციონალური კავშირები, კლუბების მარკეტინგისა და ახალგაზრდული აკადემიების განვითარების პრობლემები, მარკეტინგული საკითხები და ევროპული კლუბების ფინანსური განვითარების მოდელი.

"დინამოსთვის" ეს საკითხები აქტუალურია, რადგან თბილისური კლუბის საფეხბურთო აკადემია უახლოეს პერიოდში ფუნქციონირებას ახალი ინფრასტრუქტურით და სამწვრთნელო მეთოდოლოგიით დაიწყებს.

ბუბა ტყავაძეს თურქეთში (სადაც "დინამო" შეკრებაზეა) დავუკავშირდით და ყატარული შთაბეჭდილებების გაზიარება ვთხოვეთ.

- ამჯერად, საიუბილეო სხდომა გახლდათ და ნაკლებად იყო სამუშაო გარემო. ძირითადი დრო ყატარში მსოფლიო ჩემპიონატის პრეზენტაციასა და სხვა საკითხებს დაეთმო.

**- უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ უეფა ახალ პროექტებს ამზადებს.**

- დიახ, ლაპარაკია ევროთასების პარალელურად გუნდების ცხრამეტწლამდელების ტურნირის გამართვაზეც. ეს საკითხი შარშანც განიხილებოდა და მისი განხორციელება რეალური და სასურველიც არის.

**- როგორც შევიტყვეთ, უეფას ჩემპიონთა ლიგის და ევროპის ლიგის ერთ ტურნირად გაერთიანებაზე მსჯელობა დასრულდა.**

- დიახ, გადაწყდა, რომ ტურნირები იმავე ფორმატით დარჩება.

**- ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა, თუ საკითხი მხოლოდ დროებით დაკონსერვდა?**

- ჯერ მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ჩემპიონთა და ევროპის ლიგების გათამაშებები უახლოესი სამი წლის განმავლობაში კვლავ ცალ-ცალკე ჩატარდება.

**- საქართველო ადრინდელ ასამბლეებზე სოლიდარობის ფონდიდან ჩვენნაირ ქვეყნებზე გამოყოფილი თანხების გაზრდას ითხოვდა.**

- ამჯერად, ჩვენი წინადადებები არ წარგვიდგენია, რადგან თავად ორგანიზაციამ მოამზადა რამდენიმე საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხი. "დინამოსთვის" მნიშვნელოვანი აღმოჩნდა კლუბებსა და ფეხბურთელებს შორის მესამე პირის ჩარევის საკითხი, რომლებიც ტრანსფერებზე მუშაობენ. უეფაშიც და ფიფაშიც მათ საქმიანობაზე არაერთი კითხვა გაჩნდა.

**- კონკრეტულად...**

- არიან მენეჯერები, რომლებიც ამა თუ იმ კლუბში რამდენიმე ფეხბურთელთან თანამშრომლობენ. ფიფასა და უეფას და კლუბების გაერთიანებასაც აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ასეთ მენეჯერებს კლუბში დასაქმებული ე.წ. "მათი ფეხბურთელების" დახმარებით, მატჩების შედეგზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ. სწორედ ამიტომ დადგა აქტიურად საკითხი – არის კი ფეხბურთში ასეთი ხალხის ადგილი?

**მერაბ მამულაშვილი**

სამზადისი

## ბოლო თურქული ტესტი

თურქულშეკრებაზე გორის "დილამ" მორიგი საკონტროლო შეხვედრა გამართა, სერბულ "რადნიჩკისთან" 0:1 დამარცხდა. გორელებმა გოლი 58-ე წუთზე გაუშვეს.

"დილას" სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **იკსტენსი, ალადაშვილი, კვახაძე, თოთაძე, ჯიშკარიანი, გვალია, მაისურაძე, კახელიშვილი, ლეონარდო, ილურიძე, მოდებაძე.**

შეცვლაზე შევიდნენ: **არაბული, არზიანი, ლომიძე, გორელიშვილი, აბურჯანია, მამალაძე, ლობე, გოცირიძე.**

ეს "დილას" ბოლო მატჩი იყო თურქულ შეკრებაზე, **ვალდას ივანაუსკასის** გუნდი საქართველოში 13 თებერვალს დაბრუნდება.

**დავით თავართქილაძე**

## ბათუმელებმა თურქეთში პირველი მოიგეს

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა ბათუმის "დინამომ" უცხოეთში პირველი ამხანაგური შეხვედრა გამართა და ყაზახეთის გასული ჩემპიონატის მერვეადგილოსან „აკჟაიკს“ 4:1 მოუგო. გოლები გაიტანეს უბერებელმა (39 წლის) **ამირან მუჯირმა**, იუბილარმა **თორნიკე ბერიძემ** (თამაშის დღეს 23 წლის გახდა), ახალწვეულმა **ბესიკ ჩიმაკაძემ** და **ტატო აბუსელიძემ**, რომელმაც მეორე ამხანაგურ შეხვედრაში (წინა - ქობულეთში „გურიასთან“) შეძლო გატანა.

**მათე ბურული**

## ფრე მოსკოვის ტორპედოსთან

უმაღლესლიგელთა უმრავლესობის მსგავსად, სეზონის მეორე ნახევრისთვის ბოლნისის "სიონიც" თურქეთის ზღვისპირეთში ემზადება. სიდეში ქვემოქართლელებმა ამხანაგური მატჩი მოსკოვის "ტორპედოსთან" ჩაატარეს და ფრედ, 0:0 ითამაშეს.

სიონი: **ბობლიაშვილი, ქემოკლიძე, ორბელაძე, ლექვთაძე, ელიავა, ცხადაია, ისიანი, ჯოჯუა, ჰაიდუჩეკი, უგრეხელიძე, ახალაია.**

შეცვლაზე შევიდნენ: **სვანიძე, მიკუჩაძე, ნემსაძე, ხურციძე, მანწკავა, დ. ფოფხაძე.**

ბოლნისელებმა სახელიან მეტოქეს ტოლი არ დაუდეს. "სიონისთვის" გამარჯვების მოტანა ლადო ახალაიას შეეძლო, რომლის დარტყმაც მეტოქის კარის ძელს მოხვდა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ტრანსფერი

## იოსელიანი კეჩკემეტის ფეხბურთელია



გივი იოსელიანმა (მარცხნივ) უნგრულ „კეჩკემეტთან“ კონტრაქტი გააფორმა

**გივი იოსელიანის** რამდენიმედღიანი სინჯები უნგრული "კეჩკემეტის" შემადგენლობაში წარმატებით დასრულდა – კლუბმა მასთან კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტა და ხელშეკრულება უკვე გაუფორმა კიდეც, რის ამსახველ ფოტოსაც "კეჩკემეტის" ოფიციალურ ვებგვერდზე ნახავთ.

22 წლის ქართველი ნახევარმცველი ბოლოს ქუთაისის "ტორპედოს" ღირსებას იცავდა, რომლის შემადგენლობაშიც მიმდინარე სეზონში ოფიციალური მატჩი არ ჩაუტარებია. არც შეეხება "კეჩკემეტის", იოსელიანის ახალი კლუბი უნგრეთის ელიტარულ ლიგაში მე-12 ადგილზეა და იქ დასარჩენად იბრძვის.

**ლევან ჯანეზაშვილი**

პლაჟის ფეხბურთი



# ბათუმში გრანდები გვესტუმრებიან?

პლაჟის ფეხბურთში ვარსკვლავების მონაწილეობამ (**ერიკ კანტონა, კრისტიან კარამბუ, მიგელ და ხულიო სალინასები, რომარიო, ჟუნიორი, ზიკო...**) სახეობას დიდი პოპულარობა მოუტანა და მისი ტელეაუდიტორიაც გააფართოვა - საპლაჟო ფეხბურთის მატჩების ტრანსლირება უკვე 170 ქვეყანაში ხდება. ამან პლაჟის ფეხბურთი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დინამიურად განვითარებადი და ბიზნესისთვის მიმზიდველ სპორტის სახეობად აქცია.

2005 წლიდან კოპაკაბანასა და რიო დე ჟანეიროს პლაჟებზე ფიფა მსოფლიო ჩემპიონატებს ატარებს. მსოფლიოს ცნობილ კურორტებსა და ქალაქებში ქალთა და ვაჟთა შორის, კიდევ მრავალი კომერციული ტურნირი ტარდება სამოყვარულო და პროფესიონალ გუნდებს შორის, უნივერსიადები. ამინდის სეზონურობაზე რომ არ იყვნენ ორგანიზატორები და პრომოუტერები დამოკიდებულნი, ჩრდილოურ ქვეყანაში დახურული საპლაჟო ფეხბურთის სტადიონები მოაწყვეს; მისმა პოპულარობამ განაპირობა, რომ ბევრ გრანდს ("ბარსელონა", "რეალი", "მილანი", "ინტერი", "რომა", "მარსელი" და ა.შ.) საპლაჟო ფეხბურთის გუნდიც ჰყავს.

2013 წლიდან, ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვებულთა მონაწილეობით, დაიწყება ოფიციალური საკლუბო ჩემპიონატი, ე.წ. „ჩემპიონთა ლიგა". მსოფლიო საპლაჟო ფეხბურთის მესვეურებსა და საერთაშიროსო ოლიმპიურ კომიტეტს შორის მოლაპარაკება ოლიმპიურ სახეობად აღიარების თაობაზე მიმდინარეობს.

... ასე რომ, ეს თითქოსდა გასართობი და ტურისტული სპორტი რამდენიმე წლის განმავლობაში ძალიან მზარდ ინდუსტრიად ჩამოყალიბდა. როგორი მდგომარეობაშია საქართველოში ეს სახეობა? ამის შესახებ ქვიშის ფეხბურთის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი **ჯაბა ჭანტურია** გველაპარაკება.

## დღევანდელობა

გასული წლების განმავლობაში საქართველოს ნაკრები მხოლოდ ერთხელ შეიკრება და სარეიტინგო ტურნირში ითამაშა, მაგრამ ეს მცდელობა უიღბლოდ დასრულდა. შემდეგ ეროვნული გუნდი აღარ შეკრებილა. უმოქმედობის გამო, დღესდღეობით საქართველო ფიფას და BSWW-ის (პლაჟის ფეხბურთის მსოფლიო ასოციაცია) ოფიციალურ რეიტინგში ბოლო ადგილებზეა.

სულ მცირე დროა, რაც საქართველოში სახეობის განვითარებისთვის აუცილებელი ნაბიჯებიც დაიგეგმა. 2010-2012 წლებში, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის და ბათუმის მერიის მხარდაჭერით, ბათუმში აჭარის ფუტზალისა და საპლაჟო ფეხბურთის ასოციაციებმა საერთაშორისო საკლუბო ტურნირი ჩაატარეს, რომელშიც მონაწილეობდნენ ყაზახეთის, მოლდოვის, აზერბაიჯანის, თურქეთის, ირანის, სომხეთისა და საქართველოს კლუბები. ტურნირისადმი ინტერესი ყოველწლიურად იზრდება, რამდენიმე კომპანია სპონსორობაზე დაგვთანხმდა. მაგრამ ტურნირებს არ ჰქონდა საერთაშორისო ან სარეიტინგო სტატუსი, რის გამოც ცნობილი კლუბები და ვარსკვლავები ვერ მოვიწვიეთ, საქართველომ კი სარეიტინგო ქულები ვერ მოიპოვა.

## ჟენევის შემდეგ

პლაჟის ფეხბურთის მსოფლიო ასოციაციამ 2013 წლის 8-9 იანვარს ციურიხში, ფიფას ოფისში მიგვიწვია სემინარზე, სადაც საქართველოში სახეობის განვითარებაზე მოლაპარაკებები გავმართეთ, განვიხილეთ სხვა საინტერესო საკითხები, 2013 წლის მსოფლიო ჩემპიონატთან და 2013 წლის ჩემპიონთა ლიგასთან დაკავშირებული თემები. კონფერენციაში მონაწილეობდა გადაწყვეტილებების მიმღები თითქმის ყველა რელევანტური ორგანიზაცია და ფიგურა. ვიზიტის შემდეგ ეროვნულ ფედერაციაში დავიწყეთ უახლოესი წლების სამოქმედო გეგმაზე მუშაობა: საქართველოს ისტორიაში პირველად, წელს ჩატარდება ეროვნული ჩემპიონატი ვაჟთა და ქალთა გუნდებს შორის. გამარჯვებულ გუნდებს მიიწვევენ ფიფას, უეფასა და პლაჟის ფეხბურთის მსოფლიო ასოციაციის ეგიდით დაგეგმილ მსოფლიო საპლაჟო ფეხბურთის ჩემპიონთა ლიგაზე; ბათუმსა და ქობულეთში ჩატარდება უნივერსიადა, სასკოლო ტურნირი და ქალაქის პირველობა, ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე ვაპირებთ ევროპული გრანდების მიწვევას.

## რისი იმედი გვაქვს?

ჩემპიონატისა და ტურნირების ჩატარებას ბათუმში, ქობულეთსა და ანაკლიაში არსებულ 10-მდე ქვიშის მოედანზე ვაპირებთ. პლაჟის ფეხბურთის მსოფლიო ასოციაციის წარმომადგენლებთან გაიმართა მოლაპარაკება, რომ საქართველოში მისი ეგიდით ოფიციალური ტურნირის ერთ-ერთი ეტაპი ან სარეიტინგო შეჯიბრება ჩატარდეს - მათ მზაობა უკვე გამოხატეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაფინანსების მოძიების შემთხვევაში, უკვე წლეულს ზაფხულში საქართველოში მსოფლიო ორგანიზაციის სარეიტინგო ტურნირის ან საერთაშორისო "ჩელენჯ კაპის" ორგანიზება შესაძლებელია.

თუ გავითვალისწინებთ პლაჟის ფეხბურთის მონათესავე ფუტსალის სწრაფ წინსვლას, ჩვენთან "ეზოს ფეხბურთის" პოპულარობასა და სპორტის განვითარებისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს - საქართველოში ტურიზმის პოტენციალს - შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ ამ სახეობას ჩვენში დიდი მომავალი აქვს.

**მერაბ მამულაშვილი**

არგენტინა. ტორნეო ფინალი. I ტური

# თრილერი და დრამა ბომბონერაზე

**უნიონი-არსენალი 1:1**

**გოლები:** 1:0 ალემანი (7), 1:1 ბენედეტო (90).
**გაძევება:** ლუგუერსიო (78. არსენალი), დ. პერესი (90. არსენალი).

**არ. ხუნიორსი-ველესი 0:1**

**გოლები:** 0:1 პრატო (34).

**ოლ ბოისი-გოდოი კრუსი 1:1**

**გოლები:** 0:1 ფ. კასტილიონი (45), 1:1 აჰუმადა (77).

**ესტუდიანტესი-ტიგრე 1:3**

**გოლები:** 1:0 გელაბერტი (9), 1:1 ბოტა (28), 1:2 დონატი (45), 1:3 პენიალბა (76).

**ბოკა-კილმესი 3:2**

**გოლები:** 0:1 ვ. ოლივერა (5), 0:2 მენენდესი (9), 1:2 ერვიტი (38), 2:2 გ. ბურდისო (68), 3:2 გ. ბურდისო (81).
**გამოუყენებელი პენალტი:** კაუტერუჩიო (80. კილმესი)
**გაძევება:** კარუსო (79. ბოკა)

**ატლ. რაფაელა-რასინგი 3:0**

**გოლები:** 1:0 ბოვალიო (28-პენ), 2:0 გრაციანი (45-პენ), 3:0 ხ. ლოპესი (49).

**ინდეპენდიენტე-ნიუელსი 1:3**

**გოლები:** 0:1 სკოკო (17), 1:1 ტულა (21), 1:2 სკოკო (77), 1:3 პ. პერესი (82).

ბელგრანო-რივერი 1:2

**გოლები:** 0:1 ვანხიონი (68), 0:2 ლუნა (88), 1:2 ფარე (90).
**გაძევება:** პონსიო (47. რივერი)

**სან მარტინი-სან ლორენსო 0:0**
**ლანუსი-კოლონი** გვიან დასრულდა

## ბიანკი დაბრუნდა, რიკელმე ბრუნდება

არგენტინაში ტორნეო ფინალი დაიწყო და პირველივე ტურში საოცარი შეხვედრის მომსწრენი გავხდით. „ბომბონერაზე", სადაც „ბოკა ხუნიორსი" „კილმესს" მასპინძლობდა, საზეიმო განწყობა იყო შექმნილი და ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველი და უმთავრესი **კარლოს ბიანკის** ხელახალი დებიუტი იყო - მოგეხსენებათ, „ბოკას" ლეგანდარული მწვრთნელი შარშან დაბრუნდა და ლიბერტადორესის თასის 6-გზის მფლობელი, მისი ხელმძღვანელობით პირველ ოფიციალურ მატჩს ატარებდა. გარდა ამისა, შეხვედრის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ **ხუან რომან რიკელმე** „ბოკაში" ბრუნდებოდა, რამაც გულშემატკივრები აღაფრთოვანა. რიკელმე შეხვედრას დაესწრო.

„კილმესმა" მრისხანე მეტოქე ტორნეო ინისიალში 3:0 გაანადგურა, შესაბამისად „ბოკელები" რევანშზეც ფიქრობდნენ, მაგრამ მატჩი ძალიან მოულოდნელად დაიწყო და უკვე მე-9 წუთზე სტუმრები ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ. ბიანკის შეგირდებმა მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში ერთი ნორმალური კომბინაცია გაითამაშეს და ისიც **ვალტერ ერვიტის** გოლით დასრულდა.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა გაცილებით უკეთ ითამაშეს და **გილერმო ბურდისომ** ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ, დადგა ორწუთიანი მონაკვეთის დრო, რომელიც „ბოკას" ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაეწერება. 79-ე წუთზე, შეტევაში გადასულ მასპინძლებს „კილმესის" კონტრიერიში გამოეპარათ, რასაც საბოლოოდ მათ კარში პენალტის დანიშვნა და **მატიას კარუსოს** გაძევება მოჰყვა. ეპიზოდის გმირი „ბოკას" კაპიტანი **აგუსტინ ორიონი** გახდა, რომელმაც **მარტინ კაუტერუჩიოს** დარტყმა მოიგერია, ხოლო ამ მომენტიდან ერთ წუთში, **ლაუტარო აკოსტამ** კუთხური მოაწოდა, გილერმო ბურდისომ კი ბურთი, მიწაზე დაუშვებლად, კარის შორეული „ცხრიანისკენ" გაგზავნა. გოლი იმდენად ლამაზი იყო, რომ მისი სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია. ნაცვლად იმისა, რომ ანგარიში 2:3 გამხდარიყო, ორიონის და გილერმო ბურდისოს ბრწყინვალე გარჯის წყალობით, 10-კაციანმა „ბოკა ხუნიორსმა", კარლოს ბიანკის დაბრუნება არ ჩაუშხამა და პირველი გამარჯვება მოიპოვა.

## რასინგის გარდა ყველა ფავორიტმა მოიგო

რევანში აიღო „რივერ პლეიტმაც", ვინც სტუმრად „ბელგრანოს" მოუგო. შეგახსენებთ, რომ სწორედ „ბელგრანოსთან" წაგების შემდეგ დავარდა „რივერი" პრიმერა დივიზიონიდან, ხოლო დაბრუნებისთანავე ისევ „ბელგრანოს" შეხვდა და იქაც დამარცხდა.

ამჯერად, **რამონ დიასის** შეგირდებმა, მიუხედავად იმისა, რომ მათ 47-ე წუთზე **ლეონარდო პონსიო** გაუძევეს, სამი ქულის აღება შეძლეს. ახალ გუნდში სადებიუტო მატჩში გაიტანა „ნიუელსიდან" გადმოსულმა **ლეონელ ვანხიონიმ**. სტუმართა მხრიდან მეორე გოლი **კარლოს ლუნას** ანგარიშზეა.

ჩემპიონატი მოგებით დაიწყო „ველესმა", რომლის რიგებშიც არ გამოჩენილა **ფერნანდო გაგო**, რადგან შვედეთიდან არგენტინაში გვიან ჩავიდა. **დიეგო მარადონას** სახელობის სტადიონზე, პირველი ტაიმის მიმდინარეობისას შუქი ჩაქვრა, რის გამოც შეხვედრა 25 წუთით შეწყდა. მატჩის ერთადერთი გოლი 45-ე წუთზე **ლუკას პრატომ** შორეული დარტყმით გაიტანა – გოლი ძალიან ლამაზი გამოვიდა და რომ არა გილერმო ბურდისო, ტურის ყველაზე ლამაზი გოლის ავტორი უდავოდ პრატო იქნებოდა.

ახალი ჩემპიონატი დუბლით დაიწყო წინა პირველობის თანაბომბარდირმა **იგნასიო სკოკომ**, რომლის „ნიუელსმაც", მიუხედავად გუნდიდან ვანხიონის და **სპერდუტის** (პალერმოში) წასვლისა, სტუმრად „ინდეპენდიენტეს" მოუგო. **ამერიკო გალიეგოს** გუნდს, ტორნეო ინისიალის ჩათვლით, უკვე 9 შეხვედრაა არ მოუგია და გასავარდნ ზონაში ფეხი მყარად აქვს მოკიდებული.

რაფაელას „ატლეტიკომ", პირველობის ერთ-ერთი ფავორიტი „რასინგი" გაანადგურა. სტუმრებს ტრავმირებული **ადრიან სენტურიონი** არ ჰყავდათ, სამაგიეროდ დებიუტი ჰქონდა **მარიო ბოლატის**, რომელიც არგენტინაში „ინტერნასიონალიდან" დაბრუნდა. „ატლეტიკომ" ჩემპიონატის დაწყების წინ **სესარ კარინიანო** დაკარგა, რომელიც მეორე დივიზიონის „პატრონატოში" გადავიდა და მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა **ლუის სუბელდიას** გუნდი მიწასთან გაასწორეს.

ვერ მოიგო კლაუსურა 2012 წლის გამარჯვებულმა „არსენალმა", რომელიც საბოლოოდ ფრითაც კმაყოფილი დარჩა, რადგან სარანდელებმა ანგარიში 94-ე წუთზე გაათანაბრეს, თანაც მაგ დროისთვის მოედანზე უკვე 9 კაცით იყვნენ. „უნიონი" მართლაც წყალწაღებულია – ამ გუნდს უკვე 24 (!) მატჩია არ მოუგია.

**ტატო ბაციკაძე**

ბრაზილია. შტატების ჩემპიონატები. პაულისტა და კარიოკა

# რივალდოს შედეგიანი დებიუტი და როჟერიო სენის მორიგი გოლი

**პაულისტა. VII ტური.**

**კორინთიანსი-სან კაეტანო 2:2**

**გოლები:** 1:0 გერერო (38), 1:1 რივალდო (49), 1:2 დანიელზინიო (64), 2:2 პაულინიო (88).

**გუარანი-სან პაულო 1:2**

**გოლები:** 0:1 ალოიზიო (33), 1:1 ტიაგო ჯენტილი (46), 1:2 როჟერიო სენი (50).

**სანტოსი-პაულისტა 1:3**

**გოლები:** 0:1 მარსელო მასედო (52-პენ), 0:2 როდოლფო ტესტონი (85), 0:3 კასიანო ბოდინი (87), 1:3 ნეიმარი (90).

**მოჟი მირიმი-პალმეირასი 2:2**

**გოლები:** 0:1 მარსიო არაუჟო (12), 1:1 რონი (32), 2:1 რონი (70), 2:2 სოუზა (77).

**ბრაგანტინო-სან ბერნარდო 3:2**

**იტუანო-პონტე პრეტა 3:3**
**უნ. ბარბარენსე-ბოტაფოგო (სპ) 1:1**
**ოესტე-მირასოლი 2:1**
**პენაპოლენსე-ატლ. სოროკაბა 1:1**
**XV დე პირასიკ.-ლინენსე** გვ. დასრულდა

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. პონტე პრეტა – 15 ქულა, 2. სანტოსი – 14, 3. პენაპოლენსე – 13, 4. პალმეირასი – 12, 5. ლინენსე (6 თამაშიდან) – 12, 6. კორინთიანსი – 12, 7. ბოტაფოგო (სპ) – 12, 8. მოჟი მირიმი – 11, 9. სან პაულო (5 თ) – 10, 10. ბრაგანტინო – 9, 11. პაულისტა – 9, 12. იტუანო – 9, 13. XV დე პირასიკაბა (6 თ) – 8, 14. ატლ. სოროკაბა – 6, 15. უნ. ბარბარენსე (6 თ) – 5, 16. სან კაეტანო (6 თ) – 5, 17. ოესტე – 5, 18. მირასოლი – 4, 19. გუარანი – 4, სან ბერნადრო – 4.

**ბომბარდირები:** 6 – ნეიმარი (სანტოსი); 5 – მირალიესი (სანტოსი);

„კორინთიანსი"-"სან კაეტანოს" შეხვედრაში, სტუმართა რიგებში **რივალდოს** დებიუტი შედგა. „ბარსელონას" ყოფილ ფეხბურთელს ადაპტაციისთვის ბევრი დრო არ დასჭირდა და მატჩის 49-ე წუთზე თავისი პირველი გოლიც გაიტანა. აღსანიშნავია, რომ „კორინთიანსი" რივალდოს ყოფილი კლუბია, სადაც ამჟამად მისი შვილი, **რივალდინიო** ირიცხება, თუმცა მამა-შვილის დაპირისპირება არ შედგა, რადგან რივალდინიო ჯერ ძირითადი გუნდის განაცხადში ვერ ხვდება.

„სან პაულომ" სტუმრად „გუარანის" მოუგო, გამარჯვების გოლი კი **როჟერიო სენიმ** გაიტანა, თანაც ჯარიმიდან. ბრაზილიელმა მეკარემ კარიერაში 109-ე გოლი გაიტანა.

მთავარი სენსაცია კი „პაკაემბუზე" დაფიქსირდა, სადაც უძლიერესი შემადგენლობით მოთამაშე „სანტოსი" „პაულისტასთან" დამარცხდა, მასპინძელთა მხრიდან გოლი **ნეიმარმა** გაიტანა და ახლა ის ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნულად ლიდერობს.

**კარიოკა. ტაკა გუანაბარა. VI ტური.**

**ფრიბურგენსე-ფლამენგო 0:4**

**გოლები:** 0:1 ერნანი (6), 0:2 ერნანი (12), 0:3 რაფინია (53), 0:4 კლებერ სანტანა (61).

**ბოტაფოგო-რესენდე 4:2**

**გოლები:** 0:1 მარსელი (20), 0:2 ელიასი (32-პენ), 1:2 ზეედორფი (42), 2:2 მარსიო აზევედო (46), 3:2 სიდინიო (64), 4:2 სასა (85).

**ფლუმინენსე-ვასკო 1:1**

**გოლები:** 0:1 ჟეანი (42-საკ. კარში), 1:1 ფრედი (86).

**ოლარია-მაკაე 2:2**
**ნოვა იგუასუ-ბოავიშტა 1:2**
**აუდაქს რიო-ვოლტა რედონდა 0:0**
**დუკე დე კაშიასი-მადურეირა 0:1**
**ბანგუ-კისამა 0:1**

**სატურინო მდგომარეობა:**

**A ჯგუფი:** 1. ბოტაფოგო – 14, 2. მადურეირა – 11, 3. ვასკო და გამა – 10, 4. ფრიბურგენსე – 7, 5. ვოლტა რედონდა – 6, 6. ნოვა იგუასუ – 4, 7. კისამა – 4, 8. ოლარია – 3.

**B ჯგუფი:** 1. ფლამენგო – 16, 2. ფლუმინენსე – 12, 3. აუდაქს რიო – 11, 4. ბოავიშტა – 10, 5. ბანგუ – 8, 6. რესენდე – 6, 7. მაკაე – 4, 8. დუკე დე კაშიასი – 4.

**ბომბარდირები:** 7 – ერნანი (ფლამენგო); 4 – ფრონტინი (ვოლტა რედონდა), ზეედორფი (ბოტაფოგო), მარსელი (რესენდე), ბერნარდო (ვასკო და გამა).

ტაკა გუანაბარას მე-6 ტურში მორიგი მატჩი მოიგო „ფლამენგომ", რომელმაც სტუმრად „ფრიბურგენსე" გაანადგურა. მორიგი გოლები გაიტანა ახალგაზრდა **ერნანმა.** მოიგო „ა" ჯგუფის ლიდერმა „ბოტაფოგომ", მაგრამ საკმაოდ გაუჭირდა. ისევ გაიტანა **კლარენს ზეედორფმა,** ვინც წინა ტურში ჰეთთრიქი შეასრულა.

ცენტრალური მატჩი „ფლუმინენსესა" და „ვასკო და გამას" შორის შედგა. ბრაზილიის 2012 წლის ჩემპიონი დიდი ხნის განმავლობაში აგებდა, მაგრამ „ვასკომ" უპირატესობა ვერ შეინარჩუნა. გოლი, რა თქმა უნდა, **ფრედმა** გაიტანა.

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. სამშაბათის მატჩების წინ

# იუვენტუსი სელტიკ პარკზე

## ნედველი: ვიცი, გლაზგოში ჯოჯოხეთი გველის!

ხანგრძლივ მოლოდინს ბოლო მოეღო: ევროპული საკლუბო ფეხბურთის მშვენება, ჩემპიონთა ლიგა დღეს მერვედფინალის პირველი რაუნდის ორი მატჩით განახლდება. ორივე მატჩი თანაბრად საინტერესოა და დღევანდელი საღამოს წინასამატჩო ამბების მიმოხილვა „სელტიკისა“ და „იუვენტუსის“ დაპირისპირებით დავიწყოთ, რომელიც გლაზგოში, „სელტიკ პარკზე“ გაიმართება.

**სელტიკი (შოტლანდია)-**
**იუვენტუსი (იტალია) 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**სელტიკი (4-4-2):** ფორსტერი - მეთიუსი, ლუსტიგი, კ. ვილსონი, ისაგირე - ს. ბრაუნი, ვანიამა, მულგრიუ, კომონსი - სამარასი, ჰუპერი.

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი - ბონუჩი, ბარძალი, კასერესი - ლიხტშტაინერი, ვიდალი, პირლო, მარკიზიო, ასამოა (ან დე ჩელიე) - ვუჩინიჩი, მატრი (ან ჯოვინკო).

**არბიტრი:** ალბერტო უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

**ურთიერთშეხვედრები**

**31.10.2001**

**სელტიკი-იუვენტუსი 4:3**

**გოლები:** 0:1 დელ პიერო (19), 1:1 ვალგაერენი (24), 2:1 სატონი (45), 2:2 ტრეზეგე (51), 3:2 ლარსონი (56-პენ), 4:2 სატონი (64), 4:3 ტრეზეგე (76)

**18.09.2001**

**იუვენტუსი-სელტიკი 3:2**

**გოლები:** 1:0 ტრეზეგე (42), 2:0 ტრეზეგე (55), 2:1 ს. პეტროვი (67), 2:2 ლარსონი (85-პენ), 3:2 ამორუზო (89-პენ)

მერვედფინალის წილისყრის შემდეგ ლამის მთელი ევროპა შეთანხმდა იმაზე, რომ „იუვენტუსს“ გაუმართლა, პლეი ოფში პირველ მეტოქედ გლაზგოს „სელტიკი“ რომ ერგო, მაგრამ შოტლანდიური გრანდი საჩუქარი არ არის და ეს ტურინელებმაც კარგად იციან. „სელტიკი“ ის გუნდია, რომელმაც ჯგუფურ ეტაპზე „ბარსელონას“ დამარცხება შეძლო (2:1 გლაზგოში) და კატალონიურ გრანდს „ნოუ კამპზეც“ უშელავათო ბრძოლა გაუმართა (1:2). შედეგად, გლაზგოელთა მერვედფინალში მოხვედრა არავის გაჰკვირვებია და ფაქტია, რომ შოტლანდიელები იტალიელებს იოლად არაფერს დაუთმობენ.

ამრიგად, „იუვენტუსი“ არც ისე იოლი ამოცანის წინაშე დგას, როგორც ეს ქაღალდზე შეიძლება ჩანდეს. „სელტიკი“ საჩუქარი რომ არ არის, ეს ტურინელებმა გლაზგოელებთან თამაშის საკუთარი გამოცდილებიდანაც იციან. „იუვე“ შოტლანდიურ კლუბს ჩემპიონთა ლიგაში 2001 წელს ორჯერ შეხვდა და ორივე მატჩში უმძიმესი ბრძოლა გადაიტანა. ტურინული დუელი მაშინ „იუვემ“ **ნიკოლა ამორუზოს** მიერ ბოლო წუთებზე გატანილი პენალტით, 3:2 მოიგო, გლაზგოში კი „სელტიკმა“ უფრო უხვგოლიან მატჩში გაიმარჯვა (4:3). მართალია, მაშინ გლაზგოელები გაცილებით შემტევ, აქტიურ და აგრესიულ ფეხბურთს თამაშობდნენ, რამაც განაპირობა კიდეც „იუვენტუსთან“ უხვგოლიანი თამაშები, მაგრამ „სელტიკს“ ბრძოლის უნარი ოდითგანვე მოსდევს და ტურინელები იოლ გასეირნებას არც ამჯერად უნდა ელოდონ.



2001 წელს „სელტიკმა“ „იუვენტუსს“ გლაზგოში 4:3 მოუგო, ჰენრიკ ლარსონმა პენალტი გაიტანა. უკან: ალესიო ტაკინარდი და ჩირო ფერარა

### ასამოა საეჭვოა

იტალიის ჩემპიონატის 24-ე ტურში „იუვემ“ ფლორენციის „ფიორენტინასთან“ პრინციპული მატჩი დამაჯერებლად, 2:0 მოიგო და „სელტიკთან“ ბრძოლის წინ კარგი განწყობა შეიქმნა. **ანტონიო კონტეს** გუნდისთვის ყველაზე მთავარი ისაა, რომ „ბებერი ქალბატონის“ ყველაზე ძლიერი რგოლი, ნახევარდაცვა, ძველებურ ფორმას იბრუნებს. **კლაუდიო მარკიზიო** დაბრუნდა და უკვე კარგ ფორმაშია, **არტურო ვიდალი** იდეალურ სეზონს ატარებს და **ანდრეა პირლოც**, ტურინელთა მთავარი სტრატეგი, ჩვეულ ფორმაშია.

„იუვეს“ ნახევარდაცვის სასტარტო ხუთეულიდან მხოლოდ **კვადვო ასამოას** თამაშია კითხვის ნიშნის ქვეშ. ეს უკანასკნელი აფრიკის თასიდან ახლახან, მცირე ტრავმით დაბრუნდა, „ფიორენტინასთან“ კი კონტემ მარცხენა ფლანგზე **პაოლო დე ჩელიე** გაამწესა. ასამოამ თქვა, რომ „სელტიკთან“ დღევანდელ შეხვედრაში მოედანზე გასვლა შეუძლია, მაგრამ კონტე მაინც ორჭოფობს და საბოლოო გადაწყვეტილებას, გაამწესოს თუ არა განელი ძირითადში, ალბათ უშუალოდ მატჩის დაწყების წინ მიიღებს.

„იუვეს“ ყველაზე პრობლემატურ რგოლად თავდასხმა მიიჩნევა, მაგრამ ბოლო დროს ტურინელთა ფორვარდებმა გოლების გატანას მოუხშირეს. როგორც ჩანს, **ნიკოლა ანელკას** ტრანსფერმა განსაკუთრებით **ალესანდრო მატრიზე** იმოქმედა, რომელმაც „ფიორენტინას“ კარიც დალაშქრა და კონტეს საფიქრალი გაუჩინა. ვინ ითამაშებს 3-5-2 ტაქტიკური სქემის წინა ხაზზე **სებასტიან ჯოვინკოსთან** ერთად - **მირკო ვუჩინიჩი**, რომელმაც „ფიორენტინას“ ზღაპრული გოლი გაუტანა, თუ მატრი? კონტე ამ კითხვასაც უშუალოდ მატჩის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე უპასუხებს. დაცვაში „იუვენტუსს“ **ჯორჯო კიელინი** აკლია, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურინული გრანდის უკან ხაზში **კასერესის, ბარცალისა** და **ბონუჩის** ტრიო უნდა ვიხილოთ.

### სელტიკიც კარგ ფორმაშია

„სელტიკის“ უმთავრესი იმედები კი „იუვენტუსთან“ მატჩისთვის მეკარე **ფრეიზერ ფორსტერი** და ბერძენი თავდამსხმელი **გიორგიოს სამარასი** არიან. ეს განსაკუთრებით ფორსტერს ეხება, რადგან პირველ რიგში სწორედ მისი დამსახურებაა ჯგუფურ ეტაპზე „ბარსელონასთან“ გამარჯვება და საერთოდ „სელტიკის“ მერვედფინალში გასვლაც.

ზოგადად, გლაზგოური კლუბიც საკმაოდ კარგ ფორმაშია. ამ უქმეებზე გლაზგოელებმა უახლოესი მდევარი „ინვერნესი“ 3:1 დაამარცხეს და „რეინჯერსის“ არყოფნაში, შოტლანდიის ჩემპიონატის ცხრილს 18-ქულიანი უპირატესობით ლიდერობენ, რაც იმას ნიშნავს, რომ **ნეილ ლენონის** გუნდი ასი პროცენტით „იუვესთან“ დუელებზეა კონცენტრირებული. ლენონს **ჯეიმს ფორესტი** დროულად გამოუჯანმრთელდა და სადღეისოდ წამყვანი მოთამაშეებიდან მხოლოდ **ამბროუზი** (აფრიკის თასზე თამაშობდა) აკლია.

### ნედველი: იუვე მოტივირებულია!

*„ჩვენი გუნდი საკმაოდ კარგ ფორმაშია და მიმაჩნია, რომ ჩემპიონთა ლიგის განახლებას სრულ მზადყოფნაში ვხვდებით, - აცხადებს* **პაველ ნედვედი**, *- ვიცი, როგორი ატმოსფეროც ელის გუნდს გლაზგოში, რადგან აქტიური სპორტული კარიერის დროს საკუთარ თავზე გამოვცადე, რას ნიშნავს „სელტიკ პარკზე“ თამაში. ბიჭებსაც ვუთხარი, გლაზგოში ჯოჯოხეთი გელით-მეთქი და ვფიქრობ, რომ მენტალურად ყველაფრისთვის მზად არიან. ასეთი მოტივირებული „იუვენტუსი“ იშვიათად მინახავს. „სელტიკის“ ბარიერის გადალახვა ადვილი ნამდვილად არ იქნება, მაგრამ ეს უნდა გავაკეთოთ.“*

# გაანგრევს იბრა ვალენსიურ ბეტონს?

## ვალვერდეს დაცვა ზლატანის წინააღმდეგ

შეიხების ფულით გაძლიერებულმა პსჟ-მ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი უპრობლემოდ დაძლია და, რა თქმა უნდა, ამით არ კმაყოფილდება. ზლატან იბრაჰიმოვიჩს და კომპანიას რაც შეიძლება შორს გასვლა უნდათ და ჩემპიონთა ლიგის თასზე სამართლიანად ოცნებობენ. კარლო ანჩელოტის გუნდის მეტოქე მერვედფინალში ესპანური „ვალენსიაა“. პირველი დუელი დღეს „მესტალიაზე“ გაიმართება, რომელშიც პარიზელთა ამოცანა, საპასუხო მატჩისთვის სასურველი შედეგის მიღწევაა.

**ვალენსია (ესპანეთი)-**
**პსჟ (საფრანგეთი) 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვალენსია (4-2-3-1):** გუაიტა - ჟოაო პერეირა, რამი, რიკარდო კოშტა, გუარდადო - ვიქტორ რუისი, ტინო კოსტა - ფეგული, ბანეგა, ჟონასი - სოლდადო.

**პსჟ (4-2-3-1):** სირიგუ - ვან დერ ვილი, ალექსი, სახო, მაქსველი - ვერატი, მატუიდი - ლუკას მოურა, პასტორე, ლავეცი - იბრაჰიმოვიჩი.

**არბიტრი:** პაოლო ტალიავენტო (იტალია)

**ურთიერთშეხვედრები**

**ჩემპიონთა ლიგაში არ უთამაშიათ**

„ვალენსიას“ ძლიერი დაცვა ჰყავს, პარიზელთა წინა ხაზში კი **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** თამაშობს - ესეც ამ დუელის უმთავრესი ინტრიგა. თუმცა პსჟ მარტო ზლატანი როდია - **კარლო ანჩელოტის** გუნდში კიდევ ისეთი შემოქმედი ჰყავს, როგორიცაა **ესეკილ ლავეცი**. მიუხედავად ამისა, მაინც არის საფრთხე, რომ თამაში ინერტული გამოვიდეს, რადგან „ვალენსიასგან“ შეტევების კორიანტელს არავინ ელის. ერთი სიტყვით, სანახაობრიობის თვალსაზრისით ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ტაქტიკა-სტრატეგიას აირჩევს ანჩელოტი - მძაფრად შეუტევს, თუ არა.



ზლატან იბრაჰიმოვიჩი პარიზელთა მთავარი იმედია

### ვალენსია ჟონასის და სოლდადოს იმედად

„ვალენსიამ“ ამ მატჩის გენერალური რეპეტიცია ესპანეთის ჩემპიონატში ვიგოში გაიარა, სადაც ადგილობრივი „სელტა“ **ვალდესის** გოლით, მინიმალური ანგარიშით დაამარცხა. ზოგადად, „ლამურების“ პროგრესი სახეზეა: „ვალენსიამ“ ბოლო ათი თამაშიდან მხოლოდ ორი წააგო და ეს ორივე მარცხი მადრიდის „რეალთან“ განიცადა - თასზე და ლა ლიგაში.

ზემოთ პსჟ-ს წინა ხაზზე ვისაუბრეთ და ვთქვით, რომ ანჩელოტის განკარგულებაში ერთმანეთზე უკეთესი შემტევები არიან, მაგრამ არც „ვალენსიას“ ჰყავს ცუდი თავდასხმა: **რობერტო სოლდადოს** და **ჟონასს** ჩემპიონთა ლიგაში 4-4 გოლი აქვთ გატანილი. აღსანიშნავია ისიც, რომ მთავარ მწვრთნელ **ერნესტო ვალვერდეს** ყველა წამყვანი ფეხბურთელი **ალი სისოკოს** გარდა მწყობრში ჰყავს და დისკვალიფიცირებულიც არავინაა.

### ბექჰემისთვის ჯერ ადრეა

მიუხედავად ამისა, ექსპერტები ამ მატჩში ფავორიტის სტატუსს პსჟ-ს ანიჭებენ. ანჩელოტის გუნდს საფრანგეთის ჩემპიონატში საქმეები იდეალურად მისდის, სატურნირო ცხრილს 6-ქულიანი უპირატესობით ლიდერობს და ბოლო 9 თამაშიდან 8 მოგებული აქვს. 37 წლის **დევიდ ბექჰემს** პარიზელთა 18-კაციან განაცხადში დღესაც ვერ ვიხილავთ - ვეტერანი ინგლისელი ჯერ ფორმაში არაა, საპასუხო მატჩისთვის კი, შეიძლება, ანჩელოტისთვის ალტერნატივად იქცეს.

### ლავეცი: ვალენსია დიდი გუნდია

ორივე გუნდის უდიდესი ისტორიისა და ტრადიციების გათვალისწინებით გასაკვირია, რომ პსჟ და „ვალენსია“ ოფიციალურ მატჩში ერთმანეთს პირველად დაუპირისპირდებიან. ისე კი აღსანიშნავია, რომ „ვალენსიას“ ფრანგული კლუბების წინააღმდეგ თავის გატანა უჭირდა. 8 საშინაო მატჩიდან „ლამურებმა“ ფრანგული კლუბი მხოლოდ ერთხელ დაამარცხეს.

მიუხედავად ამისა, პარიზელთა არგენტინელი ლიდერი ლავეცი „ვალენსიას“ დიდ პატივს სცემს: *„ვალენსია“ უდიდეს პატივისცემას იმსახურებს - რაც არ უნდა იყოს, ეს ესპანური გუნდია, ესპანეთში კი შესანიშნავ ფეხბურთს თამაშობენ, - უთხრა ლავეციმ უეფას ოფიციალურ ვებგვერდს და იქვე დასძინა, - „ვალენსია“ ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს და ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობის უდიდესი გამოცდილება აქვს.“*

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**




ტოტენჰემი

## ანდრე ვილაშ ბოაში:
# ბეილი მეორე რონალდოა

„უაით ჰართ ლეინს“ დიდი ხანია, ახალი გმირი ჰყავს. 23 წლის **გარეთ ბეილი** „დეზების“ გულშემატკივართა ნამდვილი კერპია. მიმდინარე სეზონში უელსელის ანგარიშზე მარტო კლუბში 33 შეხვედრაში 18 გოლი და 10 შედეგიანი გადაცემაა. კიდევ უფრო საინტერესო სტატისტიკასაც გეტყვით: „ტოტენჰემმა“ უკანასკნელ 3 შეხვედრაში 4 გოლი შეაგდო და ოთხივეს ავტორი ბეილია. ჩრდილოლონდონელთა მთავარი მწვრთნელი **ანდრე ვილაშ ბოაში** მიიჩნევს, რომ ფეხბურთელს თავისუფლად შეუძლია იმავე როლის თამაში, როგორსაც „რეალში“ **კრიშტიანო რონალდო** ასრულებს. პორტუგალიელი აცხადებს, რომ მისი შეგირდი ბოლო ხანს სულ სხვა სიმაღლეებზე ავიდა, რაც იმის მანიშნებელია, რომ განვითარება სწორი მიმართულებით მიდის. აი, რას აცხადებს ვილაშ ბოაში:



*„თქვენ თავად შეგიძლიათ ბეილსა და რონალდოში საერთო შტრიხების დანახვა. ფიზიკურად ორივე ძალიან ძლიერი, სწრაფი და ტექნიკურად სრულყოფილია. როცა მათ შორის პარალელს ავლებ, ამჩნევ, რომ ისინი ბუნებრივად არიან დაჯილდოებულნი საგოლე ალღოთი. გარეთმა კარიერა მარცხენა მცველად დაიწყო. მერე გარემარბად ათამაშდა და დარწმუნებული ვარ, რომ თავდასხმაშიც წარმატებით შეუძლია თამაში. რონალდოც ნახევარმცველია, მაგრამ წინა ხაზში ძალიან ეფექტურია. რონალდო 28 წლისაა და უკვე ძალიან ბევრ რამეს მიაღწია. გარეთისთვის ის მაგალითია, თუ რისი მიღწევა შეუძლია. „ნორვიჩთან“ მეორე ტაიმში ის, ფაქტობრივად, თავდამსხმელად თამაშობდა. ეს ტაქტიკა ჩვენ შემდგომ უკვე „ვესტ ბრომვიჩთან“ და „ნიუკასლთანაც“ გამოვიყენეთ და ორჯერვე შესანიშნავი შედეგი მივიღეთ“.*

მანჩესტერ სიტი

# რევოლუცია სიტიში:
## ტევესი და ჯეკო ბალოტელის გზას დაადგებიან... მანჩინიც



**სიტიმ შემდეგი სეზონისთვის თავდასხმის ლიდერებიდან შეიძლება მხოლოდ სერხიო აგუერო (მარცხნივ) შეინარჩუნოს**

ბრიტანული პრესის ცნობით, „მანჩესტერ სიტის“ 2013/14 წლების სეზონისთვის საკადრო რევოლუცია აქვს დაგეგმილი. ცვლილებები პირველ რიგში თავდასხმის ხაზს შეეხება. „ქალაქელებმა“ იანვარში **მარიო ბალოტელი** „მილანში“ გაყიდეს, ზაფხულზე კი იტალიელის კვალს ალბათ **ედინ ჯეკო** და **კარლოს ტევესიც** გაჰყვებიან. „ეტიჰადზე“ ამჟამინდელი შემადგენლობიდან მხოლოდ **სერხიო აგუერო** და **ჯონ გვიდეტი** დარჩებიან. მიუხედავად იმისა, რომ 20 წლის შვედს მიმდინარე სეზონში ერთხელაც არ უთამაშია, მის საფეხბურთო პოტენციალს ეჭვქვეშ არავინ აყენებს. ყველაზე საინტერესო **კარლოს ტევესის** მომავალია. 29 წლის არგენტინელს ბოლო ორი ტურია, აღარ უთამაშია, „ლივერპულთან“ ის ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე იჯდა, „საუთჰემპტონთან“ კი განაცხადშიც არ იყო. სამხრეთამერიკელით რამდენიმე ევროპული კლუბია დაინტერესებული. ყველაზე რეალური მათ შორის ფრანგული „მონაკოს“ ვარიანტია. თავად ფეხბურთელს კი კარიერის გაგრძელება სამშობლოში ურჩევნია. „მირორის“ ცნობით, თუკი „დორტმუნდმა“ **რობერტ ლევანდოვსკი** „ბაიერნში“ გაუშვა, რურელები მის მაგივრად ედინ ჯეკოს შეიძენენ. ამ შემთხვევაში ერთადერთი პრობლემა ბოსნიელის სახელფასო მადაა, „ეტიჰადზე“ მას კვირაში 120 ათას ფუნტს უხდიან. ცხადია, „ბორუსია“ მას ამდენს ვერ შესთავაზებს. სამაგიეროდ, მას გარანტირებული ექნება ადგილი ძირითად შემადგენლობაში.

ორიოდე სიტყვა სავარაუდო ახალწვეულებზეც ვთქვათ. დიდწილად ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ ვინ იქნება „სიტის“ მთავარი მწვრთნელი მომდევნო სეზონში. **რობერტო მანჩინის** სკამი დიდი ხანია, მორყეულია. იტალიელს პოსტის შესანარჩუნებლად ტიტულის მოგება სჭირდება. მას ამის ერთადერთი შანსი აქვს – ასოციაციის თასი. 17 თებერვალს 1/8-ფინალში „სიტი“ „ლიდს იუნაიტედს“ შეხვდება და თუკი მოქმედმა ჩემპიონებმა ეს ეტაპი ვერ გადალახეს, მანჩინის უკვე შეეძლება ჩემოდნების ჩალაგებაზე იზრუნოს. კონკრეტულად ფეხბურთელებს რაც შეეხება, ლაპარაკია ატლეტიკოელ **რადამელ ფალკაოსა** ან ნეაპოლელ **ედინსონ კავანიზე**. სამხრეთამერიკელებს „სიტის“ გარდა სხვებიც იწვევენ. შესაბამისად, ინგლისელებს სერიოზული არგუმენტების მოტანა დასჭირდებათ მათთვის, რომ ვარსკვლავებმა არჩევანი მათ სასარგებლოდ გააკეთონ. ამას გარდა ლაპარაკია, რომ „სიტი“ დაინტერესებულია **კრისტიან ბენტეკეს** (ასტონ ვილა), **ბოიან კრკიჩისა** (მილანი) და **მაურო იკარდის** ტრანსფერებით. უკანასკნელზე დასაკვირვებლად მანჩინი კვირას თავად დაესწრო „სამპდორია“-„რომას“ შეხვედრას (3:1). 19 წლის ფეხბურთელმა „ჯალოროსის“ 77-ე წუთზე ულამაზესი გოლი გაუტანა. თავდამსხმელების გარდა მანკუნიანელებს **მატს ჰუმელსისა** (დორტმუნდი) და **კრისტიან ერიკსენის** (აიაქსი) ყიდვაც აქვთ გეგმაში.

ამბები

### ჩიკო ლიგის თასის ფინალს დააკლდება

24 თებერვალს „სუონსის“ ინგლისის ლიგის თასის ფინალში „ბრედფორდთან“ ელის დაპირისპირება. გადაუჭარბებლად შეიძლება თქმა, რომ „უემბლიზე“ დანიშნული შეხვედრა უელსელებისთვის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანია. სამწუხაროა, რომ „გედებს“ წამყვანი ცენტრალური მცველი **ჩიკო ფლორესი** დააკლდებათ. 25 წლის ესპანელმა უკანახაზელმა ამ უქმეებზე „ქუინზ პარკთან“ პირველივე ტაიმში დაიჭიმა კოჭის მყესები. დაზიანება იმდენად სერიოზული იყო, რომ ფეხბურთელი სტადიონიდან პირდაპირ საავადმყოფოში გადაიყვანეს. პასუხი შეკითხვაზე, თუ რა დრო დასჭირდება მოთამაშეს ფეხზე დასადგომად, „სუონსის“ სამედიცინო შტაბს ჯერ არ აქვს. გუშინ დილას ჩიკო გუნდთან ერთად დუბაის შეკრებაზე გაემგზავრა, სადაც მას ყველა საჭირო პროცედურა ჩაუტარდება.

### ევანსი და ჯონსი დაიმტვრნენ

„მანჩესტერ იუნაიტედის“ მთავარი მწვრთნელი **ალექს ფერგიუსონი** კვირას „ევერტონთან“ შესუსტებული შემადგენლობის გამოყვანას აპირებდა, მაგრამ მერე ალიარა, რომ „სიტის“ მარცხმა მას გეგმები შეაცვლევინა. საბოლოოდ „ეშმაკებს“ სასტარტოში მხოლოდ **მაიკლ კერიკი** არ ჰყავდათ. 31 წლის საყრდენის ადგილას **ფილ ჯონსმა** ითამაშა, თუმცა უკანასკნელმა 55-ე წუთზე ტრავმა მიიღო და ვეტერანი იძულებული გახდა, მოედანზე გამოსულიყო. ჯონსმა ფეხის კუნთი დაიჭიმა. 25 წუთში ფერგი იძულებული გახდა ტრავმის გამო კიდევ ერთი მოთამაშე შეეცვალა. ამჯერად ტრავმა **ჯონი ევანსმა** მიიღო. ისიც კუნთმა შეაწუხა. „იუნაიტედის“ შტაბში ალბათ დღეს თუ გაარკვევენ, შეძლებენ თუ არა „რეალთან“ თამაშს ახალგაზრდა უკანახაზელები.

### კრეიგ გორდონი ფეხბურთიდან მიდის

შოტლანდიელი გოლკიპერი **კრეიგ გორდონი** კარიერის საწყის ეტაპზე დიდ იმედებს იძლეოდა. „ჰართსის“ ძირითადი მეკარის სტატუსი მან 18 წლისამ მოიპოვა. 21-ისა ის უკვე შოტლანდიის ნაკრების ძირითადი კარის დარაჯი იყო. გორდონის უიღბლობა 2007 წელს „სანდერლენდში“ ტრანსფერი[illegible] დაიწყო. მას შემდეგ ნიჭიერი ფეხბურთელი ტრავმებმა დატანჯა. გასული წლის ივნისში შოტლანდიელს „შავ კატებთან“ ხელშეკრულება დაუსრულდა და მას მერე უგუნდოდაა. როგორც ჩანს, აქტიური საფეხბურთო კარიერის გაგრძელებას 30 წლის კრეიგი აღარც აპირებს. მისი თქმით, ახლა ის სამწვრთნელო კურსებზე დადის და ერთი სული აქვს, როდის დაიწყებს ახალ ეტაპს ცხოვრებაში.

### ადებაიორს დაგვიანება ძვირი დაუჯდა

„სანის“ ცნობით, აფრიკის ეროვნებათა თასის დასრულების შემდეგ ლონდონში დათქმულზე გვიან დაბრუნების გამო „ტოტენჰემმა“ **ემანუელ ადებაიორი** 160 ათასი ფუნტით დააჯარიმა. 28 წლის ტოგოელი თავდამსხმელი და კომპანია კონტინენტის პირველობას კვირას გამოეთიშნენ. ფეხბურთელი კლუბში ყველაზე გვიან პარასკევს 3 საათზე უნდა გამოცხადებულიყო. ამისთვის კლუბმა მას პირადი თვითმფრინავიც კი აახლა, მაგრამ ადებაიორი ბაზაზე 3 საათის დაგვიანებით მივიდა, რაც მას ძალიან ძვირი დაუჯდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ერთგული ბიბლიოთეკა

ინგლისი

**პრემიერლიგა. XXVI ტური**

**ლივერპული–ვესტ ბრომვიჩი 0:2**

**გოლები:** 0:1 მაკაული (81), 0:2 ლუკაკუ (90)
**ლივერპული (4-4-2):** რეინა – გ. ჯონსონი, აგერი, კარაგერი, ხ. ენრიკე – ჰენდერსონი (60. სტერლინგი), ჯერარდი, ლუკასი, დაუნინგი (78. კოუტინიო) – შელვი (60. ბორინი), სუარესი,
**ვესტ ბრომვიჩი (4-4-1-1):** ფოსტერი – რიდი, მაკაული, ოლსონი, რიჯუელი – მულუმბუ, დორანსი (74. ლუკაკუ), იაკობი, მორისონი - ბრანტი – ლონგი (86. ფორჩუნი)
**გაფრთხილება:** სუარესი - რიდი, რიჯუელი, მორისონი, ბრანტი
**შენიშვნა:** ჯერარდმა ვერ გაიტანა პენალტი (77)
**კარში დარტყმა:** 14-4 (7-3) **კუთხური:** 13-5 **თამაშგარე:** 5-1 **ჯარიმა:** 10-9 **ბურთის ფლობა:** 58%-42%
**მაყურებელი:** 44 752

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 26 | 21 | 2 | 3 | 62-31 | 65 |
| 2. სიტი | 26 | 15 | 8 | 3 | 48-24 | 53 |
| 3. ჩელსი | 26 | 14 | 7 | 5 | 55-28 | 49 |
| 4. ტოტენჰემი | 26 | 14 | 6 | 6 | 44-30 | 48 |
| 5. არსენალი | 26 | 12 | 8 | 6 | 50-29 | 44 |
| 6. ევერტონი | 26 | 10 | 12 | 4 | 40-32 | 42 |
| 7. სუონსი | 26 | 9 | 10 | 7 | 38-29 | 37 |
| 8. ვესტ ბრომვიჩი | 26 | 11 | 4 | 11 | 36-35 | 37 |
| 9. ლივერპული | 26 | 9 | 9 | 8 | 44-34 | 36 |
| 10. სტოკ სიტი | 26 | 7 | 12 | 7 | 26-31 | 33 |
| 11. ვესტ ჰემი | 26 | 8 | 6 | 12 | 29-38 | 30 |
| 12. ფულჰემი | 26 | 7 | 8 | 11 | 36-42 | 29 |
| 13. სანდერლენდი | 26 | 7 | 8 | 11 | 28-34 | 29 |
| 14. ნორვიჩი | 26 | 6 | 11 | 9 | 25-40 | 29 |
| 15. საუთჰემპტონი | 26 | 6 | 9 | 11 | 36-45 | 27 |
| 16. ნიუკასლი | 26 | 7 | 6 | 13 | 34-46 | 27 |
| 17. ასტონ ვილა | 26 | 5 | 9 | 12 | 25-50 | 24 |
| 18. რედინგი | 26 | 5 | 8 | 13 | 33-48 | 23 |
| 19. უიგანი | 26 | 5 | 6 | 15 | 30-51 | 21 |
| 20. ქუინზ პარკი | 26 | 2 | 11 | 13 | 19-41 | 17 |

ესპანეთი. ლა ლიგა.

**XXIII ტური**

**ბეტისი–ვალიადოლიდი 0:0**

**ბეტისი (4-3-3):** ადრიანი - ჩიკა, პაულაუ, ამაია, ნაჩო - ნონო (80. მოლინსი), რ. პერესი, ბენიატი - პაბონი (65. ხუან კარლოსი), მოლინა, კემპბელი.
**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დ. ერნანდესი - რუკავინა, სერენო, რუედა, ბალენსიაგა - რუბიო, სასტრე - დ. ლარსონი (73. ლოლო), ოსკარი (76. პენია), ბუენო (54. ომარი) - გერა.
**გაფრთხილება:** ამაია - სერენო, რუკავინა, გერა, სასტრე
**გაძევება:** რუკავინა (75), ამაია (92)
**კუთხური:** 10-3; **ჯარიმა:** 12-14; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 17-1 (4-0); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.
**მაყურებელი:** 26 785

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 23 | 20 | 2 | 1 | 78-26 | 62 |
| 2. ატლეტიკო | 23 | 16 | 2 | 5 | 44-23 | 50 |
| 3. რეალი | 23 | 14 | 4 | 5 | 58-22 | 46 |
| 4. მალაგა | 23 | 11 | 6 | 6 | 36-21 | 39 |
| 5. ვალენსია | 23 | 11 | 4 | 8 | 32-35 | 37 |
| 6. ვალეკანო | 23 | 12 | 1 | 10 | 33-39 | 37 |
| 7. სოსიედადი | 23 | 10 | 6 | 7 | 37-29 | 36 |
| 8. ბეტისი | 23 | 11 | 3 | 9 | 31-34 | 36 |
| 9. ლევანტე | 23 | 10 | 3 | 10 | 29-35 | 33 |
| 10. ვალიადოლიდი | 23 | 8 | 6 | 9 | 32-29 | 30 |
| 11. სევილია | 23 | 8 | 5 | 10 | 30-34 | 29 |
| 12. ხეტაფე | 23 | 8 | 5 | 10 | 29-42 | 29 |
| 13. ესპანიოლი | 23 | 7 | 7 | 9 | 30-34 | 28 |
| 14. გრანადა | 23 | 7 | 5 | 11 | 22-32 | 26 |
| 15. ბილბაო | 23 | 7 | 5 | 11 | 29-46 | 26 |
| 16. სარაგოსა | 23 | 7 | 3 | 13 | 23-33 | 24 |
| 17. ოსასუნა | 23 | 5 | 7 | 11 | 19-27 | 22 |
| 18. სელტა | 23 | 5 | 5 | 13 | 21-28 | 20 |
| 19. მალიორკა | 23 | 4 | 6 | 13 | 23-43 | 18 |
| 20. დეპორტივო | 23 | 3 | 7 | 13 | 27-51 | 16 |

ლივერპული

# დაუნინგის იმედები

„ლივერპული“ იმ კლუბებს შორის არის, სადაც ხელმძღვანელობას სეზონის დასრულებისთანავე სერიოზული საკადრო წმენდის ჩატარება მოუწევს. **ბრენდან როჯერსი** ამ თემაზე ჯერ კიდევ დანიშვნისას ალაპარაკდა, მაგრამ იქვე აღნიშნა, რომ ერჩივნა, პრობლემა ეტაპობრივად მოეგვარებინა. ერთ-ერთი, ვის მიმართაც გასული წლის ზაფხულზე მწვრთნელი სკეპტიკურად იყო განწყობილი, **სტიუარტ დაუნინგი** გახლდათ. როჯერსი ერთი პერიოდი დაუნინგს განაპირა მცველად უპირებდა დაყენებას, მაგრამ ექსპერიმენტი წარუმატებელი გამოდგა. მას მერე 28 წლის გარემარბმა თამაშს ერთიორად მოუმატა და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „ენფილდზე“ აუცილებლად დარჩება. თავად ფეხბურთელი ბოლომდე აპირებს ბრძოლას, რათა მწვრთნელს დაუმტკიცოს, რომ „ლივერპულს“ სჭირდება მისი სამსახური. *„როცა როჯერსმა თავის გამოჩენის შესაძლებლობა მომცა, ვიცოდი, რომ ეს ერთ-ერთი უკანასკნელი შანსი იქნებოდა „ლივერპულში“ ფეხის მოკიდების. თუკი ისევე ვითამაშებ, როგორც ახლა, მწვრთნელი ჩემს გაშვებას ნამდვილად არ მოისურვებს. ყოველთვის, როცა მოედანზე ვარ, ვცდილობ დავამტკიცო, რომ ჩემს შეფასებაში ცდებოდნენ. სეზონის დასრულების შემდეგ ახალწვეულები კიდევ მოვლენ, რაც გუნდის პოტენციალზე დადებითად უნდა აისახოს. შემადგენლობის გაძლიერება ჩემთვის კიდევ ერთი გამოწვევაა. მზად ვარ, მომავალშიც დავამტკიცო, რომ მოწოდების სიმაღლეზე ვდგავარ,“* – განაცხადა დაუნინგმა goal.com-თან ინტერვიუში.



**სტიუარტ დაუნინგს ლივერპულისთვის საკუთარი ღირსებების მტკიცება ხშირად უწევს**

### მარტინ კელის მაისამდე არ უნდა ველოდოთ

„ლივერპულისა“ და ინგლისის ნაკრების 22 წლის მცველმა **მარტინ კელიმ** სეზონი კარგად დაიწყო. პირველი 5 ტურიდან 4-ჯერ ის ძირითად შემადგენლობაში იყო, მაგრამ 23 სექტემბერს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ „ენფილდზე“ ნაგებულ შეხვედრაში (1:2) მუხლის მყესები გაიწყვიტა და გუნდს დიდი ხნით გამოაკლდა. თავდაპირველად ტრავმა ასეთი სერიოზული არ ჩანდა. იმაზეც კი იყო ლაპარაკი, რომ კელი ფეხბურთს იანვრის დასაწყისში დაუბრუნდებოდა, მაგრამ მკურნალობამ ბევრად უფრო დიდი დრო მოითხოვა. როგორც ირკვევა, მარტინს ლაზარეთში დარჩენა სეზონის ბოლომდე მოუწევს. უკეთეს შემთხვევაში ის მოედანზე დაბრუნებას მაისში თუ მოახერხებს. კელის მსგავსად მუხლის ჯვარედინი მყესების ტრავმა მიიღო „ლივერპულის“ დუბლების წევრმა, 18 წლის ცენტრფორვარდმა **სამედ იესილმა**. გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა დაზიანება იტალიელ თანატოლებთან შეხვედრაში (0:1) მიიღო. წინასწარი ვარაუდით, ახალგაზრდა ფეხბურთელი ოქტომბრის ბოლომდე ვერ ითამაშებს. სამედმა ძირითად გუნდში წელს ორჯერ ითამაშა და ორჯერვე ლიგის თასზე.

● იტალია. სერია A. XXIV ტურის შეჯამება

# ელ შაარავი ბალოტელის ჩრდილში

## რატომ დაარტყა ოსვალდომ პენალტი?


სტეფან ელ შაარავიმ უგოლო მატჩებს მოუხშირა

**ვერ ვიტყვით, რომ XXIV ტურმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა, მაგრამ ბევრი საინტერესო ამბავი კი ნამდვილად მოხდა. მაგალითად, ლიდერმა უახლოეს მდევართან ქულათა სხვაობა გაზარდა, მილანურმა გრანდებმა კიდევ ერთხელ გაცვალეს ადგილები, „რომას" ტიფოზებმა საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს ობსტრუქცია მოუწყვეს და ა.შ. ამ ყველაფერზე ქვემოთ...**

### სტრამაჩონი: ასეთია ნამდვილი ინტერი!

„ინტერი"-„კიევოს" შეხვედრა კვირას გვიან ღამით გაიმართა და ტურის მიმოხილვაში მასზე არაფერი გვითქვამს. „ნერაძურიმ" ალმაფრენით ჩაატარა მატჩი და ვერონული გუნდი ერთი ამოსუნთქვით დაამარცხა. მილანელთა შეტევა ტრავმამოშუშებულმა **დიეგო მილიტომ** გამოაცოცხლა, რომელიც **ანტონიო კასანოსა** და **როდრიგო პალასიოსთან** ერთად მოქმედებდა.

თამაშის სტარტზე ანგარიში კასანომ გახსნა, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს ალინიშნოს, რომ „კიევოს" კიპერის უხეში შეცდომის წყალობით... ტაიმის შუაწელს, **ლუკა რიგონი** მილანელთა საჯარიმოში შეიჭრა და თავური დარტყმით ანგარიში გაქვითა. თუმცა ვერონელებს სიხარული არ დასცალდათ - მალევე, **ანდრეა რანოკიამ** იხეირა, თავური დარტყმით ბურთი მეტოქის კარის ბადეში გაახვია და „ინტერი" კიდევ ერთხელ გაიყვანა წინ. მეორე ტაიმში, ერთი ბურთი **დიეგო მილიტომაც** გაიტანა და საბოლოოდ, 3:1 მილანელთა სასარგებლოდ.

ნამატჩევს, „ინტერის" მთავარმა მწვრთნელმა **ანდრეა სტრამაჩონიმ** შემდეგი განაცხადა: *„ძალიან კარგი შეხვედრა ჩავატარეთ და ვფიქრობ, კრიტიკოსებიც გავაჩუმეთ. ამ შეხვედრით დამტკიცდა, რომ „ინტერის" ჩამოწერა ძალიან ადრეა. კასანო-პალასიო-მილიტომ ყველა დავალება პირნათლად შეასრულეს და მთლიანობაში, ბრწყინვალედ ითამაშეს. სწორედ ასეთია ნამდვილი „ინტერი" და რაც მთავარია, პროგრესი გაგრძელდება".*

### მილანს შეტევაში უჭირს

„მილანი" სარდინიაზე ჩავიდა და იქაურ „კალიარისთან" ორი ქულა დაკარგა. სატურნირო ცხრილის თვალსაზრისით, ტრაგიკული არაფერი მომხდარა და „როსონერი" კვლავაც რჩება ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების რეალურ პრეტენდენტად, მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ „როსონერი" უკვე მეორე თამაშია შეტევაში ფაქტობრივად ვერაფერს ქმნის?!

**მასიმილიანო ალეგრის** შეგირდებმა „უდინეზე" გამოგონილი პენალტის წყალობით დაამარცხეს, სარდინიაზე კი ნაგებას ბეწვზე გადაურჩნენ და იქაც, თერთმეტმეტრიანით იხეირეს. „მილანს" შეტევაში უჭირს და ეს მიუხედავად იმისა, რომ გუნდს **მარიო ბალოტელი** დაემატა. იტალიელი ჟურნალისტები ალეგრის აკრიტიკებენ და მის ტაქტიკურ მონახაზს იწუნებენ, რომლის მიხედვითაც სუპერ-მარიო ცენტრფორვარდია, **სტეფან ელ შაარავის** და **მბიაე ნიანგს** კი ფლანგებზე უწევთ სირბილი. იგივე ელ შაარავი მთელ ფლანგზე დარბის, ამ საქმეს უდიდეს ენერგიას ახარჯავს და საფუძვლიანი ეჭვია, რომ ამის გამო, დამაგვირგვინებელ ფაზაში ძველებურად ეფექტური ველარ არის. „პატარა ფარაონი" აქამდეც გარემარბობდა, მაგრამ ბალოტელის ტრანსფერის შემდეგ ლამის კლასიკურ ნახევარმცველად იქცა და შეტევაზე მეტ დროს, ჩაშლას უთმობს. მოკლედ, სტეფანი ჩრდილში მოექცა და მის უგოლო მატჩებსაც მივეჩვიეთ.

არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც „ფარაონის" ხასიათს უკავშირდება. ყველას კარგად გვახსოვს, რომ ელ შაარავი **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** ემდუროდა და ამბობდა, მოედანზე მიყვირის და ისე ვერ ვთამაშობ, როგორც შემიძლიაო. წავიდა თუ არა შვედი პსჟ-ში, სტეფანმა ლიდერის თვისებები გამოავლინა და შთამბეჭდავად ათამაშდა. მას შემდეგ, რაც „მილანში" ბალოტელი გადაბარგდა, მთელი ყურადღება მასზე გადავიდა და ელ შაარავიც თითქოს ჩაიკარგა.

მოკლედ, „მილანს" შეტევაში უჭირს და ჟურნალისტთა მტკიცებით, ამაში მთავარი დამნაშავე მასიმილიანო ალეგრია... მწვრთნელმა ცენტრფორვარდად ბალოტელი გაამწესა, ბომბარდირთა დავაში მეორე ადგილზე მყოფი ელ შაარავი კი ფლანგზე დოლის ცხენივით დაჯღიგინებს. გაითვალისწინებს ალეგრი ჟურნალისტთა რჩევებს? - ვნახოთ...

### რატომ დაარტყა პენალტი ოსვალდომ?

„რომამ" „სამპდორიასთან" წააგო, რაც არავის გვიკვირს, მაგრამ ამ შეხვედრაში ერთი ფრიად მოულოდნელი ამბავი მოხდა. გენუელთა კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა, ბურთთან კი რატომლაც არა **ფრანჩესკო ტოტი**, არამედ **პაბლო დანიელ ოსვალდო** მივიდა. ჯობდა არ მოსულიყო, რადგან იტალიის ნაკრების ფორვარდს კიპერმა აჯობა. ნამატჩევს, რომაელთა თავკაც **აურელიო ანდრეაცოლის** პირველი ის ჰკითხრეს, რატომ დაარტყა პენალტი ოსვალდომ და შემდეგი მოისმინეს:

*„წარმოდგენა არ მაქვს და შესაბამისად, ვერაფერს გეტყვით, შტატიანი პენალტისტი სწორედ ჩესკოა და მეც მიკვირს, რატომ მივიდა ბურთთან ოსვალდო. ამ საკითხით აუცილებლად დავინტერესდები, რადგან თავადაც ნახეთ, რა შედეგი შეიძლება მოიტანოს ასეთმა ექსპერიმენტმა".*

ჟურნალისტებმა ოსვალდო მკაცრად გააკრიტიკეს და მას ამბიციების მოთოკვისკენ მოუწოდეს - გულშემატკივრებმა სულაც ობსტრუქცია მოუწყვეს საკუთარ გუნდს, ოსვალდოს კი სხვადასხვა საგანი ესროლეს. ამის შემხედვარე, თვით ფრანჩესკო ტოტი ალშფოთდა, რომელმაც ბევრისთვის მოულოდნელად, ოსვალდოს მხარი დაუჭირა:

*„გუნდს ცუდი დროება უდგას, მაგრამ ეს აგრესია საჭირო ნამდვილად არაა. ყველაზე მეტად ჩვენ გვინდა, რომ მოვიგოთ, მაგრამ სხვადასხვა მიზეზთა გამო ქულების მოგროვება გვიჭირს. ვფიქრობ, გუნდის თამაშში მცირე პროგრესი შეინიშნება და მალე, ყველაფერი შეიცვლება. რაც შეეხება ოსვალდოს, მასთან შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს, რომელსაც პენალტის გამო არ გავაფუჭებ. პაბლო გრძნობდა, რომ გაიტანდა, თუმცა ინტუიციამ უმტყუნა. ამაზე უკვე ვილაპარაკეთ, არანაირი გაუგებრობა არ ყოფილა და ჯობია, მოვეშვათ ამ თემით სპეკულირებას".*

### ლიდერი და მდევარი

ლიდერმა მდევართან ქულათა სხვაობა ხუთამდე გაზარდა, მაგრამ **ვალტერ მაცარი** იმედოვნებს, რომ უკვე მომდევნო ტურში „ნაპოლი" ისევ ერთი ფეხის ნაბიჯზე მიუახლოვდება „იუვენტუსს". საქმე ისაა, რომ „ვეკია სენიორას" „რომასთან" უწევს გასვლითი პაექრობა, „ჯალოროსი" კი რაც არ უნდა კრიზისში იყოს, ასეთ თამაშებს მაღალ დონეზე ატარებს. თვითონ „ნაპოლი" „სამპდორიას" მიიღებს და ბუნებრივია, სამი ქულის მოპოვებას შეეცდება.

ყურადღების ცენტრში რჩება ნეაპოლელი **უგო კამპანიარო**, რომელმაც „ლაციოს" საოცარი სილამაზის გოლი გაუტანა. 32 წლის არგენტინელმა „ნაპოლისთან" კონტრაქტი არ გაახანგრძლივა და როგორც ამბობენ, ზაფხულში „ინტერში" გადაბარგდება. ამის თაობაზე ჟურნალისტებმა თავად ფეხბურთელს ჰკითხეს და გავრცელებული ცნობაც ფაქტობრივად დადასტურდა - კამპანიაროს თქმით, სეზონის ბოლომდე „ნაპოლისთვის" არაფერს დაიშურებს, შემდეგ კი ახალ გამოწვევას მიიღებს.

**ლაშა ნიკლაური**




● [illegible] ბიბლიოთეკა



### როსი აპრილში დაბრუნდება

ზამთრის სატრანსფერო პერიოდში, „ფიორენტინამ" გარისკა და ტრავმირებული **ჯუზეპე როსი** გადაიბირა. 26 წლის თავდამსხმელი თავის დროზე უმძიმესად დაშავდა და უკვე თვეებია მკურნალობს. გუშინ, ჯუზეპეს კიდევ ერთი გამოკვლევა ჩაუტარდა და გაცხადდა, რომ ფეხბურთს აპრილში დაუბრუნდება. ამის შესახებ როსის პირადმა აგენტმა **ფედერიკო პასტორელომ** განაცხადა:

*„როსი ნიუ იორკშია, სადაც სარეაბილიტაციო კურსს გადის. მკურნალობის პროცესი სტაბილურად მიმდინარეობს, რაც იმედიანად განმაწყობს. თებერვალში ჯუზეპე ფლორენციაში ჩავა და უკვე იქ გააგრძელებს მკურნალობას, აპრილში კი, წესით, მოედანზეც უნდა დაბრუნდეს. ამ დღეს, თავად ფეხბურთელიც მოუთმენლად ელოდება".*

### დელიო როსი არ ცხრება

„სამპდორიას" მთავარი მწვრთნელი **დელიო როსი** კიდევ ერთხელ მოექცა ყურადღების ცენტრში და ამჯერადაც, სკანდალური საქციელის გამო. „სამპა"-„რომას' მატჩისას, გამოცდილმა სპეციალისტმა **ნიკოლას ბურდისოს** უხამსი ჟესტით მიმართა და მას შუა თითი უჩვენა... ეს ეპიზოდი კამერებმაც დააფიქსირეს, გენუური კლუბის მესვეურებმა კი მწვრთნელის დასჯა გადაწყვიტეს. ამ ყველაფერზე თავად როსი ისაუბრებს:

*„ადრეც მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ როგორც მექცევიან, ისე ვიქცევი მეც. ვინც პატივს მცემს, უგივეს იღებს ჩემგანაც, მაგრამ თუ შეურაცხყოფა მომაყენეს, არც მე დავრჩები ვალში. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინციდენტში დამნაშავე ბურდისო იყო, კლუბის მესვეურებს და გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი... ვეთანხმები ფინანსურ სანქციასაც და მზად ვარ, ჯარიმა გადავიხადო".*

დელიო როსის საჯარიმო სანქციასთან დაკავშირებით, განცხადება „სამპდორიას" ოფიციალურ ვებგვერდზეც გაკეთდა, საიდანაც ვგებულობთ, რომ თანხა, რომლის ოდენობა უცნობია, საქველმოქმედო საქმეს მოხმარდება და ბავშვთა ფონდში გადაირიცხება.

**ლაშა ნიკლაური**

● დაპირისპირება

# ლოთარი ულის ბოდიშს ელის

## ყველაფერი ლევანდოვსკის ბრალია

ოფიციალურად დაუდასტურებელი ცნობების თანახმად, დორტმუნდის „ბორუსიას" პოლონელი გოლეადორის, **რობერტ ლევანდოვსკის** „ბაიერნში" გადასვლა გადაწყვეტილი ამბავია, მაგრამ მიუნხენელები არაფერს ადასტურებენ. მეტიც, ამის გამო რეკორდმაისტერის პრეზიდენტი **ული ჰიონესი** ლეგენდარულ ბაიერნელ **ლოთარ მათეუსსაც** კი მისდგა.

საქმე ისაა, რომ 51 წლის მათეუსმა რამდენიმე დღის წინ თქვა, გავიგე, რომ ლევანდოვსკი „ბაიერნში" გადადისო და იქვე დასძინა, მხარეები ყველაფერზე შეთანხმებულან, უბრალოდ, ტრანსფერის განხორციელების დრო დარჩა გასარკვევიო. მათეუსმა ისიც თქვა, რომ „ბაიერნი" 24 წლის ლევანდოვსკიში 25-დან 30 მილიონამდე ევროს გადაიხდის.

ლოთარის ამ განცხადებას 61 წლის ჰიონესი გუშინ გამოეხმაურა: *„ბოლო დროს მათეუსი მარტო ქალებით იყო დაკავებული, ახლა კი „ბაიერნის" ტრანსფერებზე ლაპარაკობს. როგორც ჩანს, მის ცხოვრებაში რაღაც შეიცვალა!"*

მათეუსის პასუხმა არ დააყოვნა: *„ულიმ ამ სიტყვებით შეურაცხყოფა მომაყენა. თუ ლევანდოვსკი „ბაიერნში" არ გადავა, საჯაროდ მოვუბოდიშებ და თუ გადავა, მისგან ველოდები ბოდიშს!"*

რაც შეეხება მთავარს: ლოთარი ამბობს, ტრანსფერის შესახებ ერთ-ერთმა ინსაიდერმა მითხრაო. ასეა, თუ ისე, ფაქტია, რომ „ბაიერნის" ფეხბურთელები ამ ტრანსფერის გარშემო ატეხილი დისკუსიების დამთავრებას ითხოვენ. *„უმჯობესია, ყველაფერი მალე გაირკვეს!"* - ეს **მარიო გომესის** სიტყვებია.

**გოტფრიდ ლენცი**


ული ჰიონესი და ლოთარ მათეუსი

გერმანია. ბუნდესლიგა. XXI ტურის შეჯამება

# ძირი იქა, ლხინი აქა?

## 15 ქულა უკვე ნამეტანია, ბაიერნის ჩემპიონობას წყალი არ გაუვა






დორტმუნდის „ბორუსია“ ზედიზედ ორჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, ახლა კი „ბაიერნის“ დროა

**„ბაიერნი“ „დორტმუნდს“ უკვე 15 ქულით უსწრებს და რომ მოხდეს სასწაული და გერმანიის ჩემპიონობისთვის ბრძოლა სეზონის ბოლომდე მაინც რომ დაიძაბოს, ეს რეკორდმაისტერისთვის უფრო დიდი სირცხვილი იქნება, ვიდრე ის, რომ მიუნხენური გრანდი ზედიზედ ორჯერ ვერ გახდა ჩემპიონი. რაც შეეხება სხვა ამბებს: მეჰმეთ ექიჩის ფეხბურთის თამაში მართლა შესძლებია, რაფაელ ვან დერ ვაარტი ან ნამეტანი გულახდილია, ანაც ნამეტნავად აფრენს, ჯერალდ ასამოა კი თხილის ნამცხვარს ალარასოდეს შეჭამს...**

### გომეში ვიზეს სწორია...

წინა კვირაში ჰოფენჰაიმში ყველა ბედნიერი იყო - როგორც იქნა, **ტიმ ვიზე** მოვიშორეთ და კარში ნორმალური მეკარე ჩავაყენეთო. „ტოტენჰემიდან“ გადაბირებულმა **ეურელიო გომეშმა** სადებიუტო მატჩში იმდენად კარგად ითამაშა, რომ ლამის „სოფლელების“ ფანების საყვარელი ფეხბურთელი გახდა, მაგრამ ამ უქმეებზე, „ჰანოვერთან“ ნაგება (0:1) სწორედ გომეშს უნდა დაბრალდეს, რომელმაც მის საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთზე რეაგირება დააგვიანა და **დიუფმაც** სწორედ ამით ისარგებლა. მეკარის ასეთ შეცდომებს ჰოფენჰაიმელები კი მიჩვეულები არიან - ვიზეც ხომ სწორედ ასეთ და ამაზე უარეს შეცდომებს უშვებდა. ასე რომ, კითხვა, მართლა კარგი მეკარე ჰყავს თუ არა „ჰოფეს“, მაინც აქტუალური დარჩა.

### ვისი ფეხბურთელია ვილიამ კვისტი?

ერთი შეხედვით, რომც არ იცოდეთ, ამის გამოცნობა რთული არაა - **ვილიამ კვისტი** „შტუტგარტის“ საყრდენი ნახევარმცველია, მაგრამ შვაბენლანდური კლუბის ფანებს შაბათს ეს არ სჯეროდათ. „ვერდერთან“ თამაშის დაწყებიდან ერთი საათი იყო გასული და ანგარიში 1:1 გახლდათ, როცა კვისტი **ნილს პეტერსენთან** ორთაბრძოლაში ყოვლად უნიათოთ შევიდა და ბურთი დაკარგა, რის შემდეგაც **აარონ ჰანტმა** „ვერდერი“ დააწინაურა. შტუტგარტელები საბოლოოდ 1:4 განადგურდნენ და თამამად შეიძლება ითქვას, რომ უმძიმეს კრიზისში არიან. ზედიზედ ხუთი მარცხის შემდეგ **ბრუნო ლაბადიას** გუნდი მე-14 ადგილზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ უფრო გადარჩენისთვის იბრძვის, ვიდრე ევროპალიგის საგზურისთვის.

### ვინ არის ვერდერის ათი ნომერი?

**მეჰმეთ ექიჩი** და **ილქაი გიუნდოგანი** ერთ დროს განუყრელი მეგობრები იყვნენ და „ნიურნბერგში“ შესანიშნავ დუეტს ქმნიდნენ. რაკი ასე კარგად თამაშობდნენ, მათ მდიდარი გუნდებისგან კარგი წინადადებები მიიღეს და შესაბამისი ნაბიჯებიც გადადგეს: გიუნდოგანი დორტმუნდის „ბორუსიაში“ გადავიდა, გახდა გერმანიის ჩემპიონი და გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი, ხოლო ექიჩიმ კი ბრემენის „ვერდერს“ მიაშურა და გახდა... ამ წინადადების დასრულება ძალიან ძნელი, ფაქტობრივად შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში, მეჰმეთ ექიჩი იმაზე უკეთესი მოთამაშე ნალდად არ გამხდარა, ვიდრე „ნიურნბერგში“ იყო. ამ შაბათამდე ექიჩის ახალ კლუბში შესაძლებლობების 40 პროცენტიც კი არ ჰქონდა გამოვლენილი. ეს შაბათი კი მისი დღე იყო: ექიჩიმ არა მარტო ბრწყინვალე პასები არიგა, არამედ ორი გოლიც გაიტანა. ამ ორი გოლიდან ერთი იმდენად ლამაზი იყო, რომ ბრემენული კლუბის ფანებს „ვერდერის“ ძველი „ათიანები“, **მიკუ, დიეგო** და **იოზილი** გაახსენდათ. ჰო, „მუსიკოსების“ ათი ნომერი დღეს დიახაც მეჰმეთ ექიჩია.

### ლევანდოვსკი იბრას გზაზე

**რობერტ ლევანდოვსკი** უდავოდ ძალიან მაგარი თავდამსხმელია. თავის დროზე, დორტმუნდის „ბორუსიაში“ რომ გადავიდა, პოლონელ **ფერნანდო ტორესს** უწოდებდნენ, დღესდღეობით კი ტიტულოვან ესპანელ კოლეგაზე ძვირად ფასობს და მასზე უფრო დიდი მოთხოვნაცაა, ვიდრე თავად ტორესზე. რობერტს თავიდან გოლები მშვიდად გაჰქონდა, ამ სეზონში კი უკვე ექსტრავაგანტულ ტრიუკებსაც მიეჩვია - ქუსლით პასებს, ორიგინალურ დარტყმებს და ა.შ. ამ ისტორიის თითქოს ლოგიკური გაგრძელებაა ის, რაც რობერტს შაბათს, „ჰამბურგთან“ მატჩში დაემართა: ჯერ ბრწყინვალე გოლი გაიტანა, მერე კი ჰამბურგელ **სკიელბრედს** ფეხი ისე უშნოდ მოუქნია, რომ ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, მსაჯმა წითელი ბარათი აუფრიალა. ამ დღეებში პოლონელი თავდამსხმელი ალბათ ბევრს იფიქრებს იმაზე, თუ რატომ მოიქცა ასე.

### გულახდილი ვან დერ ვაარტი

*„მსაჯს ლევანდოვსკისთვის წითელი ბარათის ჩვენება აშკარად არ უნდოდა. შესაბამისად, პატარა სპექტაკლი დავდგი იმისათვის, რომ დორტმუნდელი მოედნიდან გაეძევებინა. ამის მერე მსაჯი ასისტენტს ელაპარაკებოდა და საბოლოოდ წითელი ბარათი მაინც ამოიღო,“* - ეს „ჰამბურგის“ ჰოლანდიელი გამთამაშებლის, **რაფაელ ვან დერ ვაარტის** აღიარებითი ჩვენებაა, რომელმაც „დორტმუნდის“ თავკაცი **იურგენ კლოპი** ძალიან გააბრაზა. ფეხბურთის მოყვარულებს ბევრი ისეთი ეპიზოდი გვახსოვს, როცა ერთმა მოთამაშემ პროვოცირებით თუ თეატრალური ვარდნით მომხდარი გაამძაფრა და ამით მატჩის შედეგზე გავლენა იქონია, ეს შემთხვევა კი მართლა პირველია იმ მხრივ, როცა ფეხბურთელმა ეს ყველაფერი მაშინვე, თამაშის შემდეგ აღიარა.

*„ეს იყო ყველაზე ცუდი წინადადება მათ შორის, რაც ოდესმე მომისმენია,“* - ასეთი იყო კლოპის კომენტარი.

### ვან დერ ვაარტი იქით იყოს და...

მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთის კარგად თამაშის გარდა ყველაფერს აკეთებს, ჰამბურგელებისთვის მთავარი სალაპარაკო თემა მაინც ვან დერ ვაარტია. სანამ ჩრდილოგერმანული კლუბის ქომაგები საბოლოოდ დაასკვნიან, რისთვის დაბრუნდა მათთან ჰოლანდიელი „ანგელოზი“, ჩვენ ამ გუნდთან მიმართებაში საუბრისას ყურადღება არა მასზე, არამედ **ჰეონ-მინ სონზე** უნდა გავამახვილოთ, რადგან ყურადღებასაც დიახაც ეს უკანასკნელი უფრო იმსახურებს. სონი „ჰამბურგის“ აღზრდილი, ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერი თავდამსხმელია, რომელსაც შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზეც კარგად გამოსდის თამაში. ის პირველ ბუნდესლიგაში ახლახან გამოჩნდა და უკვე ვან დერ ვაარტის დონის გოლები გააქვს. საკმარისია, თვალი გადაავლოთ იმ გოლებს, რომლებიც მან „ვერდერთან“ და „დორტმუნდთან“ გაიტანა და ამაში თვითონაც დარწმუნდებით. „ბორუსიასთან“ მან სულაც დუბლი შეასრულა და განსაკუთრებით მომხიბვლელი პირველი ხეირიანი დარტყმა გამოუვიდა. სონი მაგარი ბიჭი იზრდება.

### იყო და არა იყო რა

იყო ბუნდესლიგაში ასეთი თავდამსხმელი - **მარტინ მაქსი**. ცენტრფორვარდი გახლდათ და, შეიძლება გახსოვდეთ კიდეც, თავისი გუნდის თითქმის ყველა გოლში მონაწილეობდა. მაშინ მთელი საფეხბურთო გერმანია გაჰყვიროდა, მაქსის ადგილი გერმანიის ნაკრებშიაო, მაგრამ მაშინდელი ბუნდესმწვრთნელი ყურსაც არ იბერტყავდა და სხვა გერმანელი ცენტრფორვარდების თამაშებს ესწრებოდა. მაქსს კი უფრო და უფრო მეტი გოლი გაჰქონდა, თუმცა გერმანიის ნაკრებში არა და არ იწვევდნენ. მერე, ოდესლაც, როგორც იქნა, დააფასეს და შანსი მისცეს: 4 წუთი არგენტინასთან. ცხადია, 4 წუთში ვერაფერი დაამტკიცა, რადგან ეს დრო შეიძლება თვით **ლეო მესისაც** არ ეყოს და მას მერე ბუნდესგუნდში აღარ დაუპატიჟებიათ.

რაც დრო გადის, „ლევერკუზენის“ ფორვარდი **შტეფან კისლინგი** უფრო და უფრო ხშირად გვაგონებს მარტინ მაქსს. „ლევერკუზენის“ „ფორვარდს“ ბუნდესლიგაში უკვე 100 გოლი აქვს გატანილი, გერმანიის ნაკრებში კი სულ ექვსჯერ ათამაშეს...

### ალაბას რომ გერმანული პასპორტი ჰქონდეს

მის საფეხბურთო შესაძლებლობებში ეჭვი არც აქამდე ეპარებოდათ, მაგრამ ბუნდესლიგის 21-ე ტურის შემდეგ მთელი საფეხბურთო გერმანია ოცნებას მიეცა: რა მოხდებოდა, რომ „ბაიერნის“ მარცხენა მცველი **დავიდ ალაბა** რამდენიმე ასეული კილომეტრით ჩრდილოეთში დაბადებულიყო? რა მოხდებოდა, რომ გერმანული პასპორტი ჰქონდეს? გერმანიის ნაკრების ფეხბურთელი რომ იყოს? რა მოხდებოდა და **ფილიპ ლამი** ბოლოს და ბოლოს ბუნდესგუნდშიც მუდმივად დაცვის მარჯვენა ფლანგზე ითამაშებდა, მარცხნივ კი ალაბა ალბათ 10 წელი ირბენდა გაუჩერებლად და გერმანიის ეროვნული გუნდი, შეიძლება, მართლაც უძლეველი ყოფილიყო.

### ტურის ფრაზა

ამ უქმეებზე გერმანიაში ყველაზე მაგარი კომენტარი „შალკეს“ მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** გააკეთა. მიუნხენის „ბაიერნთან“ 0:4-ზე განადგურების შემდეგ მან თქვა: *„პირველი გოლის დროს პენალტი არ იყო, მეორე გოლის დროს ჯარიმა არ იყო, მესამე გოლი კი მიუნხენელებმა თამაშგარე მდგომარეობიდან გაგვიტანეს!“*

მართალია, მერე მიხვდა, რომ სისულელეები ილაპარაკა და დასძინა, ასე რომ არ მომხდარიყო, „ბაიერნი“ გოლებს ალბათ სხვანაირად გაიტანდაო, მაგრამ მაინც: ტურის ფრაზის ავტორი ნაღდად ჰელდტია.

### ფილოსოფოსი გომესი

„ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა მარიო გომესი** ამჯერად ძირითად შემადგენლობაში გაამწესა, მისი სეხნია და რეკორდმაისტერის საუკეთესო ბომბარდირი **მანჯუკიჩი** კი სკამზე დატოვა. გომესმაც ითამაშა და გოლიც გაიტანა (ჰელდტის აზრით, მიუნხენელთა 4 გოლიდან მარტო გომესისა იყო ჩასათვლელი), მაგრამ მაინც ვერ გაარკვია, ეთქმის თუ არა რეკორდმაისტერის სასტარტო შემადგენლობის წევრია.

*„ვინ ვარ? რა როლი მაქვს? არაფერი ვიცი!“* - თქვა გომესმა „შალკესთან“ მატჩის შემდეგ.

ამ კითხვებზე პასუხს მარიო სავარაუდოდ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში შეიტყობს.

### ალერგიული ასამოა

„ფიურტისა“ და „ვოლფსბურგის“ დაპირისპირების შემდეგ, რომელიც „მგლებმა“ 1:0 მოიგეს, ფიურტელებს ნაგება აღარ ახსოვდათ - **ჯერალდ ასამოაზე** ნერვიულობდნენ. „ასა“ გასახდელში გაიშხლართა და იყვირა, მიშველეთო. „ფიურტი“ პანიკამ მოიცვა, გულის პრობლემა ეგონათ, რადგან ჯერალდი გულს ადრეც არაერთხელ შეუწუხებია, მაგრამ, საბედნიეროდ, გული შუაში არ აღმოჩნდა.

ასამოას თამაშამდე თხილის ნამცხვარი უჭამია, თხილზე კი ალერგია აქვს და ეს სწორედ ალერგიული შეტევა გახლდათ. *„თხილის ნამცხვარს ცხოვრებაში აღარ შევჭამ!“* - კბილებში გამოსცრა ასამოამ აზრზე მოსვლის შემდეგ.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### საუკეთესო ფეხბურთელები

XXI ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 16 | 2.19 |
| 2. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 21 | 2.19 |
| 3. რენე ადლერი | ჰამბურგი | 21 | 2.48 |
| 4. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 19 | 2.56 |
| 5. აარონ ჰანტი | ვერდერი | 18 | 2.64 |
| 6. თომას მიულერი | ბაიერნი | 19 | 2.69 |
| 7. ტონი კროოსი | ბაიერნი | 21 | 2.73 |
| 8. სებასტიან როდე | აინტრახტი | 21 | 2.76 |
| 9. რაფაელ შეფერი | ნიურნბერგი | 18 | 2.78 |
| 10. დიეგო ბენალიო | ვოლფსბურგი | 21 | 2.79 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 21 | 14 | 7 | 21 |
| 2. თომას მიულერი | ბაიერნი | 19 | 11 | 10 | 21 |
| 3. რობერტ ლევანდოვსკი | ბორუსია (დ) | 20 | 14 | 6 | 20 |
| 4. შაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 19 | 7 | 10 | 17 |
| 5. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 18 | 14 | 2 | 16 |
| 6. მარკო როისი | ბორუსია (დ) | 21 | 8 | 8 | 16 |
| 7. შტეფან აიგნერი | აინტრახტი | 21 | 7 | 7 | 14 |
| 8. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | ბორუსია (დ) | 17 | 9 | 5 | 14 |
| 9. ნილს პეტერსენი | ვერდერი | 21 | 9 | 5 | 14 |
| 10. ადამ სალაი | მაინცი | 20 | 12 | 2 | 14 |

### ტურის გმირი

### ჰეონ მინ სონი (ჰამბურგი)



„ჰამბურგის“ 20 წლის ტალანტი **ჰეონ-მინ სონი** „დორტმუნდთან“ მართლა ბრწყინვალე იყო, მაგრამ „ჰამბურგს“, როგორც ყოველთვის, ისევ პრობლემა აქვს. საქმე ისაა, რომ სონს ტანჯულ ჩრდილოგერმანულ კლუბთან კონტრაქტი 2014 წელს უმთავრდება და ახალი ჯერაც არ გაუფორმებია, რაც იმას ნიშნავს, რომ მსურველებს შეუძლიათ, ხელები დაიკაპიწონ. „ჰამბურგის“ სპორტულმა დირექტორმა **ფრანკ არნესენმა** ამ საკითხზე მუშაობა კვირასვე დაიწყო, მაგრამ დიდი შანსია, რომ უკვე გვიანი იყოს. მიმდინარე სეზონში სონის ანგარიშზე უკვე 9 გოლია.

### ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



ეროვნული ბიბლიოთეკა

● აფრიკის ერთა თასი. სამხრეთ აფრიკა 2013. შეჯამება.

# სუპერარწივები ბრაზილიაში გაფრინდნენ

**ნიგერიის** ნაკრებმა აფრიკის თასი ისტორიაში მესამედ მოიგო და ბრაზილიაში გასამართ კონფედერაციის თასზე თამაშის უფლება მოიპოვა. წლევანდელი ტურნირის საბოლოო შედეგი რადიკალურად განსხვავდებოდა შარშანდელისგან, რომელზეც ნიგერიის ნაკრები საერთოდ ვერ მოხვდა, ფინალისტმა ბურკინა ფასომ კი ჯგუფში სამივე მატჩი წააგო...




## ჩემპიონი

ტურნირის დაწყების წინ, ნიგერიის ნაკრებს ფავორიტად არავინ მიიჩნევდა. **სტივენ კეშის** შეგირდებმა ასპარეზობა არც ისე დამაჯერებლად დაიწყეს და ზედიზედ ორი ფრე (ბურკინა ფასოსთან და ზამბიასთან) ითამაშეს, რის შემდეგაც გუნდი უბრალოდ შეუჩერებელი გახდა. აფრიკის ყველაზე დიდი მოსახლეობის მქონე ქვეყნის ნაკრებმა დარჩენილი 4 მატჩი მოიგო, თანაც პლეი ოფის ეტაპზე კოტ დივუარი (2:1) და მალი (4:1) დაამარცხა. საბოლოოდ, ნიგერია 18-წლიანი პაუზის შემდეგ ისევ გაჩემპიონდა და ისტორიაში მესამე ტიტული მოიგო.

## ფავორიტები

მოქმედი ჩემპიონი ზამბია ჯგუფში ჩარჩა, რაც 1992 წლის შემდეგ პირველად მოხდა (მაშინ პირველი ეტაპი ალჟირმა ვერ გაიარა), თუმცა **ჩისამბა ლუნგუს** და კომპანიის გასამართლებლად შეგვიძლია გავიხსენოთ, რომ ზამბიელებთან ჯგუფში ტურნირის ფინალისტები იყვნენ.

2012 წელს ზამბიას მიერ დამარცხებული კოტ დივუარი, წელსაც მთავარი ფავორიტი იყო, მაგრამ სპილოს ძვლის სანაპიროს წარმომადგენლებმა გაცემული ავანსები ვარ გაამართლეს და 1/4-ფინალში ნიგერიასთან დამარცხდნენ. ცუდად ითამაშა **დიდიე დროგბამ**, ვისთვისაც ეს ბოლო აფრიკის თასი იყო. როგორც ჩანს, „ჩელსის" ლეგენდა სანაკრებო კარიერას ტიტულის გარეშე დაასრულებს.

ვერ გაამართლა იმედები განის ნაკრებმაც, ვინც მეოთხედფინალში კაბო ვერდეს დამაჯერებლად კი მოუგო (2:0), მაგრამ შემდეგ ბურკინა ფასოსთან დამარცხდა და ზედიზედ მეორედ გავიდა მეოთხე ადგილზე (შარშანაც მალისთან წააგო).

## სენსაცია

მთავარი აღმოჩენა, რა თქმა უნდა, ბურკინა ფასოს ნაკრები გახდა, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ბოლო 10 ტურნირიდან, ბურკინა ფასო 8-ში მონაწილეობდა, თუმცა ჯგუფიდან მხოლოდ ერთხელ, 1998 წელს, შინ გამართულ ტურნირზე გავიდა.

მოულოდნელი იყო ისიც, რომ პირველად 1992 წლის შემდეგ, მეოთხედფინალში ვერც ერთი ჩრდილოაფრიკული ნაკრები ვერ ვიხილეთ – ალჟირი, მაროკო და ტუნისი ჯგუფში ჩარჩნენ.

სამაგიეროდ, ტურნირი წარმატებული გამოდგა დასავლეთ აფრიკისთვის. პირველად ამ ტურნირის ისტორიაში, ოთხივე ნახევარფინალისტი კონტინენტის ამ რეგიონიდან იყო და გარდა ამისა, მეოთხედფინალში კაბო ვერდეს და ტოგოს ნაკრები გუნდებიც გავიდნენ. სხვათა შორის, ორივე ნაკრებმა ამის გაკეთება პირველად შეძლო.

## პარსკვლავები

**ემანუელ ემენიკემ** ოთხი გოლი გაიტანა (ოთხივე თამაშიდან) და ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ნამდვილი გმირი იყო **სანდეი მბა,** რომელმაც გამარჯვების მომტანი გოლები კოტ დივუართან (1/4-ფინალში) და ბურკინა ფასოსთან (ფინალში) გაიტანა. კვლავ ბრწყინავდა **ვინსენტ ენიეამა,** რომელმაც არაერთი რთული ბურთი მოიგერია, თუმცა ნაკრების ნამდვილი ლიდერები **ჯონ ობი მიკელი** და **ვიქტორ მოზესი** იყვნენ – „ჩელსის" ფეხბურთელები მთელი ტურნირის განმავლობაში დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ და საკუთარი გუნდის საუკეთესო ფეხბურთლები იყვნენ.

ბურკინა ფასოს რიგებში გამორჩეული იყო **ჯონათან პიტროიპა,** რომელიც საბოლოოდ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. ჯგუფური ეტაპის პირველ ორ შეხვედრაში სამი გოლი გაიტანა **ალან ტრაორემ,** მაგრამ „ლორიანის" ფორვარდი მესამე ტურში დაიმტვრა და თამაშმა მხოლოდ ფინალში, ისიც ტრავმირებულს და მხოლოდ ერთი წუთით, მოუწია.

ტურნირის თანაბომბარდირი გახდა **ვაკასო მუბარაქი,** ვინც ასევე ოთხი გოლი გაიტანა, ოღონდ სამი პენალტით. ახალგაზრდა ტუნისელი **იუსუფ მსაკნი** კი საუკეთესო გოლის ავტორი გახდა – 22 წლის ფეხბურთელმა, პირველი ტურის მატჩის ბოლო წუთზე, ალჟირის ნაკრებს მართლაც ულამაზესი გოლი გაუტანა.

მალის ნაკრების ნამდვილი ლიდერი იყო **სეიდუ კეიტა,** რომელიც თავის მეექვსე აფრიკის თასზე თამაშობდა.

## იცოდით თუ არა, რომ...

* ბურკინა ფასოს ნაკრები, რომელსაც წინა 5 ტურნირზე სულ 4 ქულა ჰქონდა მოპოვებული, გახდა ყველაზე დაბალი რეიტინგის მქონე ნაკრები, ვისაც ოდესმე აფრიკის თასის ფინალში გაუღწევია (92-ე).

გარდა ამისა, **პოლ პუტის** შეგირდებმა, ფინალურ ეტაპზე გასვლა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებთან გამართული შესარჩევი მატჩის, მე-6 დამატებულ წუთზე გატანილი გოლის წყალობით შეძლეს.

* სტივენ კეში, რომელიც 1994 წელს ნიგერიის ნაკრების კაპიტანი იყო, გახდა მეორე ადამიანი, ვინც აფრიკის თასი ფეხბურთელის (1994) და მწვრთნელის (2013) ამპლუაში მოიგო. აქამდე, ასეთი რამ მხოლოდ ეგვიპტელ **მაჰმუდ ელ გოჰარის** ჰქონდა გაკეთებული.

**ინდივიდუალური პრიზები:**

**საუკეთესო ფეხბურთელი** – ჯონათან პიტროიპა (ბურკინა ფასო).

**საუკეთესო ბომბარდირები** – ემანუელ ემენიკე (ნიგერია) და ვაკასო მუბარაქი (განა) – 4 გოლი

**ფეირ პლეის პრიზი** – ვიქტორ მოზესი (ნიგერია)

**საუკეთესო გოლი** – იუსუფ მსაკნი (ტუნისი) – ალჟირის წინააღმდეგ

**სიმბოლური ნაკრები** (3-2-3-2): ენიეამა (ნიგერია) – ბაკარი კონე (ბურკინა ფასო), ნანდო (კაბო ვერდე), ეფე ემბროუსი (ნიგერია) – ჯონ ობი მიკელი (ნიგერია), სეიდუ კეიტა (მალი) – ჯონათან პიტროიპა (ბურკიან ფასო), ვაკასო მუბარაქი (განა), ვიქტორ მოზესი (ნიგერია) – ემანუელ ემენიკე (ნიგერია), ასამოა გიანი (განა).

**ტატო ბაციკაძე**

● დეპორტივო


ფერნანდო ვასკესი

# დეპორში პასიენსია ვასკესმა შეცვალა

ლა კორუნიის „დეპორტივომ" სეზონში მეორე მწვრთნელი გაუშვა და მესამე დანიშნა.

პორტუგალიელმა სპეციალისტმა **დომინგუშ პასიენსიამ ხოსე ლუის ოლტრა** 30 დეკემბერს შეცვალა. გალისიაში პასიენსიას იმედი ჰქონდათ, რადგან ამ სპეციალისტის ხელმძღვანელობით „ბრაგა" 2011 წელს ევროპალიგის ფინალში გავიდა, მაგრამ კარგი სტარტის შემდეგ („მალაგა" 1:0 დაამარცხა და სტუმრად „რეალ სოსიედადთან" 1:1), „დეპორმა" ზედიზედ 4 მატჩი წააგო და 16 ქულით ბოლო ადგილზეა.

23-ე ტურში „დეპორტივო" შინ 0:3 დამარცხდა „გრანადასთან", რაც გუნდის ხელმძღცვანელობისთვის საკმარისი მიზეზი აღმოჩნდა პასიენსიას მოსახსნელად. 11 თებერვალს გუნდმა უკვე მის გარეშე ივარჯიშა. ასე რომ, პორტუგალიელი მე-6 სპეციალისტია, რომელმაც სამუშაო დაკარგა ლა ლიგის ახალ სეზონში.

„დეპორტივოს" უკვე ახალი თავკაცი ჰყავს: 58 წლის **ფერნანდო ვასკესი.** გალისიელ სპეციალისტს ძალიან ბევრ გუნდში უმოღვაწია („ლუგო", „კომპოსტელა", „ოვიედო", „მალიორკა", „ბეტისი", „ლას პალმასი", „რაიო ვალეკანო", „ვალიადოლიდი" და „სელტა"). 2007 წლის შემდეგ მას საკლუბო ფეხბურთში არ უმუშავია, თუმცა დღესაც გალისიის რეგიონული ნაკრების თავკაცად ითვლება.

ფერნანდო ვასკესი სეზონის ბოლომდე იმუშავებს და მისი ამოცანა კლუბის ელიტაში შენარჩუნებაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

### თავისუფალი ჭიდაობა. დოგუს ტურნირი


ელიზბარ ოდიკაძე (მეორე რიგში მარცხნიდან მეორე)

# ოთხი მედლით ანკარიდან

**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა 3 ოქროთი და 1 ბრინჯაოთი დაასრულა გამოსვლა ანკარაში, იაშარ დოგუს 41-ე მემორიალზე.**

ტურნირის გამარჯვებულები **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (60), **დავით მარსაგიშვილი** (84) და **ელიზბარ ოდიკაძე** (96) გახდნენ, **გიორგი ედიშერაშვილი** (55) კი მესამეზე გავიდა. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი ნაკრები მესამეა თურქეთისა და აზერბაიჯანის გუნდების შემდეგ. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩვენებმა ოქროს მედლების რაოდენობით მასპინძლებსაც გაუსწრეს, რომლებიც მხოლოდ ორ ჩემპიონს დასჯერდნენ. ოქროს მედლებით სულაც პირველები ვართ, თუმცა ამ ოთხეულის გარდა, დანარჩენები ქულებით ვერ შეგვეწივნენ და გუნდურშიც ამიტომ ჩამოვრჩით.

განსაკუთრებით აღსანიშნავი შედარებით გამოუცდელი ოდიკაძის წარმატებაა. მით უფრო, რომ ფინალში ყველაზე ძლიერი მეტოქე მას ჰყავდა - აზერბაიჯანელთა ოსი ლეგიონერი, ევროპის სამგზის და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიადის ორგზის ბრინჯაოს მედალოსანი **ხეტაგ გოზიუმოვი**. გასაგებია, რომ ამ დონის მეტოქესთან ოდიკაძე ფრთხილად ჭიდაობდა და შეტევაში წასვლას დიდად არ რისკავდა. ის უფრო დაცვაზე იყო ორიენტირებული, რაც კარგად გამოსდიოდა - ოსი ერთხელაც ვერ შევიდა ფეხში, რასაც ადრე მშვენივრად აკეთებდა ბევრად უფრო ტიტულოვან მეტოქეებთან. გოზიუმოვი აშკარად არაა ადრინდელ ფორმაში - ეტყობა, ზედ ოლიმპიადის წინ დაწყებული კრიზისი ჯერაც ვერ დაუძლევია. საბოლოოდ ამ შეხვედრაში ძირითად დროში ქულა არ გაკეთებულა და ორივე პერიოდის ბედი ბურთულამ გადაწყვიტა. პირველში იღბალმა ჩვენებურს გაუღიმა, თუმცა მისი ეს შანსი კინაღამ მეტოქემ გამოიყენა. გოზიუმოვს ცოტა დააკლდა, ქულაზე გადაეყვანა ოდიკაძე - თავის დაძვრენაც მოახერხა და ზურგიდანაც მოუარა, მაგრამ ქულის დაფიქსირება ვერ შეძლო. საბედნიეროდ, ოდიკაძემ სტატუს-კვო აღადგინა და სულ მალე ერთქულიანზე ჩაიყვანა ერთ დროს მრისხანე ფალავანი.

მეორე პერიოდში ფეხში უკვე გოზიუმოვი შევიდა, მაგრამ ოდიკაძემ მშვენივრად დაიცვა თავი და მალევე გაექცა, რისთვისაც 1 ქულა მიიღო. აზერბაიჯანელებმა შედეგი გააპროტესტეს, თუმცა მსაჯებმა შედეგი არ შეცვალეს და გოზიუმოვი წესისამებრ კიდევ ერთი ქულით დასაჯეს.

აღსანიშნავია, რომ ოდიკაძემ, რომელიც სპორტიდან წასული ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის, ორგზის ოლიმპიურ პრიზიორ **გიორგი გოგშელიძის** შემცვლელად მოიაზრება, ამას წინათ გერმანიის საკლუბო ჩემპიონატში (სადაც მძიმე წონაში გამოდიოდა), ბრწყინვალედ დაამარცხა უნგრელი ევროპის ვიცე-ჩემპიონი **დანიელ ლიგეტი**.

მარსაგიშვილმა ფინალში უპრობლემოდ დაჯაბნა მასპინძელი **ხაკი ცეილანი** - თურქს იოტისოდენა შანსიც არ ჰქონია, კლასში განსხვავება კი ისე დიდი იყო, როგორც - ცასა და დედამიწას შორის. მარსაგიშვილს მასთან ყველაფერი გამოსდიოდა და ისე უპრობლემოდ უღებდა ქულებს, ისე თავისუფლად შედიოდა ქულაზე, თითქოს დამწყებ ფალავნებს მასტერკლასს უტარებდა.

დაახლოებით ასეთ სტილში ჩაატარა ფინალიც ხინჩეგაშვილმა მონღოლ **ნიამ-ოჩირ ენხსაიხანთან**.

იაშარ დოგუს მემორიალი სადებიუტო იყო ჩვენი ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის, ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონ **რევაზ მინდორაშვილისთვის**. დოგუს ტურნირი ბოლო საკონტროლო შეჯიბრება იყო 19-24 მარტს თბილისში გასამართი ევროპის პირველობის წინ, თუმცა ერთ კვირაში - 16-17 თებერვალს ჩვენი გუნდის ერთი ნაწილი კიევში იჭიდავებს „გამოჩენილ უკრაინელ სპორტსმენთა და მწვრთნელთა მემორიალში" და არაა გამორიცხული, იქაურმა შედეგმა რაღაც გავლენა შეიტანოს ნაკრების დაკომპლექტებაში. ანკარაში ქვეყნის ჩემპიონებმა ანუ ლიდერებმა კი იჭიდავეს, მაგრამ ბევრმა შედეგი ვერ აჩვენა კიევში მოასპარეზე სათადარიგოებს შანსს აძლევს. იქ ჩვენგან ხუთი კაცი იჭიდავებს - **ბექა ლომთაძე** (60), **ზურაბ იაკობაშვილი** (66), **მამუკა კორძაია** (96), **დავით მოძმანაშვილი**, **გიორგი საკანდელიძე** (ორივე - 120).

**ირაკლი თაფაძე**

### ხელბურთი

# გოგონების ჯერიც დადგა

2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის მზადების პროგრამით ხელბურთის ეროვნული ფედერაცია 1998-1999 წლებში დაბადებულ გოგონებს შორის 2012-2013 წლების საქართველოს პირველობის საგაზაფხულო ეტაპის თამაშებს ჯემალ ცერცვაძის სახელობის სპორტდარბაზში მართავს. შეჯიბრებაში 10 გუნდი (მათ შორის ექვსი - თბილისიდან) უნდა ჩაბმულიყო, მაგრამ ასპარეზობის პირველ დღეს ტურნირზე ლაგოდეხელები და ბათუმელები არ გამოცხადდნენ.

გუშინ გამართული შეხვედრები კი ასე დამთავრდა: „ოლიმპი" (თბილისი) - „ფოთი" 5:27, სტუ - „მართვე" (თბილისი) 17:21, „კორიდა" (თბილისი) - „ყვარელი" 6:18, „საბურთალო" (თბილისი) - „მართვე" 3:23, „ფოთი" - „კორიდა" 18:8.

დღეს ითამაშებენ: „მართვე" - „ლაგოდეხი", სტუ - „საბურთალო", „მორკინალი" (თბილისი) - „ფოთი", სტუ - „ლაგოდეხი", „ბათუმი" - „საბურთალო", „მორკინალი" - „კორიდა", „ყვარელი" - ოლიმპი".

შეჯიბრება 14 თებერვალს დამთავრდება.

**ვაჟა დანელია**

### სამთო თხილამურობა

# 7–დან ოთხი და[illegible]

საქართველოს სამთო-სათხილამურო ეროვნული ფედერაციის გადაწყვეტილებით, წლევანდელი ქვეყნის თასის გათამაშება შვიდ ეტაპად გაიმართება. პირველ-ორ რაუნდს გუდაურმა და ბაკურიანმა უმასპინძლეს. მესამე ეტაპი - სპეციალურ სლალომში ბაკურიანში ჩატარდა. დიდველზე თბილისის, აჭარის, მესტიის, ბაკურიანის, ბორჯომისა და გუდაურის 55-მა წარმომადგენელმა მოიყარა თავი. გოგო-ბიჭები საპრიზო ადგილებს სამ ასაკში ეცილებოდნენ ერთმანეთს. ამ ეტაპზე არ უასპარეზიათ საქართველოს ნაკრების წევრებს, რომლებიც ევროპის თოვლიან ტრასებზე სხვადასხვა მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის ემზადებიან.

აქვე დიდველზე სპეციალურ სლალომში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას გაგაცნობთ.

**გოგონები. 1999-2000 წ.წ. დაბადებულები.** 1. თამარ ბარბარიანი (ბაკურიანი, 1.45,17), 2. ანა ჩართოლანი (მესტია, 2.02,59), 3. ანა ოგბაიძე (გუდაური, 2.05,55). **1997-1998 წ.წ. დაბადებულები.** 1. ნუცა ხურცილავა (1.46,57), 2. ანა გორდეზიანი (ორივე - გუდაური, 1.58,50) (ხუთმა მონაწილემ მეორე დისტანცია ვერ ჩაამთავრა). **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. სუსანა გავა (ბაკურიანი, 1.41,56), 2. ნატა მგელაძე (გუდაური, 2.04,30).

**ვაჟები. 1999-2000 წ.წ. დაბადებულები.** 1. ნიკოლოზ ცაგარელი (გუდაური, 1.39,36), 2. ლაშა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.42,04). 3. დათო ნაზღაიძე (გუდაური, 1.45,01). **1997-1998 წ.წ. დაბადებულები.** 1. გიორგი კურტანიძე (ბაკურიანი, 1.30,63), 2. ვალიკო მარსაგიშვილი (გუდაური, 1.42,33), 3. ბესო ჯაფარიძე (მესტია, 1.46,40). **1996 წელს და უფრო ადრე დაბადებულნი.** 1. შოთა ნათაძე (გუდაური, 1.24,94), 2. კოტე ვახტანგიშვილი (ბორჯომი, 1.25,09), 3. კახა კურტანიძე (ბაკურიანი, 1.26.27).

**ვაჟა დანელია**



### ჩოგბურთი

# კოლუმბიაში, დოჰასა და ანტალიაში


ოქსანა კალაშნიკოვა

უკვე გაუწყეთ, რომ თბილისელი **ოქსანა კალაშნიკოვა** ჩოგბურთელ ქალთა კოლუმბიის საერთაშორისო ტურნირის (Copa Bionaire, საპრიზო ფონდი 125.000 დოლარი) საკვალიფიკაციო ეტაპზე ამერიკელ ელისონ რისკესთან დამარცხდა, მაგრამ ასპარეზობას წყვილებში განაგრძობს - რუს **ნინა ბრატჩიკოვასთან** ერთად მე-2 ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში კონი პერინისა (შვეიცარია) და მაშა ზესპესკირიჩის (სლოვენია) დუეტს შეხვდება.

■ ■ ■

როგორც გაუწყეთ, **ანა ტატიშვილი** დოჰას საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 2.369.000 დოლარი) ძირითად ბადეში ჩაებმება. ანტალიის 10.000-იან შეჯიბრებაზე გამოვლენ **სოფიო ქვაცაბაია** და **ეკატერინე გორგოძე**. ქვაცაბაია, რომელიც მე-7 ნომრადაა განთესილი, კვალიფიკაციიდან აღზევებულ იი ჩენს (ტაივანი) დაუპირისპირდება, ხოლო გორგოძე უნგრელ შაილა ერგულენს გაუწევს მეტოქეობას. პირველი ბარიერის დაძლევის შემთხვევაში ქართველი ჩოგბურთელები მე-2 წრეში ერთმანეთთან გაარკვევენ ურთიერთობას.

წყვილთა პაექრობაში ქვაცაბაია-გორგოძის დუეტი პირველ ნომრადაა განთესილი. ჩვენებურებმა უკვე გამართეს სასტარტო შეხვედრა - ინდია მეიგენისა (ბელგია) და ანი ვანგელოვას (ბულგარეთი) ტანდემს იოლად სძლიეს - 6:0, 6:2. მეორე წრეში ისინი იტალიელებს - ჯულია ბრუზონსა და მარტინა კარეგაროს შეხვდებიან.

■ ■ ■

ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ფედერაციამ (WTA) წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა: 57 (59). **ანა ტატიშვილი** (1021 ქულა), 295 (300). **სოფიო შაფათავა** (153), 398 (400). **მარგალიტა ჩახნაშვილი** (92), 406 (409). **ოქსანა კალაშნიკოვა** (89), 494 (459). **სოფიო ქვაცაბაია** (63), 517 (523). **ეკატერინე გორგოძე** (55), 715 (717). **ნათია გეგია** (28), 1156 (1158). **ანი გოგვაძე** (3).

**ვაჟა დანელია**

### ჭადრაკი

# აეროფლოტი ახალი ფორმატით

AEROFLOT OPEN 2013

რუსეთის დედაქალაქში დღეს დაიწყება ტრადიციული საჭადრაკო ფესტივალი - „აეროფლოტის" ღია პირველობა, რომელიც წლეულს შეცვლილი ფორმატით გაიმართება. უწინდელი კლასიკური პარტიების ნაცვლად შეჯიბრებები ამჯერად რაპიდსა (შვეიცარიული სისტემით 9 ტურად, თითოეული პარტიისთვის 15 წუთს + 10 წამი ყოველი სვლისთვის, საპრიზო ფონდი 72.000 დოლარი. გამარჯვებული 16.000 დოლარს მიიღებს) და ბლიცში (3 წთ + 2წამი, საპრიზო ფონდი 50.000 დოლარი, პირველადგილოსანი 10.000 დოლარით დაჯილდოვდება) მოეწყობა.

ტურნირში მონაწილეობის სურვილი 300-მდე მოჭადრაკემ გამოთქვა. მათგან 100-ზე მეტი დიდოსტატია. ქართველთაგან მთავარი პრიზებისთვის დიდოსტატი **ბაადურ ჯობავა** და საერთაშორისო ოსტატი **ანა გავაშელი** იბრძოლებენ.

**ვაჟა დანელია**


თორნიკე სანიკიძე

# სანიკიძე ლიდერებშია

გერმანული ბადენ-ბადენის მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში ერთადერთი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობს - საქართველოს ექსჩემპიონი **თორნიკე სანიკიძე**. უკვე მიილია ხუთი ტური. ქართველმა მოჭადრაკემ 4 ქულას მოუყარა თავი: დაამარცხა ჰოლანდიელი ლუდო ტოლჰუზენი, გერმანელი მარკო რიჩე და ბულგარელი დიდოსტატი ბორის ჩათალბაშევი, ხოლო ვოლფგანგ შმიდტს (გერმანია) და მოლდოველ ვიორელ იორდაჩესკუს დაუზავდა. გუშინ ლიდერთაგან ყაიმზე შეთანხმდნენ პარიმარიჯან ნეგი (ინდოეთი) და ალექსანდრ კარპაჩევი (რუსეთი). ეტიენ ბაკრომ, რომელიც ტურნირის რეიტინგფავორიტია (2704), შავი ფიგურებით ბენჯამინ ტერაიკს (გერმანია) სძლია, ხოლო რუბენ ფელგაერმა (არგენტინა) რომან კრულიჩი (მონაკო) დაამარცხა. ხუთი ტურის შემდეგ სანიკიძემ, ნეგიმ, კარპაჩევმა, ბაკრომ და ფელგაერმა 4-4 ქულა მოაგროვეს. დღეს სანიკიძე თეთრი ფიგურებით ნეგის დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

მძლეოსნობა



# საუტრეხტოდ ახალგაზრდები შედეგებს აუმჯობესებენ

**წლეულს ივლისში ჰოლანდიური უტრეხტი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს, რომელშიც 1997-1998 წლებში დაბადებული მძლეოსნები იასპარეზებენ. ამ შეჯიბრებისთვის მზადებასა და ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევას მიეძღვნა 15-17 წლის სპორტსმენთა საქართველოს ზამთრის პირველობა.**

შეჯიბრება დიდუბის მანეჟში გაიმართა და საპრიზო ადგილებისთვის პაექრობაში სხვადასხვა რეგიონის 200-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. განსაკუთრებით ვანელი **მარი ძაგნიძის** წარმატება გვინდა ალვნიშნოთ. მთავარი ორი ოქროს მედლის მოპოვება კი არა, ის არის, რომ ეს 15 წლის გოგონა კვირიდან კვირამდე აუმჯობესებს შედეგებს. შვიდი დღის წინათ ეროვნულ ჩემპიონატზე თარჯებით მან 60 მეტრი 9,98 წამში დაფარა და **მაიკო გოგოლაძის** შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა. ამჯერად კი თავისი მიღწევა 0,68 წამით გააუმჯობესა. სიგრძეზე ხტომაში ეროვნულ ჩემპიონატზე 511 სანტიმეტრით, ასევე, ვერცხლის მედალი ხვდა (მაშინ **თათია პაიკიძემ** 19 სანტიმეტრით უკეთესი შედეგი აჩვენა). გუშინ კი 544 სანტიმეტრით პირველი ადგილი დაიკავა და მეორე ადგილოსანს 56 სანტიმეტრით აჯობა.

საუტრეხტო ნაკრების წევრობის კანდიდატთაგან გასულ შაბათ-კვირას საგრძნობლად გაზარდეს საკუთარი მაჩვენებლები უროს მტყორცნელებმა - **ზურაბ ხაბელაშვილმა, გურამ სამხარაძემ** და **გიორგი ონიანმა, სოფო მატიაშვილმა, ნინო წიქვაძემ**, ბადროს მტყორცნელმა **თემურ აბულაშვილმა**, ბირთვის მკვრელმა **გიორგი მუჯარიძემ**, 400 მეტრზე მორბენალმა **მარი მარტინენკომ.** ეს უკანასკნელი ახალციხელია. ამჯერად მან და მისმა თანაგუნდელებმა საერთო მესამე ადგილი დაიკავეს, სამაგიეროდ, ზამთრის ეროვნული ჩემპიონატი გუნდურში ახალციხელებმა მოიგეს.

- რაიონის ხელმძღვანელობა, განსაკუთრებით ახალციხის გამგებელი ბესარიონ ხითარიშვილი სპორტს და, კერძოდ, მძლეოსნობას დიდ ყურადღებას უთმობს, - გვითხრა ახალციხის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზიგმუნდ ზილბერშტეინმა.** - სტადიონის სარბენი ბილიკები და მძლეოსნური სექტორები წლის ნებისმიერ დროს ჩვენს განკარგულებაშია, კეთილმოგვიწყვეს გასახდელები. ამას წინათ გაგვირემონტეს სპორტსკოლის შენობა, სადაც ცუდ ამინდში ვვარჯიშობთ. ამგვარი თანადგომის შედეგია, რომ მძლეოსანთა ეროვნულ ნაკრებში ხუთი ჩვენებურია, სხვადასხვა ასაკობრივ გუნდში კი 4 წარმომადგენელი გვყავს. მომავალშიც ვეცდებით, წარმატებები ვამრავლოთ.

დიდი სპორტის კარიბჭესთან



## მარი ძაგნიძე

მძლეოსნობა

**დაიბადა** 1997 წლის 10 დეკემბერს.

**სწავლობს** გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ვანის მე-2 საჯარო სკოლის X კლასში.

**მძლეოსნობაში** ორი წელიწადია, ვარჯიშობს **ვლადიმერ როხვაძის** ხელმძღვანელობით.

**შედეგები**: 2012 წლის მაისში ეროვნული ჩემპიონატი მოიგო 100 მეტრზე თარჯრბენში; ახალგაზრდებს შორის საქართველოს საგაზაფხულო და საშემოდგომო პირველობების გამარჯვებულია თარჯრბენსა და სიგრძეზე ხტომაში. წლეულს ზამთრის ეროვნულ ჩემპიონატზე 60 მეტრზე რბენასა და სიგრძეზე ხტომაში მეორე ადგილები დაიკავა, 1996-1998 წლებში დაბადებულთა საქართველოს ზამთრის პირველობაზე ორივე სახეობაში ყველას აჯობა. ორი წლის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონატებსა და პირველობებში 9 ოქროს, 7 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

**უყვარს** კალათბურთი და ფეხბურთი. ქომაგობს „ბაიერნს".

**გატაცებულია** წიგნების კითხვით. საყვარელი მწერალი — ნოდარ დუმბაძე, თხზულება — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი".

**ჰობი.** ხატვა.

**კერპი.** უსაინ ბოლტი.

**მიზანი.** უტრეხტში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის ოქროს მედლისა და 2016 წლის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვება.

ვაჟა დანელია
ავტორის ფოტო

### კვარცხლბეკი

**გოგონები. 60 მ.** 1. დეა საზუაშვილი (თბილისი, 8,32), 2. მარი გამგონეიშვილი (აჭარა, 8,36), 3. ნანი სირაძე (ქუთაისი, 8,51). **60 მ/თარჯრბენი.** 1. მარი ძაგნიძე (ვანი, 9,3), 2. დეა საზუაშვილი (9,5), 3. ალინა ეფიმოვა (ორივე - თბილისი, 9,7). **200 მ.** 1. ალექსანდრა მშვიდობაძე (თბილისი, 27,3), 2. მარი მარტინენკო (ახალციხე, 27,6), 3. სალომე ფოცხვერაშვილი (ბორჯომი, 28,1). **400 მ.** 1. მარი მარტინენკო (ახალციხე, 1.02,95), 2. ალექსანდრა მშვიდობაძე (თბილისი, 1.03,31), 3. სალომე ფოცხვერაშვილი (ბორჯომი, 1.04,14). **800 მ.** 1. ნინა პაპიკიანი (ახალციხე, 2.36,9), 2. მარი ჭეიძე (თბილისი, 2.39,0), 3. მარინე სირაკანიანი (ახალციხე, 2.40,0). **1500 მ.** 1. ნინა პაპიკიანი (5.33,33), 2. მარინე სირაკაზიანი (ორივე - ახალციხე, 5.37,04). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ქრისტინა ზოლოტუხინა (145), 2. ეკა რეხვიაშვილი (125), 3. ნათია მწითური (სამივე - თბილისი, 125). **სამხტომი.** 1. ნესტან დათუნაშვილი (თბილისი, 10,82), 2. ნანი სირაძე (ქუთაისი, 10,38), 3. ნინო კარელიძე (გორი, 9,81). **სიგრძეზე ხტომა.** 1. მარი ძაგნიძე (ვანი, 544), 2. ნესტან დათუნაშვილი (თბილისი, 486), 3. ნინა კარელიძე (გორი, 451). **ურო.** 1. სოფო მათიაშვილი (თბილისი, 46,9). **ბირთვი.** 1. მარიამ ალექსეევა (ქუთაისი, 9,15), 2. ანი კაპანაძე (თბილისი, 9,11), 3. ქეთევან ხაჭაპურიძე (ხონი, 9,00). **შუბი.** 1. ანი კაპანაძე (25,14), 2. ია რეხვიაშვილი (ორივე - თბილისი, 22,69), 3. მარიამ კეკელიძე (ოზურგეთი, 21,53). **ბადრო.** 1. ნათელა უშიკიშვილი (თიანეთი, 34,54), 2. ნანი პაკელიანი (ოზურგეთი, 28,98), 3. ნატა სანაია (წალენჯიხა, 23,22). **4X200 მ.** 1. თბილისი-I (1.55,31), 2. თბილისი-II (2.03,71), 3. ახალციხე (2.06,99).

**ვაჟები. 60 მ.** 1. ჯიმი მურადოვი (თბილისი, 7,64), 2. გოგი მაკარაძე (აჭარა, 7,76). **60 მ/თარჯრბენი.** 1. გიგა ბერძენიშვილი (თბილისი, 8,7). **200 მ.** 1. თორნიკე კვანტალიანი (ქუთაისი, 23,3), 2. ჯიმი მურადოვი (თბილისი, 23,5), 3. დაჩი ჯაფარიძე (აჭარა, 25,0). **400 მ.** 1. თორნიკე კვანტალიანი (ქუთაისი, 53,94), 2. გიგა ბერძენიშვილი (თბილისი, 56,85), 3. აკაკი გოგოლაძე (ბორჯომი, 56,94). **800 მ.** 1. ჯიმშერ ბუკია (ხობი, 2.10,9), 2. დათო ბექაური (თბილისი, 2.13,0), 3. ზაურ ებრალიძე (ბორჯომი, 2.15,4). **1500 მ.** 1. დათო ბექაური (თბილისი, 4.28,18), 2. რუდიკ მინასიანი (4.29,25), 3. გელა ტაბატაძე (ორივე - ახალციხე, 4.40,10). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. საბა კურდღელია (ქუთაისი, 170), 2. სანდრო ჟამერაშვილი (160), 3. ირაკლი კენჭუაშვილი (ორივე - თბილისი, 160). **სამხტომი.** 1. საბა კურდღელია (ქუთაისი, 13,03), 2. ნიკა ყარაზაშვილი (გორი, 10,96). **სიგრძეზე ხტომა.** 1. ავთანდილ ტყეშელაშვილი (6,10), 2. საბა კურდღელია (ორივე - ქუთაისი, 6,06), 3. როლანდ მდინარაძე (ოზურგეთი, 5,64). **ურო.** 1. ზურაბ ხაბელაშვილი (55,6), 2. გიორგი ონიანი (54,07), 3. გურამ სამხარაძე (სამივე - თბილისი, 51,83). **ბირთვი.** 1. გიორგი მუჯარიძე (გორი, 14,84), 2. შოთა გუგეშაშვილი (11,72), 3. არტემ არუთუნიანი (ორივე - თბილისი, 11,71). **შუბი.** 1. გიორგი კეთილაძე (ხონი, 36,45), 2. მიხეილ კალაძე (რუსთავი, 32,77), 3. გიორგი კორტავა (ხობი, 30,45). **ბადრო.** 1. თემურ აბულაშვილი (თბილისი, 45,80), 2. მიხეილ კალაძე (რუსთავი, 34,02), 3. გიორგი მუჯარიძე (გორი, 32,77). **4X200 მ.** 1. თბილისი-I (1.40,74), 2. ქუთაისი (1.40,78), 3. აჭარა (1.47,68). **საერთო გუნდური. I ჯგუფი.** 1. თბილისი (330 ქულა), 2. ქუთაისი (253), 3. ახალციხე (239). **II ჯგუფი.** 1. ბორჯომი (106), 2. გორი (83), 3. ხობი (52).

ვაჟა დანელია

ოლიმპიური ფესტივალი

# ყველაზე ბევრნი - ბრაშოვში




17-22 თებერვალს რუმინული ბრაშოვი ევროპის ზამთრის რიგით XI ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს, თუმცა საქართველოსთვის IX იქნება, რადგან მიზეზთა გამო 1999 და 2001 წლებში გამართულ ანალოგიურ ღონისძიებებში მონაწილეობა არ მიგვიღია.

რუმინული ფესტივალის პროგრამაში სპორტის 8 სახეობაა: სამთო სათხილამურო სპორტი, თხილამურებით რბოლა, ტრამპლინიდან ხტომა, შორტტრეკი, ჰოკეი, ფიგურული ციგურაობა, ბიატლონი და სნოუბორდი, თუმცა ჩვენები მხოლოდ სამში გამოვლენ: სამთო სათხილამურო სპორტი, სნოუბორდი და ფიგურული ციგურაობა. წინასწარი მონაცემებით, ბრაშოვში 18 წლამდე ასაკის 1300-მდე ევროპელი მოზარდი სპორტსმენი შეიკრიბება „ბებერი კონტინენტის" 45 ქვეყნიდან, თუმცა მათ რიცხვში მხოლოდ 7 იქნება საქართველოდან: **ნიკოლოზ კოზანაშვილი, სოსო ჯაფარიძე, შოთა ნათაძე** და **სანდრო ობგაიძე** სამთო სათხილამურო სპორტში დაიცავენ სამშობლოს ღირსებას, **გიორგი წამალაიძე** და **ბექა მერკვილიშვილი** სნოუბორდში ცდიან ძალებს, **არმენ აგაიანი** კი საციგურაო მოედანზე ისრიალებს. თუმცა მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ეს გუნდი ჩვენთვის რეკორდსმენია, ვინაიდან ანალოგიურ თამაშებში ამხელა დელეგაციაც კი არასოდეს გვყოლია.

ვიქონიოთ იმედი, რომ ბრაშოვური ფესტივალი საქართველოსთვის, რაოდენობის გარდა, შედეგსაც გააუმჯობესებს, თორემ აქამდე ერთადერთი და ყველაზე წარმატებული 1997 წელს შვედურ სუნდსვალში გამართული ზამთრის თამაშები იყო, სადაც ფიგურულ ციგურაობაში **ვახტანგ მურვანიძემ** ვერცხლი მოიპოვა. სამწუხაროდ, ჩვენთვის ეს ზამთრის ფესტივალების ერთადერთი ჯილდოა. მეტიც - სხვა შემთხვევებში მედალს მხოლოდ ერთხელ მივუახლოვდით და ისიც ისევ ფიგურულ ციგურაობაში, როცა 2005 წელს მანტეიში **ელენე გედევანიშვილი** მეოთხეზე გავიდა. შედეგიანობით ზამთრის ფესტივალი აშკარად ჩამორჩება ზაფხულის ანალოგიურ თამაშებს, თუმცა ეს ჩვენი რეალობაა - საქართველოში ზამთრის სახეობები, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების მიუხედავად, მაინც არაა განვითარებული.

ბრაშოვში ჩვენი დელეგაცია დაახლოებით 15 კაცით იქნება წარმოდგენილი, რომელიც თბილისიდან 16 თებერვალს გამთენიისას გაემგზავრება. დელეგაციის ხელმძღვანელი სეოკის ვიცე-პრეზიდენტი **მამუკა ხაზარელი** იქნება, ოლიმპიურ სოფელში მისიას კი, ტრადიციულად, სეოკ-ის სპორტული დირექტორატის წევრი **გიორგი ესაკია** უხელმძღვანელებს.

ირაკლი თავაძე



წიგნის თარო




ბოლო წლებში კარგი ტრადიცია მკვიდრდება - იწერება წიგნები და ბროშურები სპორტის ცალკეულ სახეობებზე, რაც ქართული სპორტის ისტორიისთვის ძვირფასი შენაძენია.

ახლახან კიდევ ერთი სპორტის სახეობის - თანამედროვე ხუთჭიდის საქართველოში დანერგვა-განვითარების დოკუმენტური გამოცემა მიიღო დაინტერესებულმა მკითხველმა. ავტორი **ჯუანშერ ზალდასტანიშვილი** თავად არის საქართველოში თანამედროვე ხუთჭიდის დანერგვის ერთი პიონერთაგანი. ფაქტობრივად მის თვალწინ გაიარა საქართველოში სპორტის ამ სახეობის დანერგვა-განვითარების 60-წლიანმა ისტორიამ და ამიტომაც უაღრესი სიზუსტითაა გადმოცემული მთელ ამ პერიოდში განვითარებული მოვლენები. გამოცემაში საქართველოს ყველა თაობის თანამედროვე ხუთჭიდელთა წარმატებები სრულადაა ასახული, ამასთან, აქვე გაეცნობით ოლიმპიურ სარბიელზე და მსოფლიოს პირველობებზე თავგამოჩენილ სპორტსმენთა წარმატებების ქრონოლოგიას.

გამოცემა საქართველოში თანამედროვე ხუთჭიდის დანერგვის 60 წლისთავს და სხვადასხვა დროს დაღუპულ სპორტის ამ სახეობის ღირსეულ წარმომადგენელთა ხსოვნას ეძღვნება.

გამოცემა დაბეჭდილია შპს „პეტიტში".

თენგიზ თომაშვილი



საქართველოს ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 81 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი ტანმოვარჯიშე, საქართველოს და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ტანმოვარჯიშეთა თაობების სახელმოხვეჭილი აღმზრდელი

**ჰანს ბურჯანაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

პანაშვიდი: 14, 15. 02; გამოსვენება 16. 02, 14 საათზე. მისამართი: მუხიანი, დუმბაძის გამზ. II მ/რ კორპ. 18.

**ქართული ჭიდაობისა და სამბოს ეროვნული ფედერაციები, სამძიმარს უცხადებენ სსრკ ორგზის ჩემპიონს სამბოში (1960-1963 წწ), საქართველოს ფალავანს ქართულ ჭიდაობაში (1957 წ), ზაქარია მუხიაშვილს მეუღლის ციალა გოგიძე-მუხიაშვილის გარდაცვალების გამო.**

გამოსვენება 14 თებერვალს, 14 სთ-ზე. სოფ. გლდანი. კობერიძის ქ. №25.

ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74.
კვირის გარდა.

კალათბურთი

ლეგიონერი

# შერმადინი ოლიმპიაკოსსა და პანათინაიკოსზე




ბერძნულ გამოცემა „გაზეტაში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ საქართველოს ნაკრებისა და „ოლიმპიაკოსის“ ცენტრ **გიორგი შერმადინთან**. იგი ლაპარაკობს როგორც „პანათინაიკოსთან“ დაპირისპირებებზე, ასევე მანძარისის ტრავმაზე და „ოლიმპიაკოსში“ თავის სამომავლო მიზნებზე.

- საბერძნეთში გუნდის დასახმარებლად ჩამოვედი. ვეცდები „ოლიმპიაკოსისთვის“ მაქსიმუმი გავილო, შესაძლებლობები სრულად გამოვავლინო მხოლოდ იმისთვის, რომ გუნდმა მოიგოს. თავზე მეტია, რაც პირეოსში ვარ და მიხარია, რომ ადაპტაციის პროცესმა წარმატებით ჩაიარა. არანაირი პრობლემა არ მქონია, ყველა მხარში მიდგას.

ბოლო დროს „ოლიმპიაკოსის“ ირგვლივ მოვლენები ელვის სისწრაფით ვითარდება, მოგებას მოგება ენაცვლება, ამასთან, გუნდს ტრავმები არ სცილდება... განსაკუთრებული ფასი ჰქონდა ევროლიგაზე „ფენერბაჰჩესთან“ საშინაო გამარჯვებას.

- თურქული გუნდის დამარცხებისთვის რამე საიდუმლო იარაღი არ გამოგვიყენებია. მარტივია: როცა გუნდურად შრომობ, თავს არ ზოგავ, თამაშზეც დადებითად ისახება. ევროლიგისა თუ საბერძნეთის ჩემპიონატის მატჩებში თითოეული ოლიმპიაკოსელი მეორის გვერდში დგას და ამიტომაც გვაქვს შედეგი. რაც შეეხება „ფენერბაჰჩესთან“ შეხვედრას, დამატებითი სტიმული გვქონდა - თამაში მანძარისს მივუძღვენით, რომელიც ტარვმის გამო ვერ გვეხმარება. მისი არყოფნა გუნდისთვის დიდი დანაკლისია. მანძარისის ტრავმის შესახებ რომ გავიგე, ძალიან მეწყინა, მაგრამ როცა შევიტყვეთ, რომ საქმე მეტად სერიოზულადაა, მთელი გუნდი შოკირებული იყო.

ამ სეზონში, „ოლიმპიაკოსის“ მაისურით გიორგი ორ ისეთ გუნდს დაუპირისპირდა, რომლებშიც მანამდე თამაშობდა - ისრაელის „მაქაბისა“ (ევროლიგაზე) და ათენის „პანათინაიკოსს“. ბერძენი ჟურნალისტი დაინტერესდა, რას გრძნობდა შერმადინი როცა მოედანზე გადიოდა?

- ვერ ვიტყვი, განსაკუთრებული გრძნობა დამეუფლა. ისეთივე განწყობით გავედი სათამაშოდ, როგორც სხვა შეხვედრებში. ვცდილობდი გუნდის წარმატებაში საკუთარი წვლილი შემეტანა. ტელ-ავივში მართლაც ოქროს ორი ქულა მოვიპოვეთ.

ბოლო კვირაში „ოლიმპიაკოსმა“ „პანათინაიკოსის“ წინააღმდეგ ორჯერ ითამაშა. ჯერ საბერძნეთის ჩემპიონატში (პირეოსელებმა მოიგეს), შემდეგ საბერძნეთის თასის ფინალში (გამარჯვება ათენელებს დარჩათ). აი, რას ამბობს ბერძნულ „კლასიკოზე“ გიორგი შერმადინი:

- როცა ერთმანეთს ასეთი დონის გუნდები ხვდებიან, ყველაფერს დაცვა წყვეტს. ამას ჩვენი მწვრთნელი ყოველთვის გვეუბნება. განსაკუთრებით „პანათინაიკოსთან“ შეხვედრებში გვჭირდება ენერგიის ბოლომდე დახარჯვა, რათა მეტოქეს საკუთარი თამაშის ჩვენების შესაძლებლობა არ მიეცეს და სათამაშო რიტმიდან ამოვარდეს. დავალებებს როდის როგორ ვასრულებთ, შედეგებიდანაც ჩანს.




საქართველო. U14




ეროვნული ბიბლიოთეკა

53-ე სკოლის დარბაზი

**აკადემია 2-I ექსპერიმენტალური/ჰიუნდაი 44:69**

**აკადემია 2:** კუჭავა (11ქ)...
**ჰიუნდაი:** ბითაძე (18ქ, 16მ), ჯანელიძე (11ქ, 10მ), ლანჩავა (10ქ, 12მ).

**აკადემია-რუსთავი 59:64**

**აკადემია:** მეცხვარიშვილი (22ქ)...
**რუსთავი:** გაფრინდაშვილი (27ქ, 20მ), საბიაშვილი (14ქ, 19მ).

**თსსუ-ხაშური 96:18**

**თსსუ:** ალავიძე (20ქ, 13მ), ავალიანი (12ქ, 14მ), კეკელიძე (12ქ, 14მ), მდივანი (12ქ), გოგოლაშვილი (11ქ), ჩიგოგიძე (7ქ, 12მ).
**ხაშური:** შოთაძე (12ქ)...

**ვესტა-ნიკეა 88:51**

**ვესტა:** ფიფია (29ქ, 13მ, 9პ), ბუტიკაშვილი (22ქ, 13მ)...
**ნიკეა:** კალანდაძე (24ქ, 22მ), გორგოძე (12ქ), ნადარეიშვილი (6ქ, 19მ)...

**დინამო-კარდინალები 26:68**

**დინამო:** ილურიძე (6ქ)...
**კარდინალები:** მამალაძე (13ქ, 8ჩ), მანჯიკაშვილი (12ქ, 17მ)...

**ჰიუნდაი 2-გორი 52:77**

**ჰიუნდაი 2:** წენგუაშვილი (19ქ), ქილიფთარი (11ქ), აბაშიძე (8ქ, 10მ)...
**გორი:** მდივანი (41ქ, 6პ), ხუბულაშვილი (17ქ, 9მ), მჭედლიძე (8ქ, 19მ), პაპიაშვილი (11ქ, 11მ)...

საკალათბურთო აკადემიის დარბაზი

**მართვე-ქუთაისი 51:63**

**მართვე:** ბობოხია (17ქ, 20მ), ფაჩუაშვილი (13ქ)...
**ქუთაისი:** ჩეჩელაშვილი (18ქ), ფურცხვანიძე (14ქ, 17მ)...

**ბასტიონი-ფოთი 47:71**

**ბასტიონი:** დოლონაძე (15ქ, 13მ), ბაგათელია (10ქ)...
**ფოთი:** ხურცილავა (30ქ, 28მ), ქორჩილავა (12ქ, 9მ, 6პ, 6ჩ)...

ლეგიონის კვირა

# თასებმა ჩაიარა, ევროთასების ჯერია

თურქეთი, იტალია, საბერძნეთი - ამ ქვეყნებში კვირას თასის ფინალები გაიმართა. საამაყოა, რომ სამივეგან ქართველი თამაშობდა. გუშინაც მოგახსენეთ, რომ თასი მხოლოდ **ვიქტორ სანიკიძემ** ალმართა, **გიორგი შერმადინმა** და **მანუჩარ მარკოიშვილმა** ფინალური მატჩები დათმეს.

სამივეს არანაკლებ მნიშვნელოვანი შეხვედრები ამ კვირაში ელით. სანიკიძის „მონტეპასკი“ 15 თებერვალს ესპანურ „კახა ლაბორალს“ უმასპინძლებს და მოგების შემთხვევაში მეოთხედფინალისკენ დიდ ნაბიჯს გადადგამს. ამავე ჯგუფის წარმომადგენელი, შერმადინის „ოლიმპიაკოსი“ რუსეთს ესტუმრება და „ხიმკისთან“ ეცდება ურთიერთობის გარკვევას. პოდმოსკოვიედან ორი ქულის წამოღება ძალიან რთული იქნება, მაგრამ თუ ეს შეძლო, პირეოსული გუნდი ჯგუფის საპლეიოფო კვარტეტში შევა.

| ევროლიგა. F ჯგუფი | |
|---|---|
| **გუნდი** | **მ/წ** |
| 1. ბარსელონა (ესპანეთი) | 5-1 |
| 2. მონტეპასკი (იტალია) | 5-1 |
| 3. ხიმკი (რუსეთი) | 4-2 |
| 4. კახა ლაბორალი | 4-2 |
| 5. ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) | 3-3 |
| 6. მაქაბი (ისრაელი) | 2-4 |
| 7. ფენერბაჰჩე (თურქეთი) | 1-5 |
| 8. ბეშიქთაში (თურქეთი) | 0-6 |

მარკოიშვილის „გალათასარაი“ ევროთასზე ასპარეზობს, ისიც რუსეთს ეწვევა და „უნიქსს“ შეხვდება (13 თებერვალს). ამ ჯგუფში თითოეულ გუნდს 2-2 მატჩი აქვს დარჩენილი და ყველაფერი თავიდან იწყება - ყველას 2-2 მოგება და ამდენივე წაგება აქვს.

რადგან ევროთასზე ვლაპარაკობთ, ისიც ვთქვათ, რომ **გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკს“ 13 თებერვალს თურქეთში სერიოზული ბრძოლა ელის „ბანვიტთან“. მოგების შემთხვევაში უკრაინელები მეოთხედფინალის საგზურს გაინაღდებენ. ცინცაძის თანაგუნდელები კარგ სათამაშო ფორმაში რომ არიან, გასულ კვირას უკრაინის ჩემპიონატში დაამტკიცეს - ორივე მატჩი, ფაქტობრივად, პირველივე ტაიმში მოიგეს.

ამერიკიდან კარგი ამბებია: **ზაზა ფაჩულიამ** აქილევსის მყესის ტრავმა მოიშუშა და „ატლანტას“ მაისურით ოთხმატჩიანი შესვენების შემდეგ უკვე ითამაშა. ასევე გამოჯანმრთელდა **თორიკე შენგელია**, რომელსაც ტვინის შერყევის ნიშნები ჰქონდა. იგი გუნდთან ერთად უკვე ვარჯიშობს.




ლეგიონერთა ცხრილიდან ამოვარდა **სერგო ათუაშვილი**, რომელიც ირანული „ქეშმიდან“ საქართველოში დაბრუნდა და „სოხუმის“ ღირსებას იცავს.

სანაკრებო მატჩების გამო ლიბანის ჩემპიონატში შესვენებაა და **ნიკა ცქიტიშვილსაც** არ უთამაშია. გასულ კვირას ასევე დაისვენეს **ბექა ბურჯანაძისა** (კახასოლი“, ესპანეთი) და **ნიკა მეტრეველის** („ომენა“, იტალია) გუნდებმა.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 5.02 | NBA | ინდიანა VS | 114:103 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| | | 6.02 | NBA | VS მემფისი | 103:92 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| | | 8.02 | NBA | VS ნიუ ორლეანი | 100:111 | 17 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (NBA) | 5.02 | NBA | VS ლეიკერსი | 83:92 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| | | 6.02 | NBA | დეტროიტი VS | 90:93 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| | | 8.02 | NBA | ვაშინგტონი VS | 89:74 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| | | 10.02 | NBA | VS სან ანტონიო | 86:111 | არ უთამაშია, ტრავმა | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | გალათასარაი (თურქ) | 7.02 | თურქეთის თასი, 1/4 | VS ეფესი | 72:64 | 4 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | | 8.02 | თურქეთის თასი, 1/2 | VS ბანვიტი | 81:68 | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| | | 10.02 | თურქეთის თასი, ფინალი | VS ფენერბაჰჩე | 57:63 | 14 | 9 | 3 | 1 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტალია) | 8.02 | იტალიის თასი, 1/4 | VS რეჯო ემილია | 82:73 | 20 | 5 | 5 | 1 | 0 | 0 |
| | | 9.02 | იტალიის თასი, 1/2 | VS დინამო | 85:78 | 21 | 4 | 4 | 3 | 0 | 0 |
| | | 10.02 | იტალიის თასი, ფინალი | VS ვარეზე | 77:74 | 22 | 5 | 8 | 0 | 1 | 0 |
| გიორგი შერმადინი | ოლიმპიაკოსი (საბ) | 7.02 | საბერძნეთის ჩემპ. | VS იკაროსი | 85:63 | 12 | 6 | 4 | 0 | 1 | 1 |
| | | 10.02 | საბერძ. თასი, ფინალი | VS პანათინაიკოსი | 78:81 | - | 4 | - | - | - | - |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 8.02 | უკრაინის ჩემპ | VS გალიჩინა | 95:65 | 26 | 5 | 4 | 7 | 1 | 0 |
| | | 10.02 | უკრაინის ჩემპ | VS გოვერლა | 92:79 | 20 | 8 | 1 | 2 | 4 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# ორივე დივიზიონში პლეი ოფისთვის ხუთ-ხუთი იბრძვის

**ევროპული სანაკრებო სარაგბო ბატალიების პარალელურად იმ ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების შეხვედრებიც გაიმართა, რომლებშიც ქართველი მორაგბეები ასპარეზობენ.**


მარჯვნივ ლევან ჩილაჩავა

## I დივიზიონი

საფრანგეთში, ელიტურ პირველ დივიზიონში სატურნირო ცხრილის პირველი ხუთი საფეხური „ქართულ გუნდებს" უკავიათ.

ამათგან პირველი სამეულის წევრებმა - „ტულონმა", „კლერმონმა" და „ტულუზმა" მე-17 ტურში მარცხი განიცადეს, რაც ადვილი ასახსნელია. მათი წამყვანი მორაგბეების უმრავლესობა სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებებში იყვნენ გამოძახებულნი. ასეთი კოლექტიური უილბლობის მიუხედავად, ეს გუნდები აქამდე დაკავებულ პოზიციებს ინარჩუნებენ.

**დავით ქუბრიაშვილის, კონსტანტინე მიქაუტაძისა და ლევან ჩილაჩავას** „ტულონმა" სტუმრად ითამაშა ერთ-ერთ აუტსაიდერ „ბორდოსთან" და მოულოდნელად დიდი ანგარიშით დამარცხდა - 0:41. ასეთმა სამარცხვინო ნაგებამ სავსებით ბუნებრივია, რომ ტულონელთა მულტიმილიონერი პრეზიდენტის **მურად ბურჯელალის** განრისხება გამოიწვია.

*„ვუყურებდი თამაშს და თვალებს არ ვუჯერებდი. ფედერალ 1 დივიზიონის გუნდები ბევრად უკეთ თამაშობენ, ვიდრე ამას „ტულონი" აკეთებდა. ასეთი დიდი სხვაობით მარცხი ხომ უმიზეზოდ არ ხდება. რაგბის სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, გარკვეულ კომპონენტებში ამ შემადგენლობით პროგრესის მიღწევა შეუძლებელია. იმედი მაქვს, „ბორდოსთან" მატჩი მოთამაშეების საბოტაჟის გამო არ წავაგეთ და კიდევ შეიძლება მდგომარეობის გამოსწორება"* - თქვა მურად ბურჯელალმა.

ქართველი მორაგბეებიდან მხოლოდ ჩილაჩავამ ითამაშა, ის ძირითად შემადგენლობაში იყო და 49-ე წუთზე შეცვალეს, ქუბრიაშვილი დისკვალიფიცირებული იყო, მიქაუტაძემ კი საქართველოს ნაკრებში იასპარეზა.

„ტულონს" 55 ქულით კვალში მიჰყვება **დავით ზირაქაშვილისა და ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონი", რომელმაც სტუმრად ითამაშა „მეტრო რასინგთან" და 6:12 დამარცხდა. „ვულკანებს" საფრანგეთის, საქართველოსა და პორტუგალიის ნაკრებებში ჰყავდათ მივლენილი მოთამაშეები, თუმცა მათი შემადგენლობა მაინც სოლიდურად გამოიყურებოდა და წესით, პარიზელთა წინააღმდეგობა უნდა დაეძლიათ. არ გამოუვიდათ.

ზირაქაშვილი და კოლელიშვილი საქართველოს ნაკრებში იყვნენ გამოძახებულნი.

**ვასილ კაკოვინისა და ჯაბა ბრეგვაძის** მესამეადგილოსანმა „ტულუზმა" სტუმრად წააგო „აჟენთან" - 9:22. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფრანგული კლუბებიდან ყველაზე მეტად სწორედ ტულუზელები დაზარალდნენ - გუნდის ნახევარი საფრანგეთის ნაკრებშია, დიდი ნაწილი - ტრავმირებული.

თითქმის ერთწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ პირველად ითამაშა საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭმა ჯაბა ბრეგვაძემ, ის მოედანზე 51-ე წუთიდან გამოჩნდა, კაკოვინი ტრავმირებულია.

ძალზედ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა შინ ბასკურ „ბიარიცთან" **მამუკა გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა და გიორგი ჟღენტის** „მონპელიემ" - 33:10. არადა, მასპინძლებისთვის თამაში პირველ ტაიმში არაფრით აეწყო. დიდი ბრძოლისა და გარჯის შემდეგ, მონპელიელებმა პირველი ტაიმი მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით მოიგეს - 11:10. შესვენების შემდეგ, ჩვენებურთა გუნდი მთლიანად დაეუფლა სათამაშო უპირატესობას და მოწინააღმდეგეს მონაგარის გაზრდის საშუალება არ მისცა. თვითონ კი, ორი ლელოს გატანა და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილის შენარჩუნება შეძლო.

გორგოძე და ნარიაშვილი საქართველოს ნაკრებში ირჯებოდნენ, ჟღენტი ტრავმირებულია.

**ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა", რომელსაც „მონპელიეს" მსგავსად 49 ქულა აქვს და მე-5 ადგილზეა, შინ მოუგო **ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსეს" - 44:13. კასტრელები მთელი მატჩის განმავლობაში დიდ უპირატესობას ფლობდნენ, რაც საბოლოო ანგარიშშიც აისახა.

ფეიქრიშვილი სათადარიგოთა შორის გახლდათ და თამაშში 70-ე წუთიდან ჩაერთო, ჟვანია საქართველოს ნაკრებში იყო გამოძახებული.

**თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანი", რომელიც სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზეა, საკუთარ მოედანზე დაუპირისპირდა პლეი ოფში მოხვედრისთვის მებრძოლ „გრენობლს" და დამაჯერებლად დაამარცხა - 32:14. მჭედლიძემ „ბორჯღალოსანთა" რიგებში ითამაშა.

### XVII ტური

მეტრო რასინგი-კლერმონი 12:6, მონ დე მარსანი-გრენობლი 32:14, ბაიონი-პერპინიანი 13:10, აჟენი-ტულუზი 22:9, ბორდო-ტულონი 41:0, კასტრი-სტად ფრანსე 44:13, მონპელიე-ბიარიცი 33:10.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ტულონი - 61 ქულა, 2. კლერმონი - 55, 3. ტულუზი - 54, 4. მონპელიე - 49, 5. კასტრი - 49, 6. მეტრო რასინგი - 42, 7. გრენობლი - 42, 8. პერპინიანი - 39, 9. ბიარიცი - 37, 10. სტად ფრანსე - 37, 11. ბაიონი - 34, 12. ბორდო - 24, 13. აჟენი - 23, 14. მონ დე მარსანი - 14.

## II დივიზიონი

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონში პლეი ოფში გასვლის რეალური შანსი ქართველ მორაგბეთა ხუთ გუნდს აქვს. მათ შორის საუკეთესო პოზიციაზე **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა და გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკია", რომელმაც მე-


ბურთით ანტონ ფეიქრიშვილი

20 ტურში სტუმრად წააგო **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა და გოდერძი შველიძის** „ბრივთან" - 9:13.

ორიაკელებმა პირველ ტაიმში შესანიშნავად ითამაშეს და მშრალი ანგარიშით - 9:0 მოიგეს, თუმცა შესვენების შემდეგ გუნდებმა როლები გაცვალეს. მასპინძლებმა 13 ქულის აღება და უმძიმესი გამარჯვების მოპოვება შეძლეს. „ბრივმა" ამ გამარჯვების შემდეგ 55 ქულა დააგროვა და საპლეიოფო ხუთეულს მიუახლოვდა.

შველიძემ და დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშეს, ნაცარაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 55-ე წუთზე შეცვალეს, ასეიშვილი მოედანზე 45-ე წუთიდან გამოჩნდა და არბიტრმა შვიდ წუთში გაასინბინა, ნატრიაშვილი თამაშში 62-ე წუთიდან ჩაერთო, ხინჩაგიშვილი საქართველოს ნაკრებში იყო გამოძახებული.

„ბრივს" სამი ქულით ჩამორჩება და მე-7 ადგილზეა **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძის, დავით დადუნაშვილისა და ირაკლი მირცხულავას** „ტარბი", რომელმაც სტუმრად წააგო უშუალო კონკურენტთან, მეხუთეადგილოსან „კარკასონთან" - 9:14. პარადოქსია, მაგრამ ტარბელებმა, „ორიაკის" მსგავსად, პირველი ტაიმი 9:0 მოიგეს. მეორე ნახევარში კი მონაგარს ველარაფერი შემატეს და გააქტიურებულ მასპინძლებს დანებდნენ.

დადუნაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და არბიტრმა 32-ე წუთზე სინბინში გაუშვა, ნემსაძე თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო, ჩხაიძემ და მირცხულავამ საქართველოს ნაკრებში ითამაშეს.

„ტარბს" სამი ქულით ჩამორჩება და მე-8 ადგილზეა **გურამ კავთიძის** „ლიონი", რომელმაც სტუმრად წააგო მეორეადგილოსან „ლა როშელთან" - 3:9. კავთიძე განაცხადში არ იყო.

პლეი ოფში მოხვედრის თეორიული შანსი აქვს **ალექსანდრე თოდუას, ვახტანგ მაისურაძის, ვახტანგ ახობაძისა, გიორგი თეთრაშვილისა** და **კახაბერ კობერიძის** „ალბის", რომელიც 43 ქულით მე-10 ადგილზეა. ალბელებმა შინ დაამარცხეს აუტსაიდერი, **დავით აშვეთიასა** და **შალვა სუთიაშვილის** „მასი" - 26:19

თოდუა, მაისურაძე და სუთიაშვილი საქართველოს ნაკრებში იყვნენ გამოძახებული, ახობაძეს, თეთრაშვილს, კობერიძესა და აშვეთიას არ უთამაშიათ.

დივიზიონში დასარჩენად იბრძვის კიდევ ორი „ქართული გუნდი" - „ბეზიე" და „დაქსი". სამწუხაროდ, მე-20 ტურში ორივე დამარცხდა.

**ბექა შეყლაშვილის** „ბეზიემ" სტუმრად დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური სხვაობით წააგო „ექსთან" - 14:15. ქართველი შერკინების ბურჯი ძირითად შემადგენლობაში იყო, თუმცა 23-ე წუთზე დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა.

ლანგედოკელებისგან განსხვავებით შინ „ნარბონთან" დამარცხდა **ტარიელ რატიანიძის** „დაქსი" - 12:15. რატიანიძე განაცხადში არ იყო.

### XX ტური

ალბი-მასი 26:19, დაქსი-ნარბონი 12:15, პო-ოში 22:15, ექსი-ბეზიე 15:14, ბრივი-ორიაკი, 13:9, კარკასონი-ტარბი 14:9, კოლომიეოიონაქსი 25:13, ლა როშელი-ლიონი 9:3.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ოიონქსი - 77 ქულა, 2. ლა როშელი - 62, 3. პო - 62, 4. ორიაკი - 59, 5. კარკასონი - 55, 6. ბრივი - 55, 7. ტარბი - 52, 8. ლიონი - 49, 9. ნარბონი - 44, 10. ალბი - 43, 11. კოლომიე - 43, 12. ოში - 33, 13. ექსი - 33, 14. დაქსი - 30, 15. ბეზიე - 26, 16. მასი - 23.

## კელტთა ლიგა

მე-14 ტურის მატჩები გაიმართა „კელტთა ლიგაშიც", სადაც შარშანდელთან შედარებით ძალიან ცუდად ასპარეზობს საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგი", რომელმაც ამჯერად ირლანდიურ „მანსტერთან" წააგო - 3:30 და ახლა 22 ქულით მე-9 ადგილზეა. ბასილაიამ საქართველოს ნაკრებში ითამაშა.

### XIV ტური

ალსტერი-ოსფრიზი 12:16, კარდიფი-ლენსტერი 11:26, ჰლანეჰლი-ქონოთი 25:15, ნიუპორტი-ბენეტონი 23:14, მანსტერი-ედინბურგი 30:3, ზებრე-გლაზგო 20:36.

**სატურნირო მდგომარეობა:** 1. ალსტერი - 53 ქულა, 2. გლაზგო - 46, 3. ლენსტერი - 44, 4. ჰლანეჰლი - 42, 5. მანსტერი - 41, 6. ოსფრიზი - 39, 7. კარდიფი - 28, 8. ბენეტონი - 27, 9. ედინბურგი - 22, 10. ქონოთი - 20, 11. ნიუპორტი - 18, 12. ზებრე - 6.

**ბესიკ ჯანგავაძე**


ბურთით ლევან დათუნაშვილი, მარცხნივ კარლენ ასეიშვილი

ჰოკეი



სლოვენიის ნაკრები

# სოჭი დაკომპლექტდა

გასულ უქმეებზე გაირკვა სოჭის ოლიმპიური თამაშების ჰოკეის ტურნირის ყველა მონაწილე. ბოლოს სამი ვაკანტური საგზური სლოვენიამ, ლატვიამ და ავსტრიამ მოიპოვეს, - წერია ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდზე.

ამ ნაკრებებმა სოჭში თამაშის უფლება საკვალიფიკაციო ტურნირების მოგების შემდეგ მიიღეს. სლოვენია ჯგუფში უკრაინასთან, ბელარუსთან და დანიასთან თამაშობდა და სამივე შეხვედრაში გაიმარჯვა. ალსანიშნავია, რომ ეს გუნდი პირველად ითამაშებს ოლიმპიურ ტურნირზე. ცნობისთვის, სლოვენიელთა მთავარი მწვრთნელია „ლოს ანჯელეს კიგზის" ლიდერის **ანჟე კოპიტარის** მამა.

ავსტრიელთა მეტოქეები იყვნენ გერმანიის, ჰოლანდიისა და იტალიის ნაკრებები. ავსტრიამ მოუგო იტალიასა და ჰოლანდიას და ოვერტაიმში დამარცხდა გერმანიასთან, მაგრამ ეს შედეგები საკმარისი აღმოჩნდა საგზურის მოსაპოვებლად.

ავსტრიის მსგავსი შედეგი ჰქონდა ლატვიას - ორი მოგება ბრიტანეთთან და ყაზახეთთან და ოვერტაიმში წაგება საფრანგეთთან. ლატვიამაც მოიპოვა 2014 წლის ოლიმპიადაზე თამაშის უფლება.

ასე რომ, მთლიანად დაკომპლექტდა სოჭის თამაშებზე ჰოკეის ტურნირში ჯგუფების შემადგენლობები:

**A ჯგუფი:** რუსეთი, სლოვაკეთი, აშშ, სლოვენია;

**B ჯგუფი:** ფინეთი, კანადა, ნორვეგია, ავსტრია;

**C ჯგუფი:** ჩეხეთი, შვედეთი შვეიცარია, ლატვია.

ასევე ცნობილი გახდა ქალთა ტურნირის ყველა მონაწილე. სოჭში ითამაშებენ: რუსეთი, კანადა, აშშ, ფინეთი, შვეიცარია, შვედეთი, გერმანია და იაპონია.

# ევროპის ჩემპიონატი იქნება?

შვედეთის ქალაქ მალმიოში გაიმართა ჰოკეიში ევროტურის მონაწილე ქვეყნების შეხვედრა. განხილვის მთავარი თემა გახდა ევროტურის ალტერნატიული ტურნირის ჩატარება, რომელსაც ნაკრებებს შორის ევროპის ჩემპიონატი დაერქმევა.

ამ შეჯიბრში მონაწილეობისთვის მიიწვევენ გუნდებს, რომლებიც ევროტურის მონაწილე გუნდების - რუსეთის, შვედეთის, ჩეხეთისა და ფინეთის ქვემოთ დგანან რეიტინგში.

შეხვედრის შემდეგ შედგა სამუშაო ჯგუფი ტურნირის ახალი ფორმატის შესამუშავებლად. ეს ჯგუფი გაითვალისწინებს მონაწილეთა სურვილებს.

NHL რეგულარული ჩემპიონატი

გუშინდელი სათამაშო დღის პირველი ვარსკვლავი გახდა „ნიუ იორკ რეინჯერსის" ფორვარდი **კარლ ჰაგელინი**, რომელმაც „ტამპა ბეისთან" მატჩში სამი ქულა (2+1) დააგროვა.

მეორე ვარსკვლავად აღიარეს „ედმონტონის" მეკარე **დევან დუბნიკი**. ის „კოლამბუსის" ჰოკეისტთა 39 დარტყმას გადაელობა.

მესამე ვარსკვლავი გახდა „ნიუ ჯერსის"ფორვარდი **დევიდ კლარკსონი**, რომელმაც დუბლი შეასრულა „პიტსბურგთან" მატჩში.

**დეტროიტი–ლოს ანჯელესი 3:2**

2:1, 0:0, 1:1

**გოლები:** 1:0 დაციუკი-5 (ზეტერბერგი-12, კრონვალი-9), 2:0 ბრუნერი-6 (ზეტერბერგი-13, ი. უაიტი-1), 2:1 კოპიტარი-4 (სკუდერი-1, ვოინოვი-2), 2:2 მარტინესი-1 (კლიფორდი-5), 3:2 ჯ. ერიქსონი-2.

**რეინჯერსი–ტამპა ბეი 5:1**

2:0, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ჰაგელინი-2 (ნეში-6, ჯირარდი-3), 2:0 კელეჰანი-3, 3:0 ჰაგელინი-3 (მ. სტაალი-6), 3:1 ლეკავალიე-5 (ჰედმანი-4, კილორნი-1), 4:1 ეშემი-1 (მაკდონაჰი-2), 5:1 ნეში-3 (ჰაგელინი-2, ჟირარდი-4).

**კოლამბუსი–ედმონტონი 1:3**

0:1, 0:0, 1:2

**გოლები:** 0:1 ჰემსკი-5 (ტ. ჰოლი-9), 1:1 უმბერგერი-1 (ტიუტინი-8, დუბინსკი-5), 1:2 პააიარვი-1 (სემ განიე-9, შმიდი-2), 1:3 სემ განიე-4 (ნიუჯენტ-ჰოპკინსი-6).

**პიტსბურგი–ნიუ ჯერსი 1:3**

0:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 0:1 კლარკსონი-8 (ენრიკე-2), 0:2 კოვალჩუკი-4 (მატო-1), 0:3 კლარკსონი-9 (ელიაში-11, ჟიდლიცკი-5), 1:3 ჯ. ნილი-8 (კუნიტცი-9, მალკინი-13).

**ბაფალო–ბოსტონი 1:3**

0:0, 1:1, 0:2

**გოლები:** 0:1 მარჩანდი-6 (ფერენსი-2), 1:1 ენისი-5 (სტეფორდი-5), 1:2 პ. ბერჟერონი-2 (კ. ბურკი-1, პევერლი-3), 1:3 ლუჩიჩი-3 (კრეიჩი-7, საიდენბერგი-1).

**ნეშვილი–ჩიკაგო 0:3**

0:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 კრუგერი-2, 0:2 ტეივზი-6 (კიტი-4, მარიან ჰოსა-6), 0:3 პ. კეინი-9 (ბოლანდი-2, როჟსივალი-3).



კარლ ჰაგელინი

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი.

# სამი ოვერტაიმი ბოსტონში

დღის ცენტრალურ მატჩში "მაიამი" საკუთარ მოედანზე იღებდა "ლეიკერსს", რომელსაც ფლორიდელებთან ბოლო ექვს მატჩში ხუთი ჰქონდა წაგებული. კალიფორნიელები ამ შეხვედრით ასრულებდნენ შვიდმატჩიან გასვლით სერიას. საბოლოოდ, ეს მოგზაურობა **დ'ენტონის** გუნდმა დადებითი ბალანსით დაამთავრა – 4 მოგება და 3 წაგება.

ბოლო მატჩებში "ლეიკერსი" კატასტროფულად თამაშობდა რომელიმე მეოთხედს. ამჯერად, კალიფორნიელები მეოთხე მეოთხედში ჩავარდნენ. სტუმრებმა 12 წუთში რვა შეცდომა დაუშვეს, "ჰიტს" კი ერთხელაც არ დაუკარგავს ბურთი და მეტოქის შეცდომები რვა ქულაში გარდასახა. გარდა ამისა, სტუმრების რიგებში არ აღმოჩნდა კალათბურთელი, რომელიც შეძლებდა **ჯეიმსისა** და **უეიდის** შეჩერებას, რომლებმაც თამაშიდან 34-ჯერ ისროლეს და 26 ბურთი მოათავსეს კალათში. სტუმრებმა წააგეს ფარი, რაც ასეთი ტიპის შეხვედრებში მნიშვნელოვანი ფაქტორია, გარდა ამისა, "ლეიკერსმა" ვერაფერი დაუპირისპირა "ჰიტის" სწრაფ გარღვევებს. "მაიამიმ" ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო, ლებრონ ჯეიმსმა კი საკლუბო რეკორდი დაამყარა – ზედიზედ ხუთი მატჩი ჩაატარა, რომელშიც მინიმუმ 30 ქულას აგროვებდა და 60-პროცენტიანი სიზუსტით ესროდა.

■ ■ ■

ნამდვილი თრილერი გათამაშდა ბოსტონში, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ შთამბეჭდავი მოგებათა სერიის მქონე გუნდები. "ბოსტონმა" **რონდოს** დაკარგვის შემდეგ ზედიზედ ექვსი მატჩი მოიგო, "დენვერს" კი მიჯრით ცხრა შეხვედრა ჰქონდა მოგებული.

"სელტიქსს" 63 წუთი დასჭირდა ბრწყინვალე ფორმაში მყოფი მეტოქის დასამარცხებლად. ასეთ შეხვედრებში რომელიმე მოთამაშის გმირობის მოწმენი ვხდებით. **პირსისგან** და **გარნეტისგან** ძლიერი თამაში არავის უკვირს, **ჯეისონ ტერის** 26 ქულა კი სწორედ ის ფაქტორი გახდა, რამაც "დენვერს" ზედიზედ მეათე შეხვედრა არ მოაგებინა. სწორედ ექს-დალასელის სამქულიანმა დაუსვა წერტილი მესამე ოვერტაიმს.

"დენვერმა" ერთგვარი გმირობა ჩაიდინა, როცა ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო დაცვა გადალახა. "სელტიქსმა" წააგო ფარქვეშ ბრძოლა, სამაგიეროდ, 13 სამქულიანი ჩააგდო და საბოლოოდ, თამაშიდან 39-პროცენტიანი სიზუსტე იკმარა მატჩი მოსაგებად. ტერის, პირსისა და გარნეტის გარდა, გმირულად თამაშობდა **ჯეფ გრინი**, რომლის სამქულიანმა გადაარჩინა "ბოსტონი" პირველ ოვერტაიმში. მეორე დამატებით დროში მასპინძლები პირსის სამქულიანით „გამოძვრნენ", მესამეში კი საქმეს ხელი მოჰკიდა გარნეტმა, რომელმაც უბრალოდ, "დაბომბა" მეტოქის ფარი საფირმო საშუალო ტყორცნებით.

■ ■ ■

დასავლეთის ლიდერებმა – "სან ანტონიომ" და "ოკლაჰომამ" უბრალოდ დასცინეს თავიანთ მეტოქეებს. "თანდერმა" პირველ ტაიმში მოამთავრა საქმე და კინაღამ აიძულა "ფინიქსი" განეახლებინა ანტირეკორდი მატჩში შედეგიანობის მიხედვით. "ოკლაჰომას" ლიდერები საერთოდ არ გამოჩენილან მოედანზე მეოთხე მეოთხედში.

**ტიმ დანკანისა** და **მანუ ჯინობილის** გარეშე მოთამაშე "სან ანტონიომ" კი "ბრუკლინთან" გასვლით მატჩში მეორე ტაიმში გადაწყვიტა მატჩის ბედი. "სპურსმა" მესამე და მეოთხე მეოთხედები 60:29 მოიგეს. "სან ანტონიოს" მოგება განაპირობა **ტონი პარკერის** გენიალურმა თამაშმა და 19 ცდიდან 12-მა ჩაგდებულმა სამქულიანმა.

■ ■ ■

მაიამიში განადგურების შემდეგ, "კლიპერსმა" რეაბილიტაცია ნიუ იორკში გადაწყვიტა. მატჩის შემდეგ, **ჯამალ კროუფორდმა** აღიარა, რომ მისი გუნდი ვერ მოიგებდა ვეტერანი **გრანტ ჰილის** გარეშე. ამ უკანასკნელმა მიმდინარე სეზონში პირველად შეგვახსენა, რომ დიდი ინდივიდუალისტია. **კარმელო ენტონიმ** პირველ სამ მეოთხედში 40 ქულა დააგროვა და მისი შემჩერებელი არ ჩანდა, მაგრამ მოედანზე 40 წლის ჰილის გამოჩენის შემდეგ, მელომ ბოლო მეოთხედში მხოლოდ ორი ტყორცნა შეასრულა. სანამ "ნიქსის" ლიდერი დაკარგულ თამაშს ეძებდა, კროუფორდი იმყარებდა პოზიციებს საუკეთესო მეექვსე მოთამაშის პრიზისთვის ბრძოლაში. გადამწყვეტ სპურტში (15:4) მისი წილი 8 ქულა იყო. ამის შემდეგ ენტონიმ და **ფელტონმა** სცადეს მატჩის ბედის შემოტრიალება, მაგრამ ექვს ქულაზე ახლოს ვერ მოუახლოვდნენ მეტოქეს.

**ნიუ იორკი–კლიპერსი 88:102**

17:22, 27:30, 26:19, 18:31

**ნ-ი:** ენტონი (42+8 მოხსნა), ფელტონი (20+5 პასი), ჩენდლერი (6+11 მოხსნა).

**კ:** კროუფორდი (27), პოლი (25+6 მოხსნა+7 პასი+4 ჩაჭრა), გრიფინი (17+12 მოხსნა), ბლედსოუ (13+3 დაფარება).

**მაიამი–ლეიკერსი 107:97**

25:26, 28:27, 25:20, 29:24

**მ:** ჯეიმსი (32+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), უეიდი (30+5 პასი+3 ჩაჭრა), ჩელმერსი (13), ბოში (12+11 მოხსნა).

**ლ:** ბრაიანტი (28+6 მოხსნა+9 პასი), კლარკი (18+9 მოხსნა), ჰოვარდი (15+9 მოხსნა), ნეში (15).

**საკრამენტო–ჰიუსტონი 117:111**

28:25, 29:28, 27:33, 33:25

**ს:** სალმონსი (23+6 პასი), ტომასი (23+6 პასი), კაზინსი (20+7 მოხსნა), ტომპსონი (12+7 მოხსნა), გარსია (11), ჰეისი (8+12 მოხსნა).

**ჰ:** ჰარდენი (30+6 მოხსნა), პატერსონი (18+6 მოხსნა), აშიქი (17+12 მოხსნა+3 დაფარება), დელფინო (15), ლინი (12+6 პასი).

**ბოსტონი–დენვერი 118:114 (ვო)**

29:19, 21:27, 28:24, 14:22, 7:7, 8:8, 11:7

**ბ:** პირსი (27+14 მოხსნა+14 პასი), ტერი (26+3 ჩაჭრა), გარნეტი (20+18 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), გრინი (17+3 დაფარება), ბრედლი (13+5 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**დ:** ლოუსონი (29+6 მოხსნა+9 პასი), გალინარი (18+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), მილერი (15+5 მოხსნა+6 პასი), ფარიდი (14+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბრიუერი (13+3 ჩაჭრა), მაკგი (5+16 მოხსნა+3 დაფარება).

**ტორონტო–ნიუ ორლეანი 102:89**

32:21, 18:26, 19:19, 33:23

**ტ:** გეი (20+8 მოხსნა), ლუკასი (19), ლოური (14+5 მოხსნა+10 პასი), ჯონსონი (14+7 მოხსნა), ვალანჩიუნასი (11+10 მოხსნა), ანდერსონი (11+3 ჩაჭრა).

**ნ-ო:** ლოპესი (19), ვასკესი (17+7 მოხსნა+6 პასი), ანდერსონი (15+6 მოხსნა), რობერტსი (13).

**ორლანდო–პორტლენდი 110:104**

22:26, 33:23, 24:23, 31:32

**ო:** რედიკი (22+5 პასი), ვუჩევიჩი (17+19 მოხსნა), აიონი (16+11 მოხსნა+6 პასი), ნიკოლსონი (14+5 მოხსნა), აფლალო (14), ნელსონი (10+15 პასი).

**პ:** ოლდრიჯი (25+6 მოხსნა+5 პასი), ბატუმი (19+8 მოხსნა+6 პასი), მეტიუზი (17+5 მოხსნა), ჰიქსონი (11+7 მოხსნა), ლილარდი (4+12 პასი).

**მემფისი–მინესოტა 105:88**

21:20, 26:17, 29:19, 29:32

**მემ:** პრინსი (18), რენდოლფი (16+8 მოხსნა), კონლი (16+8 პასი), დეი (16).

**მინ:** რიდნური (17), რუბიო (17), ჟელაბალი (14), შვედი (10+9 პასი).

**ბრუკლინი–სან ანტონიო 86:111**

35:25, 22:26, 14:30, 15:30

**ბ:** ჯონსონი (19), ლოპესი (18+9 მოხსნა), უილიამსი (15).

**ს-ა:** პარკერი (29+11 პასი), გრინი (14), სპლიტერი (13+9 მოხსნა), ბონერი (11), დიაო (10).

**ფინიქსი–ოკლაჰომა 69:97**

16:27, 18:24, 14:23, 21:23

**ფ:** მორისი (12).

**ო:** უესტბრუკი (24+6 პასი+4 ჩაჭრა), სეფოლოშა (20+3 ჩაჭრა), დურანტი (18+7 მოხსნა), იბაკა (12+6 მოხსნა).




ჯეიმსმა და უეიდმა 62 ქულა დააგროვეს

ამბები

## ცვლილება შაკის გუნდში

"დეტროიტ პისტონზის" ცენტრი **ანდრე დრამონდი** მონაწილეობას არ მიიღებს "ყველა ვარსკვლავის უქმეებზე" დებიუტანებისა და "მეორეწლიანების" ტრადიციულ მატჩში. ამის მიზეზი ზურგის ტრავმაა.

დრამონდს "შაკის გუნდში" უნდა ეთამაშა. ახლა, დეტროიტელის ადგილს ამ გუნდში "ორლანდოს" ფორვარდი **ენდრიუ ნიკოლსონი** დაიკავებს.

აღნიშნული შეხვედრა ჰიუსტონში 15 თებერვალს გაიმართება.

## ნოა ოლ სტარს გამოტოვებს?

ამასობაში, გამორიცხული არ არის „ყველა ვარსკვლავის მატჩი" გამოტოვოს „ჩიკაგოს" ძირითადმა ცენტრმა **ჟოაკიმ ნოამ**. ფრანგ კალათბურთელს ტერფის ტრავმა აწუხებს და გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, რეგულარულ ჩემპიონატში რამდენიმედღიან პაუზას სამკურნალოდ და დასვენებისთვის გამოიყენებს.

*„რა თქმა უნდა, მინდოდა ამ მატჩში მონაწილეობის მიღება, მაგრამ უნდა ვიმოქმედო გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „ყველა ვარსკვლავის მატჩი". ასე რომ, ვნახოთ"*, - ამბობს ნოა.

ფრანგმა დაადასტურა, რომ მონაწილეობას მიიღებს „ჩიკაგოს" ორ შეხვედრაში, რომელიც „ყველა ვარსკვლავის უქმეებამდე" გაიმართება.

## კლივლენდი ოდენს მოელაპარაკა?

„კლივლენდ კავალიერზი" დედლაინის დადგომამდე აპირებს თავისუფალი აგენტისთვის - **გრეგ ოდენისთვის** ორწლიანი კონტრაქტის შეთავაზებას. თუ თანამშრომლობა წარმატებული გამოვა, ცენტრს ხელშეკრულების ერთი წლით გაგრძელების საშუალება ექნება.

ოდენის აგენტის **მაიკ კონლის** თქმით, 25 წლის კალათბურთელი რამდენჯერმე შეხვდა „კავალიერსის" ხელმძღვანელობას და უახლოეს ხანში ისევ აპირებს კლივლენდში ჩასვლას.

ოდენს NBA-ში დებიუტი 2008 წელს ჰქონდა და მას შემდეგ, ხუთი ოპერაცია გადაიტანა მუხლების სამკურნალოდ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჩოგბურთი. ტურნირები



მარია შარაპოვა

# დიდი ჩოგბურთი ბრუნდება

**საჩოგბურთო** ვარსკვლავები ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ აღებული არდადეგებიდან გამოდიან და ამ კვირას ოთხ ტურნირში შეეჯიბრებიან ერთმანეთს...

### WTA
### Qatar Total Open

დოჰა (კატარი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 2 210 000 დოლარი

***მონაწილეები:*** *ვიქტორია აზარენკა, სერენა უილიამსი, მარია შარაპოვა, აგნიეშკა რადვანსკა, ანჟელიკ კერბერი, სარა ერანი...*

დოჰა WTA-ის კალენდარში Premier 5 კატეგორიის ტურნირების სერიას ხსნის. როგორც ასეთ სტატუსს შეეფერება, ტურნირმა ქალთა ჩოგბურთის მთელი ბომონდი შეკრიბა და იქ გაიმართება ბრძოლა რეიტინგის პირველი საფეხურისთვის.

მსოფლიო კლასიფიკაციის ლიდერთა უმრავლესობამ ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ პაუზა აიღო. გამონაკლისი მხოლოდ **აგნიეშკა რადვანსკა** გახდა, რომელიც პოლონეთის ნაკრებს ეხმარებოდა ფედერაციის თასზე. პოლონელს სჭირდებოდა ასეთი სათამაშო პრაქტიკა მელბურნში **ნა ლისთან** დასანანი მარცხის გამო. შარშან, რადვანსკამ დოჰაში ნახევარფინალამდე მიაღწია, სადაც **ვიქტორია აზარენკასთან** წააგო. დღეს, პოლონელისგან ნაკლებს არ ელიან და სხვათა შორის, ნახევარფინალში მისი პოტენციური მეტოქე ისევ ბელარუსი ჩოგბურთელი იქნება.

უფრო დიდი ყურადღებაა მიპყრობილი ტურნირის კიდევ ერთი ვარსკვლავისკენ – **სერენა უილიამსისკენ**. ამერიკელმა ვერ შეძლო ფავორიტის სტატუსის დამტკიცება ავსტრალიის ლიაზე, სადაც მეოთხედფინალურ ეტაპზე გაჩერდა. ამის მიზეზი იყო მისი თანამემამულის **სლოან სტივენსის** ბრწყინვალე მოქმედება და იმ მრავალრიცხოვანი ტრავმების შედეგი, რომელიც უილიამსს ავსტრალიაში აწუხებდა. ახლა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სერენამ კარგად დაისვენა და მას არ უნდა გაუჭირდეს ნახევარფინალში გასვლა. ამერიკელისთვის მთავარ წინაღობად შეიძლება იქცეს **პეტრა კვიტოვა**, რომელმაც შესანიშნავი ჩოგბურთი უჩვენა ფედერაციის თასზე.

ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ინტრიგაა უკვე ნახსენები სლოან სტივენსის გამოსვლა. ავსტრალიის ლიას მთავარი სენსაცია პირველად თამაშობს კატარში. თუ ამერიკელი ისეთივე ტემპითა და მონდომებით გააგრძელებს თამაშს, როგორც ამას მელბურნში აკეთებდა, მისი დებიუტი შეიძლება წარმატებული გამოვიდეს. წესით, მესამე წრემდე მას პრობლემა არ უნდა შეექმნას, შემდეგ კი ელოდება შეხვედრა მოქმედ ჩემპიონთან, რუს **მარია შარაპოვასთან**.

საწყის ეტაპებზე რამდენიმე საინტერესო შეხვედრა გველოდება. უკვე პირველ წრეში შეხვდებიან ერთმანეთს **ფრანჩესკა სკიავონე** და **მარიონ ბარტოლი**. კარგი თამაშია მოსალოდნელი **დანიელა ჰანტუხოვასა** და ახალგაზრდა **ლორა რობსონს** შორის, მეორე რაუნდში კი შესაძლებელია გერმანული დერბის ხილვა **მონა ბარტელსა** და **ანჟელიკ კერბერს** შორის.

### ATP
### ABN AMRO World Tennis Tournament

როტერდამი (ჰოლანდია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 570 000 ევრო

***მონაწილეები:*** *როჯერ ფედერერი, ხუან-მარტინ დელ პოტრო, ჟო-ვილფრიდ ცონგა, რიშარ გასკე, ჟილ სიმონი...*

როტერდამის პრესტიჟულ ტურნირს წელს 40 წელი უსრულდება. ამჯერად, სატურნირო ბადე დაამშვენა ტოპ-ათეულის ოთხმა ჩოგბურთელმა. განთესილთა სიას სათავეში უდგას **როჯერ ფედერერი**, რომელმაც შარშან, ფინალში **ხუან-მარტინ დელ პოტროს** მოუგო. ეს ტურნირი წელს მეორეა შვეიცარიელისთვის ATP-ის ტურში, რადგან მან პაუზა აილო ავსტრალიის ლიას შემდეგ, სადაც ნახევარფინალი წააგო **ენდი მარეისთან**.

როტერდამში მორიგ ფინალამდე ფედერერს, სავარაუდოდ, **ჟო-ვილფრიდ ცონგასთან** მოუწევს შეხვედრა. ფრანგი საკმაოდ კარგად გამოვიდა ავსტრალიაში, სადაც მეოთხედფინალამდე მიაღწია და იქ, საკმაოდ მძიმე მატჩში სწორედ როჯერთან დამარცხდა.

ასეთი შედეგით ვერ დაიკვეხნის არგენტინელი დელ პოტრო. არგენტინელმა ამ სეზონში მხოლოდ სამი მატჩი ჩაატარა. ერთ-ერთში მან მოულოდნელად **ჟერემი შარდისთან** წააგო მელბურნში. დელ პოტროს როტერდამში საკმაოდ რთული სტარტი ელის - მისი პირველი მოწინააღმდეგე იქნება **გაელ მონფილსი**.

### SAP Open

სან ხოსე (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 623 000 დოლარი

***მონაწილეები:*** *მილოშ რაონიჩი, ჯონ ისნერი, ტომი ჰაასი, სემ კუერი, ფერნანდო ვერდასკო, ლეიტონ ჰიუიტი...*

სან ხოსეს ტურნირს დიდი და შთამბეჭდავი ისტორია აქვს – პირველი გათამაშება შორეულ 1889 წელს გაიმართა. მაგრამ წლევანდელი ტურნირი ბოლო იქნება ამ ქალაქისთვის, რადგან შეჯიბრება მემფისში გადადის.

კანადელი **მილოშ რაონიჩი** შეეცდება თავისი სახელი ჩაწეროს ისტორიაში, როგორც სამგზის ჩემპიონი. წინა ორი გათამაშება აქ სწორედ მილოშმა მოიგო. კანადელისთვის ხელის შეშლას ეცდება **ჯონ ისნერი**, რომელმაც ახალ სეზონში არადამაჯერებელი სტარტი აილო – ამერიკელის ანგარიშზე ერთი მოგება და ორი წაგებაა. ამ ტურნირზე ჯონი მესამედ გამოვა და ჯერ ბევრით ვერაფრით დაიკვეხნის – მეოთხედფინალზე შორს ის არასოდეს წასულა.

გაცილებით წარმატებული იყო აქ **ფერნანდო ვერდასკო**, რომელმაც 2010 წელს მოიპოვა მთავარი პრიზი, შარშან კი ფინალში ჩითამაშა. ასევე ბრუნდება სან ხოსეში კიდევ ერთი ყოფილი ჩემპიონი - **ლეიტონ ჰიუიტი**. თავისი ჯილდო ავსტრალიელმა ჯერ კიდევ 2002 წელს მოიპოვა – მაშინ მან **ანდრე აგასის** მოუგო. ახალ სეზონში ავსტრალიელს ჯერჯერობით უჭირს – მას მხოლოდ ერთი მოგება და ორი წაგება აქვს. კიდევ ერთი ვეტერანი, რომელიც სან ხოსეში ითამაშებს, გერმანელი **ტომი ჰაასია**, რომელიც ჯერ ვერ ახერხებს იმ ბრწყინვალე თამაშის პოვნას, რომელსაც გასულ სეზონში აჩვენებდა, თუმცა გერმანელს სან ხოსეში ექნება რეაბილიტაციის შანსი.

### Brasil Open - Sao Paulo

სან პაულუ (ბრაზილია). გრუნტი

**საპრიზო ფონდი:** 519 000 დოლარი

***მონაწილეები:*** *რაფაელ ნადალი, ნიკოლას ალმაგრო, ხუან მონაკო, სტანისლას ვავრინკა, ჟერემი შარდი, პაბლო ანდუხარი...*

რაფაელ ნადალი თითქმის ტრიუმფალურად დაუბრუნდა პროფესიულ ტურს შვიდთვიანი შესვენების შემდეგ. ესპანელმა ჩილეს ტურნირზე ორივე თანრიგის ფინალში გააღწია, მაგრამ ორივე წააგო, რამაც ოდნავ გააუფერულა ესპანელის წარმატებული გამოსვლა. ახლა, რაფამ სან პაულუში გადაინაცვლა. ის თანდათან იბრუნებს სათამაშო ფორმას და არ ჩქარობს ვარსკვლავურ მოწინააღმდეგეებთან შეხვედრას. ამიტომაც ტურნირების ასეთი არჩევანი გასაკვირი არ არის, მით უმეტეს, რომ რაფაელს ბრაზილიაში 2005 წელს გაუმარჯვია.

ნადალს რთული მეტოქეები ეყოლება, მაგრამ მათი გავლა შესაძლებელია. მთავარი მეტოქე **ნიკოლას ალმაგრო** იქნება, რომელიც სან პაულუში ორგზის ჩემპიონის რანგში ჩავიდა. მან კარგად წარმოაჩინა თავი ავსტრალიის ლიაზე, სადაც მეოთხედფინალამდე მიაღწია და იქ ხუთ სეტში დამარცხდა **დავიდ ფერერთან**.

სერიოზულ მეტოქედ ვერ დავასახელებთ **ხუან მონაკოს**, რომელსაც, ახლა, რთული დროება უდგას. ავსტრალიის ლიაზე ჩავარდნის შემდეგ, არგენტინელი ვინა დელ მარშიც პირველივე მატჩში დამარცხდა.

ადგილობრივი პუბლიკა გარკვეულ იმედებს უკავშირებს **ტომაშ ბელუჩის**, რომელმაც ჩააგდო ჰარდზე თამაში, მაგრამ გრუნტის საფარზე მას უფრო მეტი შეუძლია.

გვერდი მოამზადა

**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| პოდბესკიძე-ესბერგი | 3:1 |
| უიპეშტი-სლავია (მ) | 0:1 |
| სლოვანი-ცრვენა ზვეზდა | 0:1 |
| ბრაშოვი-ფერენცვაროში | 0:0 |
| კოპენჰაგენი-ბრონშოი | 2:2 |
| ლილესტრიომი-ასტრა | 1:0 |
| ჰელსინგბორგი-მიდტიულანდი | 1:1 |
| ცსკა-ვოლერენგა | 1:3 |
| გალინამალარდი-დერი | 4:2 |
| ელფსბორგი-აგფ ორჰუსი | 1:0 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი | 0:2 |

**იტალია**

**სერია B**

| | |
|---|---|
| ემპოლი-ლივორნო | 2:1 |

**სერია C1/B**

| | |
|---|---|
| პიზა-პერუჯა | 0:1 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ბეტისი-ვალიადოლიდი | 0:0 |

**გერმანია**

**II ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| ჰერტა-უნიონი | 2:2 |

**საფრანგეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ანჟერსი-ლანსი | 3:2 |

**პორტუგალია**

| | |
|---|---|
| ბრაგა-ფერეირა | 2:3 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| ჰიბერნიანი-სტ. ჯონსტონი | 1:3 |

**შვეიცარია**

**ჩელენჯლიგა**

| | |
|---|---|
| კიასო-ბელინცონა | გადაიდო |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| პლატანიასი-არისი | 2:0 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| პანაიტოლიკოსი-ირაკლისი (ს) | 3:0 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| გაზიანთეფი-ქასიმფაშა | 2:1 |

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| მანიშ-[illegible] | 4:0 |

**ირლანდიის თასი**

| | |
|---|---|
| სტ. პატსი-გლენტორანი | 0:0 |
| კორკი-კლიფტონვილი | 4:0 |
| დროგედა-პორტდაუნი | 3:2 |
| შემროკი-კოლრეინი | 0:1 |

**კვიპროსი**

| | |
|---|---|
| აეკ-აეპ | 4:0 |
| აიია-აპოელ | 0:2 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| მაკაბი (თ-ა)-ჰაპოელი (თ-ა) | 4:0 |

### კალათბურთი

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ნანსი-სტრასბური | 73:74 |

### ჰოკეი

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-სლავია | 1:5 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| როგლე-ლულეა | 4:2 |

### ჩოგბურთი

**ATP. როტერდამი**

| | |
|---|---|
| კლიჟანი-მატიო | 6:4, 3:6, 7:5 |
| ჰანესკუ-იანოვიჩი | 7:6, 6:3 |
| ვიოლა-გრანოლერსი | 5:7, 6:3, 6:1 |
| ბრანდსი-**სიმონი** | 6:7, 4:6 |
| ტომიჩი-**დიმიტროვი** | 3:6, 6:3, 3:6 |
| ცონგა-**სისლინგი** | 6:7, 6:4, 4:6 |
| ფ. მაიერი-**დავიდენკო** | 3:6, 2:6 |

**ATP. ვინა დე მარი**

| | |
|---|---|
| ხირალდო-**ანდუხარი** | 4:6, 6:7 |
| მელო-ლ. მაიერი | გადაიდო |

**WTA. დოჰა**

| | |
|---|---|
| ჟენგი-**როდიონოვა** | 2:6, 3:6 |
| **ბარტელი**-პუტინცევა | 6:4, 6:2 |
| მედინა გარიგესი-**გავრილოვა** | 6:4, 3:6, 3:6 |
| **გარსია**-ალ ნაბჰანი | 6:2, 6:3 |
| **ვოზნიაცკი**-იუგიჩი | 6:1, 6:2 |
| **ჰალეპი**-გოვორცოვა | 6:1, 6:0 |
| პაჩეკი-**ივანოვიჩი** | 1:6, 2:6 |
| **კუზნეცოვა**-მატეკი | 7:6, 6:4 |

## TV პროგრამა

### 12 თებერვალი. სამშაბათი

**I არხი**

**23:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. სელტიკი-იუვენტუსი (LIVE).

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXI ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტური. ლივერპული-ვესტ ბრომვიჩი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXI ტური. აუგსბურგი-მაინცი.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტური. საუთჰემპტონი-მანჩესტერ სიტი.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXI ტური. ბაიერნი-შალკე.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXVI ტურის მიმოხილვა.
**22:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**23:00** ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**23:45** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ვალენსია-პსჟ (LIVE).

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-ნიუკასლი.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ბრუკლინი-სან ანტონიო.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-როდა.
**17:00** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი. ჩეხეთი-ავსტრალია.
**19:00** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მიმოხილვა.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** საკალათბურთო პროგრამა - ოვერტაიმი.
**21:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ატლანტა.
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-სან ანტონიო.
**01:00** NBA ACTION.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონპელიე. საფრანგეთი.
**13:40** სპორტ-NEWS.
**14:00** ხელბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები. 1/2 ფინალი. ესპანეთი-სლოვენია
**15:30** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი. ჩეხეთი-ავსტრალია.
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. პაულისტას ლიგა. გუარანი-სან პაულუ.
**20:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ნიუ იორკი-ნიუ ორლეანი.
**23:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მონპელიე. საფრანგეთი.
**00:20** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 3 | 11 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 10 | 12 | (წვიმა) |
| ბათუმი | 10 | 10 | (წვიმა) |
| ფოთი | 8 | 9 | (წვიმა) |
| ზუგდიდი | 5 | 9 | (მზე) |
| გორი | 1 | 11 | (წვიმა) |
| თელავი | 4 | 15 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 1 | 14 | (მცირე წვიმა) |
| გუდაური | -6 | 0 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -3 | 1 | (თოვლი) |
| ბორჯომი | -3 | 4 | (წვიმა) |
| მესტია | -5 | 0 | (თოვლი) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.2240 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6614 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6099 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5088 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო თხილამურები. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ლიგეტის მეორე ოქრო

სამთო თხილამურებში მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების მეექვსე კომპლექტი მამაკაცებმა სუპერკომბინაციაში გაითამაშეს. ბრწყინვალე ფორმაში შეხვდა პლანეტის პირველობას ამერიკელი **ტედ ლიგეტი** - მან შლადმინგში მეორე ოქრო მოიპოვა.

შეგახსენებთ, რომ პირველი ტიტული მან სუპერგიგანტში დაისაკუთრა და ეს უდიდეს სენსაციად მოინათლა, რადგან აქამდე, ამერიკელს ამ დისციპლინაში არც ერთი სტარტი არ ჰქონდა მოგებული. გუშინ, პირველი დისციპლინის - სწრაფდაშვების შემდეგ, მისი პირველობისა ნაკლებად სჯეროდა ვინმეს. ლიგეტი მეორე სახეობის - სპეციალური სლალომის წინ მეექვსე იყო და 0.72 წამს აგებდა ლიდერ **რომედ ბაუმანთან**. მისი შანსები მით უმეტეს მინიმალური იყო, რადგან აქამდე არც სუპერკომბინაცია ჰქონდა მოგებული, უფრო მეტიც - ერთი პოდიუმიც არ ჰქონია.



ლიგეტი გუშინდელი სლალომის დროს

მაგრამ ლიგეტიმ მეორე სენსაცია მოახდინა. მან არა მარტო გააბათილა დიდი ჩამორჩენა, არამედ წუთი და 17 მეასედი მოუგო ავსტრიელს. ბაუმანი, საბოლოოდ, მესამე ადგილს დასჯერდა. ასევე ბევრით ჩამორჩა ლიგეტის ვერცხლისმედალოსანი **ივიცა კოსტელიჩი** - 1.15 წამი.

ამ სახეობაში მოქმედი ჩემპიონი, ნორვეგიელი **აქსელ ლუნდ სვინდალი** სწრაფდაშვების შემდეგ მეორე იყო, მაგრამ სლალომისას კარი ვერ გაიარა და დისკვალიფიკაცია მიიღო.

კიდევ ერთ ფავორიტს, ფრანგ **ალექსის პინტუროს** ფანტასტიკური გარღვევა ჰქონდა - მან სლალომში საუკეთესო დრო აჩვენა, მაგრამ ეს მხოლოდ 22-დან მეექვსე ადგილზე გადასასვლელად აღმოჩნდა საკმარისი.

ახლა, ლიგეტის აქვს შანსი, მოიგოს მესამე ოქრო. ის უდავო ფავორიტი იქნება პარასკევს გიგანტურ სლალომში. წელს, მსოფლიოს თასზე ამ დისციპლინაში ხუთი სტარტი შედგა და ოთხი ამერიკელმა მოიგო.

**სუპერკომბინაცია**

**კაცები**

1. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - 2:56.96 (2:02.10+54.86); 2. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორვატია) - 2:58.11 (2:02.75+55.36); 3. **რომედ ბაუმანი** (ავსტრია) - 2:58.13 (2:01.38+56.75); 4. **ანდრეას რომარი** (ფინეთი) - 2:58.30 (2:02.93+55.37); 5. **სანდრო ვილეტა** (შვეიცარია) - 2:58.38 (2:03.17+55.21); 6. **ალექსის პინტურო** (საფრანგეთი) - 2:58.41 (2:04.73+53.68)...

კალათბურთი

# ჩაშლილი ფინალი

გასულ უქმეებზე, ევროპის ქვეყნებში თასის გათამაშების გამარჯვებულები გამოვლინდნენ. ერთადერთი ქვეყანა, სადაც ამის გაკეთება ვერ მოხერხდა - სერბეთი იყო.

ბელგრადული კლუბების - „ცრვენა ზვეზდასა“ და „პარტიზანის“ მატჩი ქალაქ კრაგუევაცის არენაზე იმართებოდა. ორგანიზატორებმა არ გაითვალისწინეს ბილეთების რეალიზაციისას არანაირი შეზღუდვა, ასე რომ, სტადიონი პირათამდე იყო სავსე.

ფინალი პირველი სამი მეოთხედის განმავლობაში ყოველგვარი ექსცესების გარეშე მიმდინარეობდა, შემდეგ კი სიტუაცია უმართავი გახდა. არეულობის საბაბი გახდა მოედანზე მოთამაშეებსა და მწვრთნელებს შორის სიტყვიერი კამათი - ერთმანეთს დაუპირისპირდნენ „პარტიზანის“ მწვრთნელი **დუშკო ვუიოშევიჩი** და „ცრვენა ზვეზდას“ პრეზიდენტი **ნებოიშა ჩოვიჩი**. კონფლიქტს ჯერ მოთამაშეები შეუერთდნენ, შემდეგ კი საქმეში გულშემატკივრები ჩაებნენ. ურთიერთობის გარკვევისას გამოყენებული იქნა ცეცხლმაქრობები, პეტარდები, ფაიერები და დამსხვრეული სკამები.

არბიტრმა შეხვედრა 43:43-ზე შეწყვიტა და გუნდებს გასახდელისკენ მიუთითა. მატჩის განახლება ერთი საათით გადადეს, მაგრამ ფანები არ წყნარდებოდნენ. ამიტომაც მიიღეს გადაწყვეტილება შეხვედრის საბოლოოდ შეწყვეტის შესახებ. გადაწყდა, რომ მატჩი იმ ადგილიდან გაგრძელდება, სადაც შეწყდა და ის ცარიელი ტრიბუნების ქვეშ ჩაივლის.



აურზაური კრაგუევაცში

ჩოგბურთი

# სანამ ნადალი ჩილეში თამაშობდა

გასულ კვირას, ყველაზე ღირსშესანიშნავი ტურნირი ვინა დელ მარში გაიმართა, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ რაფაელ ნადალის გამოსვლის გამო.

სხვა ორი ტურნირი ევროპაში გაიმართა. ზაგრებში ვარსკვლავები ისედაც ცოტანი იყვნენ, სტარტის წინ კი განაცხადი გამოიტანა მეორე ნომრად განთესილმა **ანდრეას სეპიმ**. ისე გამოვიდა, რომ გამარჯვების ორი მთავარი პრეტენდენტი ბადის ზედა მხარეს აღმოჩნდა – პირველი ნომერი **მარინ ჩილიჩი** და მოქმედი ჩემპიონი **მიხაილ იუჟნი**. ორივე სეტის წაუგებლად მივიდა ნახევარფინალამდე. მათ შეხვედრაში თავიდან რუსი უკეთ გამოიყურებოდა, მაგრამ ჩილიჩმა მოახერხა ანგარიშის გათანაბრება და მესამე პარტიის დებიუტში ბრეიკის გაკეთება – 4:6, 6:4: 6:3. ბადის ქვედა მხარეს **იურგენ მელცერს** იოლი გზა გაეხსნა ფინალამდე – მას არც ერთი განთესილი ჩოგბურთელი არ შეხვედრია. ავსტრიელმა ნახევარფინალში 7:6(2), 6:3 მოუგო **რობინ ჰაასეს**, მაგრამ პირველივე სერიოზულ მეტოქესთან ვერაფრის გაკეთება ვერ მოახერხა - ჩილიჩმა გადამწყვეტ მატჩში 6:3, 6:1 მოიგო და ზაგრებში მესამედ აიღო მთავარი პრიზი.

■ ■ ■

მონპელიეში ფრანგი ჩოგბურთელები ჭარბობდნენ. პირველ ნომრად განთესილი უნდა ყოფილიყო **ტომაშ ბერდიხი**, მაგრამ დევისის თასზე გადატანილი მარათონების შემდეგ, ჩეხმა განაცხადის გამოტანა გადაწყვიტა. ამან ნახევარფინალში იოლად გასვლის საშუალება მისცა ფინელ **იარკო ნიემინენს**, რომელმაც ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა **ნიკოლაი დავიდენკო** და **სერგეი სტახოვსკი**.

ნახვარფინალში სკანდინაველმა ბრძოლა მოახვია თავს **რიშარ გასკეს**, მაგრამ წააგო სამ სეტში – 3:6, 6:3, 2:6. მეორე ნახევარფინალში ურთიერთობას არკვევდნენ **ბენუა პერი** და **მიკაელ ლოდრა**. ბენუამ 17 ეისი შეასრულა და 4:6, 6:3, 6:1 მოიგო. ფინალში გასკე გაცილებით ძლიერი იყო – მის ხუთ ბრეიკს პერმა ვერაფრით უპასუხა და საათსა და რვა წუთში განადგურდა – 2:6, 3:6. ამ სეზონში გასკეს შესანიშნავი მაჩვენებლები აქვს - 14 მოგება, ერთი წაგება და ორი ტიტული.

რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი



ნიკა ფუტკარაძე

# ფოლქსვაგენმა დაიწყო

კლასიკურ რალიში მსოფლიოს ჩემპიონატზე მეორე ეტაპი გაიმართა. შვედეთის დათოვლილ გზებზე მოულოდნელი შედეგი ვიხილეთ – ყველაზე სწრაფი იყო **სებასტიან ოჟიე**, რომელმაც მრავალწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნებულ “ფოლქსვაგენს” პირველი გამარჯვება მოუტანა.

ასე რომ, შეიძლება ითქვას, “ფოლქსვაგენი” საკუთარ გრაფიკს უსწრებს – პირველ ეტაპზე მონაკოში იყო მოგებული სპეცმონაკვეთები, პოდიუმი და ქულებიანი ფინიში, მეორე ეტაპზე კი გუნდმა გამარჯვება მოიპოვა. ეს არის “ფოლქსვაგენის” პირველი ტრიუმფი გუნდის ახალ ისტორიაში და მეორე მსოფლიოს რალიში მონაწილეობისას. მანამდე გერმანულ მარკას რალიში ეტაპი მოაგებინა შვედმა **კენეტ ერიქსონმა** – ეს 1987 წელს კოტ დ’ივუარში მოხდა.

ოჟიემ პარასკევს მოიპოვა ლიდერობა და ის ბოლომდე შეინარჩუნა. მან 41 წამი მოუგო მეორე ადგილზე გასულ **სებასტიან ლოებს**. სხვათა შორის, ლოების თანაგუნდელები “სიტროენში” კიდევ უფრო უარესად გამოვიდნენ: **მიკო ჰირვონენი** მე-17 ადგილზე გავიდა, **დანი სორდო** კი ბრძოლას ჩამოშორდა.

რაც მთავარია, სებასტიან ოჟიე გენერალურ კლასიფიკაციაში პირველ ადგილზე გადავიდა 46 ქულით. ლოებმა მას სამი ქულით ჩამორჩება.

მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ეტაპი მექსიკაში 7-10 მარტს გაიმართება.

**შვედეთის რალი**

1. **სებასტიან ოჟიე** (ფოლქსვაგენი) - 3:11.41,9; 2. **სებასტიან ლოები** (სიტროენი) - +41,8; 3. **მადს ოსტბერგი** (ფორდი) - +1.24,5; 4. **იარი-მატი ლატვალა** (ფოლქსვაგენი) - +1.30,6; 5. **ტიერი ნოივილი** (ფორდი) - +5.06,4; 6. **იუჰო ჰიანინენი** (ფორდი) - +5.43,1...

**საერთო ჩათვლა**

1. **სებასტიან ოჟიე** (ფოლქსვაგენი) - 46 ქულა; 2. **სებასტიან ლოები** (სიტროენი) - 43; 3. **მადს ოსტბერგი** (ფორდი) - 24; 4. **დანი სორდო** (სიტროენი) - 15; 5. **იარი-მატი ლატვალა** (ფოლქსვაგენი) - 14; 6. **მიკო ჰირვონენი** (სიტროენი) - 12...

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**







დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608